

რაგბის წესები



2016





სარჩევი

1.	ასპარეზი	4
2.	ბურთი	10
3.	გუნდი	11
4.	სამოსი	18
5.	დრო	21
6.	მსაჯები	26
7.	თამაშის ხერხი	34
8.	ხეირი	35
9.	ბურთის გატანა	37
10.	ბინძურად თამაში	41
11.	თამაშ-გარეთ და თამაშში	49
12.	ბურთის "წინ თამაში" ან "წინ გასი"	55
13.	დაწება და 22-დან განახლება	57
14.	ბურთი მიწაზეა -- ბოჭვის გარეშე	63
15.	ბოჭვა -- ბურთიანის წაქცევა	65
16.	რაქი	70
17.	მოლი	74
18.	ბურთის "ალალზე" დაჭერა	79
19.	აუტი და დერეფანი	81
20.	შერკინება	99
21.	საჭარიმო და თავისუფალი	112
22.	ლელო	118
	განსაზღვრებანი	126
	ჟესტები	131
	რაზმის გადანომრება	131
	შვიდყაცა (7ქ)	11 12 21 22 23 30 33 39 40 48 58 60 99 101 107 112 113
	ჭაბუკები (19წ)	13 17 21 101 108 109

შესავალი

რაგბის არსი ისაა, რომ ორმა გუნდმა -- ვაჟაცურ შეჯიბრში და წესების დაცვით -- ბურთის წალებით, გადაწოდებით, დარტყმითა და დამიწებით მოაგროვოს შეძლების-და-გვარად მეტი ქულა. მატჩის გამარჯვებული ის გუნდია, ვინც მეტოქეზე მეტი ქულა მოკრიფა.

წიგნში მოტანილი წესები სრულია -- შეიცავს ყველაფერს, რაც თამაშის სწორად და სამართლიანად წარმართვისთვისაა საჭირო.

რადგან რაგბში წება-დართულია ფინიკური კონტაქტი, თამაში ხილათიანია და მონაწილეთა მიერ წესების დაცვაც -- არსებითი.

მორაგეს მუდამ უნდა ახსოვდეს საკუთარი და სხვათა უსაფრთხოება. იგი ისე უნდა იყოს ნაწილობი, ნავარჯიშები და გაწაფული, რომ თამაში ამ წესების მიხედვით შეძლოს.

მწვრთნელისა და მასწავლებლის ვალია, მოთამაშე ისე მოამზადოს, რომ ამან წესები დაიცვას და უსაფრთხოდაც ითამაშოს.

მსაჯი მოვალეა, თამაშის ყველა წესი ყოველ მატჩში ზუსტად ამოქმედოს, რაგბის კავშირს კი იმისი უზრუნველ-ყოფა ეკისრება, რომ ნებისმიერი დონის თამაში წესიერად წარიმართოს.

ეს მარტო მსაჯის ძალის-ხმევით ვერ მიიღწევა -- მას კავშირმა, რეგიონებმა და კლუბებმაც უნდა შეუწყონ ხელი.

მეექვსე გამოცემა

წესების ეს კრებული ჩრდილოეთ ნახევარ-სფეროში -- და ამდენად, საქართველოშიც -- 2016 წლის 1 ივლისიდან მოქმედებს

წინა -- 2011 წლის -- გამოცემის შემდეგ წესებში შეტანილ მნიშვნელოვან სიახლეებს არშიაზე ასეთი ზოლი დაჰყვება

" ... " გამოიუწება ფრაზის | "რამდენიმე სიტყვიანი ცნების" შესაკრავად

1. ასპარეზი

ასპარეზია გეგმაზე გამოსახული მთელი მიდამო. მასში გამოიყოფა:

"სათამაშო მოედანი" -- არე "კარის ხაზებსა" და "აუტის (კიდის) ხაზებს" შორის. ეს ხაზები მოედანს არ ეკუთვნის.

"სათამაშო არე" -- მოედანი და ლელოები. "აუტის, ლელოს კიდისა და ლელოს უკანა ხაზები" სათამაშო არეს არ ეკუთვნის.

"სათამაშო გარემო" -- "სათამაშო არე" და მისი გარემომცველი (მეძლების-და-გვარად 5-მეტრა) ზოლი, რომელსაც "პერიმეტრი" ჰქვია.

"ლელო" -- ნაკვეთი "კარის ხაზიდან" "ლელოს უკანა ხაზამდე" და "ლელოს კიდის ხაზებს" შორის. ლელო მოიცავს "კარის ხაზს", "ლელოს კიდისა და უკანა ხაზები" კი მას არ ეკუთვნიან.

"22" (ოცდა ორი) -- ნაკვეთი "კარის ხაზსა" და "22-მეტრა ხაზს" შორის. მას ეკუთვნის "22-მეტრა ხაზი", მაგრამ არ ეკუთვნის "კარის ხაზი".

გეგმა, მასზე წარწერილ სიტყვებ-რიცხვებიანად, წესების სრულ-ძალოვანი ნაწილია.

1.1 "სათამაშო გარემოს" ზედაპირი


- (ა) **საზოგადო მოთხოვნა.** ზედაპირი (საფარი) სათამაშოდ უხილული უნდა იყოს.
- (ბ) **საფარის ტიპი.** ზედაპირად სასურველია ბალახი, მაგრამ ივარგებს ქვიშა, თიხა, თოვლი და ხელოვნური გაზონიც. უხილული უნდა იყოს თავად თოვლი და მის ქვეშ მოქცეული ზედაპირიც. მუდმივად ხისტი საფარი -- ბეტონი და ასფალტი -- იკრძალება. "ხელოვნური გაზონი" "მხოლოდ რაგბის" (ყოფილი "ირბ") სპეციფიკის უნდა აკმაყოფილებეს.

1.2 "სათამაშო გარემოს" ზომები


- (ა) **მაქსიმუმი.** მოედანი არ უნდა იყოს 100 მეტრზე გრძელი და 70 მეტრზე განიერი. ლელოს "სიღრმე" არ უნდა აღმატებოდეს 22 მეტრს.




მოედანი




არე




გარემო



პერიმეტრი




ლელო



22





ასპარეზის გეგმა



- (ბ) "სათამაშო არის" ზომები შეძლების-და-გვარად უნდა უახლოვდებო-დეს მითითებულს. უველა არე მართ-კუთხაა.
- (გ) სასურველია, რომ მანძილი "ლელოს უკანა ხაზიდან" "კარის ხაზა-მდე" 10 მეტრზე ნაკლები არ იყოს.
- (დ) (I) ეროვნული და მეორე ნაკრებების მატჩებში და (II) შვიდკაცის საერთაშორისო ტურნირებში -- მოედნის ზომები შეძლების-და-გვარად ახლოს უნდა იყოს მაქსიმალურთან. ნება-დართული მინი-მუმებია: სიგრძეში - 94 მეტრი, სიგანეში - 68 მეტრი, ლელოს სიღრმე - 6 მეტრი. თუ კავშირს ამ ზომათა შეცვლა სურს, დასტურისთვის "მსოფლიო რაგბს" უნდა მიმართოს.
- (ე) თუ ხერხდება, პერიოდეტრის განი არ უნდა იყოს 5 მეტრზე ნაკლები.

1.3 "სათამაშო გარემოს" დახაზვა

(ა) უწყვეტად

- * "ლელოს უკანა" და "ლელოს კიდის ხაზები" ლელოს არ ეკუთვნიან.
- * "კარის ხაზები" ეკუთვნიან ლელოებს, მაგრამ არა "სათამაშო მოედანს".
- * "22-მეტრა ხაზები" "კარის ხაზთა" პარალელურია.
- * "შუა ხაზი" "კარის ხაზთა" პარალელურია.
- * "აუტის (კიდის) ხაზები" მოედანს არ ეკუთვნიან.

(ბ) წევეტილად

- წევეტილთა შტრიხების სიგრძე 5 მეტრია.
- * "10-მეტრა წევეტილები" "შუა ხაზის" ორივე მხარეს -- მისგან 10 მეტრზე -- პარალელურად ივლება და ჰყებს "კიდის ხაზთა" პარა-ლელურ, "5-მეტრა და 15-მეტრა წევეტილებს".
 - * "5-მეტრა წევეტილები" ლელოდან 5 მეტრზე გავლებული შტრიხიდან ეგეთსავე, მოპირდაპირე, იქნა ლელოსთან გავლებულ შტრიხამდე -- "აუტის ხაზთა" პარალელურად -- ამათგან 5 მეტრზე ივლება და ჰყებს "22-მეტრა ხაზებს", "10-მეტრა წევეტილებსა" და "შუა ხაზს".




- * "15-მეტრა წყვეტილები" ლელოდან 5 მეტრზე გავლებული შტრიხიდან ეგეთსავე, მოპირდაპირე, იქეთა ლელოსთან გავლებულ შტრიხამდე -- "აუტის ხაზთა" პარალელურად -- ამათგან 15 მეტრზე ივლება და ჰყვეთს "22-მეტრა ხაზებს", "10-მეტრა წყვეტილებსა" და "შუა ხაზს".
- * 6-6 შტრიხი ინიშნება კარის ხაზებიდან 5 მეტრზე, მათ პარალელურად -- კიდეებიდან 5 და 15 მეტრის მოშორებითა, და კარის ორივე ძელის წინ -- ერთმანეთისგან 5 მეტრის მოშორებით.

(გ) ცენტრში

- * ნახევარ-მეტრა ხაზი მოედნის "შუა ხაზს" ცენტრში ჰყვეთს.

1.4 კარის ზომები

- (ა) მანძილი კარის ორ ძელს შორის 5.60 მეტრია.
- (ბ) ხარიხა ძელებს შორის ისე უნდა გაიდოს, რომ ამისი ზედა პირი მიწიდან 3.00 (სამი) მეტრის სიმაღლეზე იყოს.
- (გ) (XIX საუკუნის მიამიტური ტრადიციით) ძელების (მიწიდან აზომილი) მინიმალური სიმაღლე 3.40 მეტრია.
- (დ) თუ ძელს დამცავი შალითა უკეთია, იგი "კარის ხაზიდან" მოედანში 300 (სამას) მილიმეტრზე მეტად არ უნდა გადადიოდეს.





1.5 ალმიანი სარები

- (ა) "სათამაშო გარემოში" დასობილია 14 "ალმიანი სარი". ამათი მინიმალური სიმაღლე 1.20 მეტრია.
- (ბ) სარები უნდა დაისოს "ლელოს კიდისა" და "კარის ხაზების" გადაკეთაზე, და "ლელოს კიდისა" და "ლელოს უკანა ხაზების" გადაკეთაზე. ეს 8 სარი ლელოს გარეთაა და "სათამაშო არეს" არ ეკუთვნის.
- (გ) სარები უნდა დაისოს "22-მეტრა ხაზებისა" და მოედნის "შუა ხაზის" გაყოლებაზე, აუტის ხაზებიდან 2 მეტრით გარეთ -- ოლონდაც სათამაშო გარემოს ფარგალში.

1.6 ჩივილი ასპარეზის გამო

- (ა) თუ გუნდს არ მოსწონს ასპარეზი ან მისი დახაზვა, მსაჭს მატჩის დაწყებამდე უნდა მიმართოს.
- (ბ) მსაჭი წაკლის გამოსწორებას უნდა ეცადოს. მან მატჩი არ უნდა დაიწყოს, თუ ასპარეზის რომელიმე უბანი სახიფათოდ მისჩნია.





2. ბურთი

2.1 ფორმა

ბურთი ოვალურია. მისი გარსი 4 ნაჭრისგან შედგება.

2.2 ზომა

სიგრძე	280 - 300 მილიმეტრი
გრძივი გარშემო-წერილობა	740 - 770 მილიმეტრი
განივი გარშემო-წერილობა	580 - 620 მილიმეტრი

2.3 მასალა

ტყავი ან მსგავსი სინთეტიკა. ნება-დართულია ამ მასალათა ისე და-მუშავება, რომ ბურთი არ დასველდეს და იოლად დასაჭერი იქნას.

2.4 წონა


410 - 460 გრამი

2.5 წნევა თამაშის დაწყებისას

0.67 - 0.70 კილოგრამი კვადრატულ სანტიმეტრზე

2.6 სამარჯაფო ბურთები

მატჩის დროს ნება-დართულია სამარჯაფო (სათადარიგო) ბურთების გამოყენება, მაგრამ გუნდმა მათი მეშვეობით ან ბურთების ცვლით დაუმსახურებელი ხეირი ვერ უნდა ნახოს.



2.7 მომცრო ბურთები

ბავშვების სათამაშებლად შეიძლება ბურთის ზომა-წონის შემცირება.



3. გუნდი

გუნდი შედგება მატჩის დამწეული 15 მოთამაშისა და სათადარიგო (სამარჯვო) მოთამაშებისგან.

თუ სათადარიგო მოთამაშე თამაშში დაშავებული გუნდელის მაგივრად ჩაეხდა, ეს "შეცვლა"ა, ხოლო თუ იგივე ტაქტიკური მოსაზრებით გაკეთდა, ამას "გამოცვლა" ჰქვია.

3.1 მოთამაშეთა რაოდენობა

მაქსიმუმი. გუნდს თამაშის დროს "სათამაშო არეში" არ უნდა ჰყავდეს 15 მოთამაშეზე მეტი.

შვიდგაცა

გუნდს სათამაშო არეში არ უნდა ჰყავდეს 7 მოთამაშეზე მეტი.

3.2 ზედმეტი მოთამაშები

გუნდს მატჩამდეცა და თამაშის დროსაც შეუძლია მსახს მოსთხოვოს მეტოქის მოთამაშეთა დათვლა. თუ მსაჭამა დაადგინა, რომ გუნდს ზედმეტ(ებ)ი ჰყავს -- მის კაპიტანს მოთამაშეთა რიცხვს სათანადოდ შეამცირებინებს, ოღონდაც ანგარიში არ შეიცვლება.

სასჯელი: საჭარიმო დარტყმა იქ, სადაც თამაში უნდა განახლდეს.

3.3 ნაკლებ-კაცა რაგბი

კავშირის ნებართვით მატჩების გამართვა ნაკლებ-კაცა გუნდებითაც შეიძლება. ამ დროს კვლავ მოქმედებს კველა წესი, ოღონდაც შერკინებაში თითო გუნდიდან მინიმუმ 5 მოთამაშის მონაწილეობა აუცილებელი აღარაა.

აქ გამონაკლისია 7-კაცა გუნდებით თამაში, რომელსაც ცალკე წესები აქვს.

3.4 სათადარიგო მოთამაშები

(ა) ნაკრებთა მატჩზე გუნდს შეუძლია იყოლიოს 8 სათადარიგო.



- (ბ) სხვა მატჩებზე ამათ რაოდენობას -- მაქსიმუმ რვას -- მატჩის გა-
მმართველი კავშირი აწესებს.

შვიდკაცა

გუნდს შეუძლია იყოლიოს მაქსიმუმ 5 სათადარიგო.

- (გ) გუნდს შეუძლია 3 პირველ-ხაზელისა და სხვა 5 მოთამაშის გამო-
ცვლა.
- (დ) ეს შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ "ბურთის უქმობის" დროს და
მხოლოდ მსაჭის დასტურით.

შვიდკაცა

გუნდს შეუძლია (წებისმიერი) 5 მოთამაშის შეცვლა | გამოცვლა.

3.5 პირველ-ხაზელთა შეცვლა | გამოცვლა

- (ა) გუნდს მართებს იმის უზრუნველ-უფა, რომ ყველა პირველ-ხაზელი
და მათი შესაძლო შემცვლელ | გამომცვლელებიც სათანადოდ
გაწვრთნილები იყვნენ.

მსაჭის საქმე არაა იმის გარკვევა | დადგენა, მოთამაშე პირველ ხაზში
სათამაშოდ | დასადგომად სათანადოდ გაწვრთნილია თუ არა.

- (ბ) ქვემოთ მოტანილ ცხრილში წერია, თუ

* გუნდის მინიმუმ რამდენი მოთამაშე უნდა იყოს ისე გაწვრთნილი,
რომ შერკინების პირველ ხაზში დადგომა შეძლოს, და

* ამათ "საჭიროების შემთხვევაში" ვისი შეცვლა უნდა შეეძლოთ ისე,
რომ თამაში ნაღდი (მიწოლიანი) შერკინებით გაგრძელდეს.

გუნდში რამდენი კაცია	რამდენი უნდა იყოს პირველ-ხაზელი	მაგათ ვისი შეცვლა უნდა შეეძლოთ
15 ან ნაკლები	3	-
16, 17 ან 18	4	ჰუქერისა და ბურჯის
19, 20, 21 ან 22	5	ჰუქერისა და ბურჯის
23	6	ჰუქერისა და ორი ბურჯის



ჭაბუკები

გინდ გუნდში 22 მოთამაშე იყოს, მაინც აუცილებელია 6 პირველ-ხაზელის ყოლა -- მარქაფაში უნდა ისხდნენ ჰუქერი და ორი ბურჯი.

საშინაო განმარტება

არ გასხვავებთ მარცხენა და მარჯვენა ბურჯს -- ბურჯი ბურჯია! "სა-თანადოდ გაწვრთნილი" უნივერსალი უნდა იყოს - ორივე მხარეს შეეძლოს დადგომა.

- (გ) თამაშამდე გუნდმა მსაჭს (ოქმში) უნდა მიუთითოს პირველ-ხაზელი და მათი შესაძლო შემცვლელ | გამომცვლელები.
ნაღდი (მიწოლიანი) შერკინების პირველ ხაზში თამაში (ჩადგომა) მარტო ამ მოთამაშეებს შეუძლიათ.
- (დ) (მსაჭისთვის მითითებულ) პირველ-ხაზელს თამაშის დაწყება სხვა პოზიციაზეც შეუძლია.

საშინაო განმარტება

პირველ-ხაზელს მატჩის განმავლობაში ნებისმიერ (სხვა) პოზიციაზეც შეუძლია თამაში.

ცრუ შერკინება

- (ა) შერკინებაში მიწოლა უნდა აიკრძალოს, თუ თუნდაც ერთ გუნდს აღარა ჰყავს სათანადოდ გაწვრთნილი პირველი ხაზი.
- (ბ) კავშირს შეუძლია დებულებაში ჩაწეროს, შეიძლება თუ არა მატჩის "ცრუ შერკინებით" დაწყება | გაგრძელება.
- (გ) თუ პირველ-ხაზელი მოედნიდან გავიდა -- სულ ერთია, ტრავმის | სინგინის | ბოლომდე გაძევების გამო -- მსაჭა მაშინვე უნდა ჰყითხოს მის კაპიტანს, გუნდს ნაღდ (მიწოლიან) შერკინებაში დადგომა თუ კიდევ შეუძლება.

თუ კაპიტანმა მსაჭს ამაზე უარით უბასუხა, მაშინ მსაჭი "ცრუ შერკინებას" შემოილებს -- მიწოლის აკრძალვას გამოაცხადებს.



როცა ეს "მოედნიდან გასული პირველ-ხაზელი" დაბრუნდება ან მოედანზე სხვა პირველ-ხაზელი შევა -- შერკინებაში მიწოდა შეიძლება აღდგეს.

- (დ) თუ რაზმში 23 კაცია, ან კავშირმა ასე საგანგებოდ დაადგინა -- გუნდი ვერავის შეივანს იმ მოთამაშის ნაცვლად, რომლის მოედნიდან გასვლასაც "ცრუ შერკინების" შემოღება მოჰყვა.

საშინაო განმარტება

ჩვენში მიღებული "ფრანგული წესით" -- "ცრუ შერკინებისას" კაცის მოქლება უპირობოა -- ეხება სინბინსა და ბოლომდე გაძევებასაც:

სინბინით | ბოლომდე გაძევებით "ცრუ შერკინების" გამომწვევმა გუნდმა -- პირველივე "ცრუ შერკინების" მოწყობის წინ -- უნდა მოიკლოს (მოედნიდან გაიუვანოს) ერთი მოთამაშე -- და სინბინს შემთხვევაში, იგი დაიბრუნოს ნალი (მიწოლიანი) შერკინების აღდგენის-თანავე.

ახალი, საცდელი "იტალიური წესით" -- "ცრუ შერკინებაში" ორივე გუნდი 8 მოთამაშით ეწყობა.

- (ე) თუ პეტავს -- გუნდმა პირველი ხაზის სამივე პოზიციაზე (სათანადოდ გაწვრთნილი) პირველ-ხაზელი უნდა დააუქნოს.

"ცრუ შერკინებაში" სხვა მოთამაშეს მხოლოდ მაშინ შეუძლია პირველ ხაზში თამაში (ჩადგომა), როცა გუნდს (სათანადოდ გაწვრთნილი) პირველ-ხაზელები აღარ ჰყოფნის.

- (ვ) თუ პირველ-ხაზელის დროებითი გაძევების (სინბინის) გამო გუნდმა სხვა მოთამაშე გაიუვანა და მის ნაცვლად (სათანადოდ გაწვრთნილი) პირველ-ხაზელი შეიუევანა -- ამ, გაუვანილ მოთამაშეს მოედანზე დაბრუნება შეეძლება მხოლოდ სინბინის ამოწურვის შემდეგ.

- (ზ) თუ პირველ-ხაზელის ბოლომდე (წითელი ბარათით) გაძევების გამო გუნდმა სხვა მოთამაშე გაიუვანა და მის ნაცვლად (სათანადოდ გაწვრთნილი) პირველ-ხაზელი შეიუევანა -- ეს, გაუვანილ მოთამაშე სათადარიგოდ იქცევა და თამაშში ჩაბმა შეცვლის წესთა თანახმად შეეძლება.



საშინაო განმარტება

პირველ-ხაზელის შესაშვებად სხვა მოთამაშის გაყვანა უნდა მოხდეს მორიგი შერკინების დანიშვნის შემდეგ -- მის მოწყობამდე.

3.7 გაძევება "ბინძურად თამაშის" გამო

მატჩის ბოლომდე გაძევებული მოთამაშის მაგივრად თამაშში ვერავინ ჩაებმება.

3.8 "მატჩის ბოლომდე" შეცვლა

ნებადართულია დაშავებული მოთამაშის შეცვლა -- ოლონდაც ბურთის უქმობის დროს და მხოლოდ მსაჭის დასტურით. თუ დაშავებული "მატჩის ბოლომდე" შეცვალეს -- იგი თამაშში ხელ-მეორედ აღარ უნდა ჩაებას.

3.9 "ბოლომდე შეცვლის" საჭიროების დადგენა

(ა) ეროვნულ ნაკრებთა მატჩში დაშავებულის შეცვლა შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა -- ექიმის აზრით -- დაშავებულისთვის თამაშის გაგრძელება საზიანოა.

(ბ) სხვა მატჩებში დაშავებულის შეცვლა შეიძლება ფიზიოს რჩევითაც - - თუ კაშირს მისთვის სათანადო უფლება მიუნიჭება. თუ მატჩს "მედიცინის მცოდნე" არავინ ესწრება -- დაშავებულის შესაცვლელად მსაჭის თანხმობაც კმარა.

3.10 დაშავებულის "იძულებით დათხოვნა"

თუ მსაჭმა თავად, ან ექიმის რჩევით გადაწყვიტა, რომ დაშავებულმა თამაში უნდა შეწევიტოს -- შეუძლია მოთამაშეს "სათამაშო არიდან" გასვლა უბრძანოს. მსაჭ ამისვე მოთხოვნა მაშინაც შეუძლია, როცა სურს, რომ დაშავებული ექიმმა გასინჯოს.

3.11 "დროებით შეცვლა" -- სისხლ-დენის გამო

(ა) თუ მოთამაშეს სისხლი სდის -- "სათამაშო არიდან" უნდა გავიდეს და მას შემდეგ-და დაბრუნდეს, რაც სისხლ-დენას შეუჩერებელ და ჭრილობას დაუფარავენ.



ნება-დართულია ასეთი მოთამაშის "დროებით შეცვლა". თუ "დროებით შეცვლილი" მოედანს 15 "ასტრონომიული წუთის" განმავლობაში არ | ვერ დაუბრუნდა -- იგი "მატჩის ბოლომდე" შეცვლილად მიიჩნევა და თამაშში ვეღარ ჩაებმება. თუ ამ 15 წუთის გასვლა შესვენებას დაემთხვა, დამბრუნებელმა მეორე ტაიმით თავიდანვე უნდა დაიწყოს.

- (გ) ეროვნულ ნაკრებთა მატჩში "მორიგე ექიმი" წუვეტს, სისხლ-დენა იმდენად სერიოზული თუა, რომ მოთამაშე დროებით შეიცვალოს.
- (გ) უმნიშვნელო ნაკაწრები და გადატყავებული ადგილები -- რომლებიც "სისხლ-დენა ჭრილობებად" ვერ ჩაითვლება -- უნდა დამუშავდეს თამაშის სხვა მიზეზით შეჩერების დროს.
- (დ) თუ დროებით-შემცვლელი დაშავდა, შეიძლება მისი შეცვლაც.
- (ე) თუ დროებით-შემცვლელი "ბინძურად თამაშის" გამო (ბოლომდე) გააძევეს -- შეცვლილი ვეღარ დაბრუნდება.
- (ვ) თუ დროებით-შემცვლელი მოედნიდან დროებითვე (10 წუთით) გააძევეს -- დროებით-შეცვლილი მოედნაზე ამ სასჯელის ვადის გასვლის შემდეგლა შემოვა.

3.12 "დროებით შეცვლა" --

"ტვინის შერყევაზე" შესამოწმებლად

თუ მატჩის ნებისმიერ წუთზე მოთამაშეს ტვინი შეერყა, ან შერყევის სიმპტომები გამოაჩნდა -- ეს მოთამაშე დაუყოვნებლივ და "მატჩის ბოლომდე" უნდა შეიცვალოს.

საშინაო განმარტება

"ტვინის შერყევაზე" შესამოწმებლად "დროებითი შეცვლის" წესი მოქმედებს მხოლოდ კაცთა იმ ელიტარულ მატჩებში, რომლებზეც "მსოფლიო რაგბმა" წინდაწინ გასცა სათანადო ნებართვა.

ეს წესები სისხლზე შეცვლის წესთა მსგავსია, ოლონდაც გაყვანილი 10 "ასტრონომიულ წუთში" უნდა დაბრუნდეს, მის "დროებით შემცვლელს" კი მანამ ეკრძალება კარში ჯარიმებისა და გარდასახვების დარტყმა, სანამ დროებითი შეცვლა "ბოლომდე შეცვლად" არ იქცევა.



3.13 "სათამაშო არიდან გასულის" დაბრუნება

- (ა) თუ მოთამაშე "სათამაშო არიდან" ტრაგების ან ნებისმიერი სხვა მიზეზით გავიდა -- იგი თამაშში მსაჯის უკითხავად არ უნდა ჩაებას. მსაჯმა მოთამაშეს დაბრუნების ნება შეიძლება დართოს მხოლოდ "ბურთის უქმად გახდომის" შემდეგ.
- (ბ) თუ მოთამაშე მსაჯის უკითხავად ჩაება თამაშში - მოედანზე დაბრუნდა, ანაც სათადარიგო იყო და შევიდა -- ხოლო მსაჯმა დაასკვნა, რომ მან ეს თავისი გუნდის საშველად ან მეტოქის შესაფერხებლად გააკეთა -- მოთამაშე უწესობისთვის უნდა დასაჯოს.

სასჯელი: საჯარიმო დარტყმა იქ, სადაც თამაში უნდა განახლდეს.

3.14 "გამოცვლილის" დაბრუნება

(ტაქტიკური მოსაზრებით) გამოცვლილ მოთამაშეს შეუძლია შეცვალოს მხოლოდ

- * დაშავებული პირველ-ხაზელი >> [3.5 მუხლი](#)
- * დასისხლიანებული >> [3.11 მუხლი](#)
- * "ტვინის შერუევაზე" შესამოწმებლად გაყვანილი >> [3.12 მუხლი](#)
- * მსაჯის აზრით, "ბინძურად თამაშის" გამო დაშავებული.

საშინაო განმარტება

... რისთვისაც დაინიშნა მინიმუმ ჯარიმა

ჭაბუკები

(ტაქტიკური მოსაზრებით) გამოცვლილ მოთამაშეს (უპირობოდ) შეუძლია დაშავებული გუნდელის შეცვლა.

3.15 როტაციული შეცვლები

კავშირს შინაურ ლიგაში შეუძლია "როტაციული შეცვლების" (შედი-გამოდი) შემოღება. ასეთ შეცვლათა მაქსიმუმი 12-ია. სათანადო წესებს კავშირი თავად შეადგენს.



4. სამოსი

მოთამაშის სამოსია უკელაფერი, რაც კი მას თამაშის დროს აცვია ან უკეთია -- კვართი (მაისური), შორტი, საცვლები, გეტრები და ბუცები (წალები).

კვართის სახელო მქლავს მხრიდან იდაუგამდე მინიმუმ სანახევროდ უნდა ფარავდეს.

დაწვრილებითი ინფორმაცია სამოსის სპეციფიკაციათა შესახებ წერია "მსოფლიო რაგბის" სათანადო დოკუმენტში (მე-12 დებულება)

4.1 დამატებითი სამოსი

მოთამაშეს

- (ა) შეიძლება ეცვას რეცხვადი ელასტიური ბანდაჟი.
- (ბ) გეტრის ჭვეშ შეიძლება ეკეთოს წვივ-საცავი, თუ ის შეესაბამება "მსოფლიო რაგბის" სპეციფიკაციებს.
- (გ) გეტრის ჭვეშ შეიძლება ეკეთოს კოჭ-საცავი, რომელიც წვივის მესამედზე მაღალი არაა. იგი შეიძლება დამზადებული იყოს ხისტი, ოლონდაც არა-ლითონური მასალისგან.
- (დ) შეიძლება ეკეთოს უთითო ხელ-თათმანი, რომელიც შეესაბამება "მსოფლიო რაგბის" სპეციფიკაციებს.
- (ე) შეიძლება ეკეთოს საბეჭურა, რომელსაც უნდა ეკრას "მსოფლიო რაგბის" დამღა.
- (ვ) პირში შეიძლება ედოს კბილ-საცავი.
- (ზ) თავზე შეიძლება ეფაროს ჩაფხუტი, რომელსაც უნდა ეკრას "მსოფლიო რაგბის" დამღა.
- (თ) ნატკენი ადგილის დაფარვა და დაცვა ბანდაჟით ან ნახვევით შეუძლია.
- (ი) ტრავმის თავიდან ასაცილებლად შეიძლება ეკეთოს თხელი თასმა ან მსგავსი რამ.



4.2 ქალის დამატებითი სამოსი

ზემოთ ჩამოთვლილის გარდა, ქალს

- (ა) შეიძლება ეკეთოს მეტყდ-საცავი, რომელსაც უნდა ეკრას "მსოფლიო რაგბის" დამღა.
- (ბ) შორტისა და გეტრების შიგნით შეიძლება ეცვას ბამბა-ნარევი, გრძელი, ფეხზე ცალ-შიგა-ნაკერიანი ელასტიკი.
- (გ) შეიძლება ეკეთოს თავ-შალი, რომელიც უველასათვის უხილათო იქნება და არ არღვევს "მსოფლიო რაგბის" სპეციფიკაციებს.

4.3 ბუცის მორჩები

- (ა) ბუცის მორჩები უნდა შეესაბამებოდეს "მსოფლიო რაგბის" სპეციფიკაციებს.
- (ბ) ნება-დართულია სხმული, მრავალ-მორჩა ლანჩის გამოყენებაც, ოლონდაც მას მჭრელი პირები არ უნდა ჰქონდეს.

4.4 აკრძალული სამოსი

მოთამაშეს არ უნდა

- (ა) ეცვას გასისხლიანებული სამოსი.
- (ბ) ეკეთოს მჭრელი და მჭისე (უხეში, ტლანქი) რამეები.
- (გ) ეცვას (ეკეთოს) ნებისმიერი რამ, რასაც ექნება მჭისე ან გამოჩრილი ხრახნი, რგოლი, დუგმა, ელვა და მისთანები.
- (დ) ეკეთოს სამკაულები: ბეჭედი, საყურე და მისთანები.
- (ე) ეკეთოს თითებიანი ხელ-თათმანი.
- (ვ) ეცვას შორტი, რომელშიც დამცავი საფენია ჩაკერებული.
- (ზ) ეცვას | ეკეთოს ისეთი რამ, რაც შეესაბამება "მსოფლიო რაგბის" სპეციფიკაციებს (მე-12 დებულება)
- (თ) ეცვას | ეკეთოს ისეთი რამ, რაც წესებით დაშვებული კია, მაგრამ მსაჯის აზრით -- მოთამაშეთა დაშავება შეუძლია.
- (ი) მოთამაშეს სხეულზე და სამოსზე არ უნდა ეკეთოს კავშირ-გაბმულობის მოწყობილობანი.



(გ) ეცვას | ეკეთოს ისეთი რამ, რაც "მსოფლიო რაგბის" მე-12 დებულებას ეწინააღმდეგება.

4.5 სამოსის შემოწმება

(ა) იმას, შეესაბამება თუ არა მოთამაშეთა სამოსი და ბუცის მორჩები წესის მოთხოვნებს -- მატჩის მსაჭი ან თანა-მსაჯები ამოწმებენ.

(ბ) მსაჭის შეუძლია -- მატჩამდე და თამაშის დროსაც, ნებისმიერ მომენტში -- დაასკვნას, რომ მოთამაშის სამოსის რომელიმე ნაწილი სახიფათო ან აკრძალულია. ამ შემთხვევაში მსაჭმა მოთამაშეს ამ ნაწილის გახდა | მოხსნა უნდა მოსთხოვოს და დამრღვევი სათამაშოდ მას შემდეგდა დაუშვას, როცა მოთხოვნა დაკმაყოფილდება.

(გ) თუ მატჩის წინ -- სამოსის შემოწმებისას -- მსაჭმა ან თანა-მსაჭმა მოთამაშეს უთხრებს, რომ აკრძალული რამ აცვია | უკეთია და მერე, თამაშისას გაირკვა, რომ მოთამაშეს იგივე რამ არ გაუხდია | მოხსნია -- დამრღვევი უწესობისთვის უნდა გააძევონ.

სასჯელი: საჭარიმო დარტყმა იქ; სადაც თამაში უნდა განახლდეს.

4.6 სამოსის გამოცვლა

მსაჭმა მოთამაშე "სათამაშო არიდან" სამოსის გამოსაცვლელად მხოლოდ მაშინ შეიძლება გაუშვას, როცა სამოსი გასისხლიანებულია.



5. დრო

5.1 მატჩის ხანგრძლივობა

მატჩი გრძელდება არა-უმეტეს 80 წუთს. ამას შეიძლება მიემატოს "გაცდენილი დრო" და "დამატებითი დრო".

მატჩი იყოფა ორ ტაიმად (ნახევრად). თითო ტაიმის ხანგრძლივობა არა-უმეტეს 40 წუთია.

შვიდკაცა

მატჩი გრძელდება არა-უმეტეს 14 წუთს. ამას შეიძლება მიემატოს "გაცდენილი დრო" და "დამატებითი დრო".

მატჩი იყოფა ორ ტაიმად. თითოს ხანგრძლივობა არა-უმეტეს 7 წუთია.

გამონაკლისი. შეჯიბრების ფინალი გრძელდება არა-უმეტეს 20 წუთს. ტაიმის ხანგრძლივობა არა-უმეტეს 10 წუთია.

ჭაბუკები

19 წლამდელთა მატჩში ტაიმი 35-წუთაა.

მატჩი გრძელდება არა-უმეტეს 70 წუთს.

გინდ შეჯიბრი "ოლიმპიური სისტემით" იმართებოდეს -- მსაჭამა ფრედ დასრულებული მატჩის შემდეგაც კი არ უნდა დანიშნოს "დამატებითი დრო".

5.2 შესვენება

პირველი ტაიმის შემდეგ გუნდებმა მოედნის მხარეები უნდა გაცვალონ.

ამ დროს ცხადდება არა-უმეტეს 15-წუთა შესვენება.

შესვენების ხანგრძლივობას მატჩის ორგანიზატორი ადგენს.

შესვენების დროს გუნდებსა და მსაჭებს შეუძლიათ "სათამაშო გარემოდან" გასვლა.

შვიდკაცა

პირველი ტაიმის შემდეგ გუნდებმა მოედნის მხარეები უნდა გაცვალონ. ამ დროს ცხადდება არა-უმეტეს 2-წუთიანი შესვენება.

5.3 დროის აღრიცხვა

თამაშის დროს ინიშნავს მსაჭი.

მსაჭი შეუძლია ეს საქმე გადააბაროს ერთ-ერთ ან ორივე თანა-მსაჭი, ანაც იფიციალურ "დროის მსაჭის". ამ შემთხვევაში მსაჭმა მათ უნდა ანიშნოს საათის ყოველი გაერება (გაცდენილი დრო).

თუ მატჩს "დროის მსაჭი" არ ემსახურება, მსაჭი კი დროის სისწორემ დაავჭვა -- შეუძლია მოეთათბიროს ერთ-ერთ ან ორივე თანა-მსაჭი, და მხოლოდ მაშინ, როცა ამათი რჩევა საქმარისი ვერაა -- შეუძლია სხვაც დაიხმაროს.

გაცდენილი დრო

დრო შეიძლება გაცდეს შემდეგ მიზეზთა გამო:

(ა) **ტრავმა.** მსაჭი შეუძლია თამაში გააჩეროს არა-უმეტეს 1 წუთით, რათა დაშავებულ მოთამაშეს მიხედონ და უწამლონ.

მსაჭი შეუძლია გააგრძელებინოს თამაში იმ დროს, როცა ექიმი დაშავებულ მოთამაშეს "სათამაშო არეში" შევლის, ანაც ტრავმირებული კიდესთან თავად მისულა.

თუ მძიმედ დაშავებული მოთამაშე მოედნიდანაა გასაყვანი, მსაჭი საკუთარი შეხედულებისამებრ შეუძლია თამაში მეტი ხნითაც შეწყვიტოს.

(ბ) **სამოსის გამოცვლა.** "უქმ ბურთზე" მსაჭი მოთამაშეს ნებას რთავს, რომ ამან გამოიცვალოს ან შეაკეთოს გახეული კვართი, შორტი და ბუც(ებ)ი, ან ბუცის გახსნილი ზონარი შეიკრას.

(გ) **მოთამაშის შეცვლა** (გამოცვლა). მსაჭი გუნდს მოთამაშის შეცვლას | გამოცვლას ადროვებს.

(დ) **მსაჭთა თათბირი.** მსაჭი ეთათბირება თანა-მსაჭებს, "დროის მსაჭის" ან ტელე-მსაჭის.



5.5 გაცდენილი დროის ანაზღაურება

"გაცდენილი დრო" ემატება მატჩის შესაბამის ტაიმს.

5.6 დამატებითი დრო

მატჩმა შეიძლება 80 წუთზე მეტ ხანსაც გასტანოს, თუკი "ოლიმპიური სისტემით" მიმდინარე შეიგიბრში -- დებულების თანახმად -- ფრეზე "დამატებითი დრო" ა დასანიშნი.

საშინაო განმარტება

"დამატებითი დრო" არა-უმეტეს 20 წუთია და ორი 10-წუთა ტაიმისგან შედგება. დამატებითი დროის წინ (მაქსიმუმ) 15-წუთა შესვენება ცხადდება და წილიც ხელ-ახლა იყრება. "დამატებითი დროის" პირველი ტაიმის შემდეგ გუნდები მოედნის მხარეებს გაცვლიან და თამაშს შეუსვენებლივ განახლებენ.

შვიდკაცა

თუ მატჩი ფრედ დამთავრდა და დასანიშნია დამატებითი დრო, იგი -- 1-წუთიანი შესვენების შემდეგ -- ეწყობა 5-წუთა მონაკვეთებად. თითოეულის შემდეგ გუნდები მოედნის მხარეებს შეუსვენებლივ ცვლიან.

საშინაო განმარტება

შვიდკაცაში -- "დამატებით დრო"ში პირველივე ბურთის გამტანი გუნდი გამარჯვებულად ცხადდება და მატჩიც მთავრდება -- ლელოს შემდეგ გარდასახვა აღარ ირტემება.

5.7 სხვა დებულებები

- (ა) ეროვნულ ნაკრებთა მატჩში თამაში ყოველთვის 80 წუთს გრძელდება. ამას ემატება "გაცდენილი დრო".
- (ბ) სხვა დონის მატჩის ხანგრძლივობას კავშირი ადგენს.
- (გ) თუ კავშირს ხანგრძლივობა არ დაუდგენია, გუნდები თავად უნდა მორიგდნენ. თუ მათ ეს ვერ შეძლეს -- საკითხს მსაჭი გადაწვეტს.



- (დ) თუ მსახს მიაჩნია, რომ თამაშის გაგრძელება სახიფათოა -- შეუძლია მატჩი დაუყოვნებლივ დაამთავროს.
- (ე) თუ დრო ამოიწურა, მაგრამ ბურთი უქმი არაა, ან მანამდე დანიშნული შერკინება ან დერეფანი არ დასრულებულა -- მსახმა თამაში უნდა გააგრძელებინოს მანამ, სანამ ბურთი კვლავ უქმი არ გახდება.

"ტაიმის დასამთავრებლად" ბურთი უქმია, თუ მსახმა

- * დანიშნა შერკინება, დერეფანი ან 22-დან დარტყმა;
- * "უქარიმო არჩევანი" შესთავაზა მართალ გუნდს;
- * გუნდმა დაარტყა გარდასახვა;
- * საჭარიმო ან არექნი კარში გავიდა.

შერკინება თუ ხელ-ახლა დასაწყობი -- არ დასრულებულა.

თუ ჯერ დრო ამოიწურა, მერე კი "ალალად დაჭერა", თავისუფალი ან საჭარიმო დარტყმა დაინიშნა -- მსახმა თამაში უნდა გააგრძელებინოს.

- (ვ) თუ დრო ლელოს გატანის შემდეგ ამოიწურა -- მსახმა გუნდს გარდასახვის შესრულება უნდა ადროვოს.

- (ზ) თუ გუნდმა ლელო თამაშის ბოლოს-კენ გაიტანა -- ეგებ გარდასახვა აღარც დაარტყას.

ამ დროს და მაშინაც, როცა გარდასახვის დარტყმა "80 წუთის" ამოწურვამდე მოესწრო -- თამაში უნდა განახლდეს ცენტრიდან და დასრულდეს შემდეგ შეჩერებაზე-და -- სათანადო წესთა თანახმად.

გარდასახვა "მოესწრო" -- თუ დარტყმისას "80 წუთი" არ შესრულებულა.

- (თ) თუ ლელო | გარდასახვა | ჯარიმა | არექნი თამაშის ბოლოს გავიდა და თამაშის "ცენტრიდან განახლება" მოესწრო, მაგრამ დრო დარტყმის შესრულების-თანავე ამოიწურა და დამრტყმელმა ბურთი

- * 10 მეტრზე არ დაარტყა
- * პირდაპირ აუტში დაარტყა
- * მეტოქის ლელოს კიდეს ან უკანა ხაზს გადააცილა --



მსაჭამა მეტოქეს უნდა შესთავაზოს **13.7 | 13.8 | 13.9 მუხლებით** დადგენილი არჩევანი და თამაში გააგრძელოს შემდეგ "უქმ ბურთა-მდე".

- (ი) როცა ძაან ცხელა ანდა ჰაერი შეხუთულია (ტენიანობაა მაღალი) -- მსაჭამა მსაჭამის შეხედულებისამებრ შეუძლია ორივე ტაიმში თითო 1-წუთიანი, "დასარწყულებელი ტაიმ-აუტის" გამოაცხადოს.
"გაცდენილი დრო" უნდა წაემატოს შესაბამის ტაიმს.
- ტაიმ-აუტი უნდა მოეწყოს ბურთის გატანის შემდეგ ან მაშინ, როცა თამაში "მოედნის შუა ხაზთანაა" გაჩერებული.



6. მსაჯები

ყოველ მატჩს უძღვებიან მსაჯები: მოედნის მსაჭი (რეფერი) და ორიც "კიდის მსაჭი" ან თანა-მსაჭი.

ორგანიზატორმა მატჩზე დამატებით შეიძლება დანიშნოს და დაუშვას სათადარიგო მსაჭი ანდა თანა-მსაჭი, ტელე-მსაჭი, დროის მსაჭი, მატჩის ექიმი, გუნდების ექიმები, გუნდების არა-მოთამაშე წევრები და "ბურთის მიმტანები".

"კიდის მსაჭი" ნიშნავს ორგანიზატორი ან მატჩის მონაწილე გუნდი. კიდის მსაჭმა (მოედნის) მსაჭს უნდა ანიშნოს აუტში ან ლელოს კიდეზე გადასვლა და კარში დარტყმის შედეგი.

თანა-მსაჭს ნიშნავს ორგანიზატორი. თანა-მსაჭმა, "კიდის მსაჭის" მოვალეობებზე დამატებით, მსაჭს გინძურად თამაშიც უნდა ანიშნოს. მსაჭმა მასვე შეიძლება დააკისროს ნებისმიერი სხვა ფუნქციაც, რომელსაც თავად ასრულებს.

6.1 მოედნის მსაჭი (რეფერი)

თამაშამდე

6a.1 მსაჭის დანიშვნა

მსაჭს "მატჩის ორგანიზატორი" ნიშნავს. თუ მას მსაჭი არ დაუნიშნავს -- გუნდები მსაჭს თავად აირჩევენ; ხოლო თუ გუნდები ვერ შეთანხმდნენ -- მსაჭი მასპინძელმა გუნდმა უნდა დაასახელოს.

6a.2 მსაჭის გამოცვლა

თუ მსაჭი მატჩს ბოლომდე ვერ გაუძლვა -- მისი შეცვლა ორგანიზატორის მიერ გაცემული მითითებით უნდა მოხდეს.

თუ ორგანიზატორს ასეთი მითითება არ გაუცია -- მსაჭი თავად დაასახელებს შემცვლელს; ხოლო თუ მსაჭი ამას ვერ იზამს -- ახალი მსაჭი მასპინძელმა უნდა დანიშნოს.



6a.3 წილის-ურა

მსაჭმა წილი უნდა ჰყაროს. საამისოდ ერთი გუნდის კაპიტანმა ხურდა ფული უნდა ააგდოს, მეორისამ კი მანამდე "ბორჯლალი" ან "თეთრი" თქვას.

წილის მომგები აირჩევს "თამაშის დაწყებას" ან "მოედნის მხარეს". თუ მან "მოედნის მხარე" აირჩია -- თამაშს "მეტოქე გუნდი" დაიწყებს.

თამაშის დროს

6a.4 რა ევალება მსაჭს

- (ა) მსაჭი წესებს ერთ-პიროვნულად უთანადებს თამაშის დროს მოედანზე მომხდარ მოვლენებს. მსაჭმა ჟელა წესი კოველთვის ზუსტად და განუხრელად უნდა ამოქმედოს.
- (ბ) მსაჭი ინიშნავს სათამაშო დროს.
- (გ) მსაჭი ითვლის ანგარიშს.

6a.5 "სათამაშო არეში" შესვება და იქიდან გასვლა

- (ა) ექიმება და ფიზიოს -- დაშავებული მოთამაშის მისახედად -- "სათამაშო არეში" შესვლა თამაშის დროსაც შეუძლიათ -- ოღონდაც ამით "სახიფათო კითარება" არ უნდა წარმოიქმნას.
- (ბ) თულუჩებს -- მოთამაშეთათვის წელის მზიდავს -- "სათამაშო არეში" შესვლა შეუძლია მხოლოდ თამაშის "ტრავმის გამო" შეჩერებისას.
- (გ) "ბურთის სადგამის მიმტანს" მოედანში შესვლა შეუძლია მხოლოდ მას შემდეგ, რაც გუნდმა მსაჭა ანიშნა, რომ ჭარიმის კარში ურტყამს, და ლელოს გატანის თანავეც.
- (დ) მსაჭი მოთამაშეს "სათამაშო არიდან" გასვლის ნებას რთავს.
- (ე) მსაჭი "სათადარიგო მოთამაშეს" "სათამაშო არეში" შესვლის ნებას რთავს.
- (ვ) მწვრთნელს შეუძლია შესვენების დროს "სათამაშო არეში" შევიდეს და თავის გუნდს რჩევა მისცეს.



6a.6 გადაწყვეტილების შეცვლა

მსახს შეუძლია შეცვალოს გადაწყვეტილება, თუ "კიდის მსაჯმა" ალამი აწია და ამით "აუტხე გადასვლა" ანიშნა; ანაც თანა-მსაჯმა ამავე ხერხით ანიშნა "ბინძურად თამაში".

6a.7 სხვათა რჩევის მოსმენა

- (ა) მსახს შეუძლია თანა-მსახს რჩევა ჰქითხოს მისი ფუნქციის, ბინძურად თამაშის, სათამაშო დროისა და სხვა წესთა (მათ შორის, თამაშ-გარეს) გამოც.
- (ბ) ორგანიზატორს შეუძლია დანიშნოს ტელე-მსაჯი, რომელიც ტექნიკის მოშველიებით გაარკვევს --
- (გ) დაამიწეს თუ არა ბურთი ლელოში;
- (დ) გავიდა თუ არა (ფეხით დარტყმული) ბურთი კარში;
- (ე) ბურთის ლელოში დამიწებამდე მოთამაშე ხომ არ გადავიდა აუტში ან ლელოს კიდეზე, ანაც ბურთი ხომ არ გახდა უქმი;
- (ვ) ლელოს გატანის პროცესში ხომ არ დაირღვა წესი, ანაც წესის დარღვევით ხომ არ იქნა ლელო თავიდან აცილებული;
- (ვ) ბინძურად ითამაშეს თუ არა ეპიზოდში -- რამაც მსაჯები დააჭირა; რა სასჯელი იქნება უპრიანი ბინძურად თამაშისთვის.
- (ზ) ორგანიზატორს შეუძლია დანიშნოს "დროის მსაჯი", ვინც ტაიმთა დამთავრებას საჯაროდ გამოაცხადებს.
- (ი) აქ ჩამოთვლილთა გარდა -- მსაჯმა რჩევა სხვას არავის არ უნდა ჰქითხოს.

6a.8 სასტუმუნი

- (ა) მსახს თან უნდა ჰქონდეს სასტუმუნი და მას მატჩის ორივე ნახევრის დაწყებისა და დამთავრების ნიშნად ჩაჰეროს.



- (ბ) მსაჯს დასტვენით თამაშის შეჩერება ნებისმიერ დროს შეუძლია.
 - (გ) მსაჯმა "ბურთის გატანისა" და "ლელოს დაცვის" ნიშნადა უნდა დაუსტვინოს.
 - (დ) მსაჯმა უნდა დაუსტვინოს, თუ თამაშს აჩერებს "წესის დარღვევის" ან "ბინძურად თამაშის" გამო.
- თუ მსაჯმა დამრღვევი გააფრთხილა ან გააძეგა, "საჭარიმო დარტყმის" ან "საჭარიმო ლელოს" დანიშვნის დროს მეორედაც უნდა დაუსტვინოს.
- (ე) მსაჯმა უნდა დაუსტვინოს, თუ ბურთი თამაშიდან გავიდა, მისი თამაში შეუძლებელი გახდა ან საჭარიმო დაინიშნა.
 - (ვ) მსაჯმა უნდა დაუსტვინოს, თუ თამაშის გაგრძელება სახიფათოა, ანაც მოთამაშის მძიმედ დაშავება აშკარაა.

6a.9 ტრაგმა

თუ მსაჯმა თამაში ტრაგმის გამო შეაჩერა, მაგრამ წესი არ დარღვეულა და არც ბურთი გამხდარა უქმი -- თამაში შერკინებით განახლდება.

მასში ბურთს შეაგდებს ის გუნდი, ვინც ბურთს ბოლო ფლობდა, ხოლო თუ ბურთი არავისი იყო -- შეაგდებს შემტევი.

6a.10 ბურთი მსაჯს შეეხო

- (ა) თუ ბურთი ან "ბურთიანი მოთამაშე" მსაჯს შეეხო, მაგრამ ამით ვერცერთმა გუნდმა ვერ იხეირა -- თამაში გრძელდება.
- თუ ამ შეხებით ერთ-ერთმა გუნდმა მოედანში იხეირა -- მსაჯმა უნდა დანიშნოს შერკინება, რომელშიც ბურთს ის გუნდი შეაგდებს, ვინც მისით ბოლომ ითამაშა.
- (ბ) თუ ამ შეხებით ერთ-ერთმა გუნდმა ლელოში იხეირა და ბურთს შემტევი ფლობდა -- მსაჯმა შეხების ადგილზე "ლელო გატანილად" უნდა ჩათვალოს.
 - (გ) თუ ამ შეხებით ერთ-ერთმა გუნდმა ლელოში იხეირა და ბურთს დამცველი ფლობდა -- მსაჯმა შეხების ადგილზე "ლელო დაცულად" უნდა ჩათვალოს.



6ა.11 ლელოში ბურთი "გარეშე პირს" შეეხო

ამ დროს მსაჭმა უნდა შეაფასოს, სავარაუდოდ რა მოხდებოდა -- და შეხების ადგილზე "ლელო გატანილად ან დაცულად" ჩათვალოს.

თამაშის შემდეგ

6ა.12 ანგარიში

მსაჭმა გუნდებს ანგარიში უნდა გამოუცხადოს და იგი ორგანიზატორსაც აცნობოს.

6ა.13 გაძევებული მოთამაშე

თუ მსაჭმა მოთამაშე მოედნიდან გააძევა -- მატჩის შემდეგ, შეძლების და გვარად მალე -- ორგანიზატორს უნდა წარუდგინოს "წერილობითი გატაკი".

შვიდყაცა

6ა.14 წილის-ყრა "დამატებითი დროის" წინ

მსაჭმა წილი (თავიდან) უნდა ჰყაროს 6ა.3 მუხლში მოტანილი ხერხით.

6.ბ თანა-მსაჯები (კიდის მსაჯები)

თამაშამდე

6ბ.1 თანა-მსაჯების დანიშვნა

მატჩის ორი თანა-მსაჯი (ან კიდის მსაჯი) ემსახურება. თუ ისინი ორგანიზატორს არ დაუნიშნავს -- გუნდებმა მსაჭს თითო "კიდის მსაჯი" უნდა მიუყვანონ.

6ბ.2 თანა-მსაჯის შეცვლა

ორგანიზატორს შეუძლია დანიშნოს "სათადარიგო თანა-მსაჯი", ვინც -- თუ საჭირო გახდა -- შეცვლის მსაჭს ან თანა-მსაჭს. ეს პირი მატჩის დროს პერიმეტრში იმყოფება.



68.3 თანა-მსაჯის მართვა

თანა-მსაჯებს განაგებს მსაჭი. ამას შეუძლია თანა-მსაჯს განუმარტოს მისი ფუნქციები და გაუუქმოს გადაწყვეტილება.

თუ თანა-მსაჭი მოვალეობას თავს ვერ ართმევს -- მსაჯს შეუძლია მისი გამოცვლა მოითხოვოს. მეტიც -- თუ მსაჯს მიაჩნია, რომ თანა-მსაჯი უწესოდ იქცევა -- მას გააძევებს და ორგანიზატორს უბატაკებს.

თამაშის დროს

68.4 სად მოქმედებს თანა-მსაჯი

- (ა) ასპარეზის თითო კიდეზე თითო თანა-მსაჯი მოქმედებს. თანა-მსაჯი სულ კიდეზეა. გამოწაკლისია კარში დარტყმის განსჭა. ამ დროს თანა-მსაჯი ლელოში, "კარის ძელის" უკან დგება.
- (ბ) თანა-მსაჯს შეუძლია, "სათამაშო არეში" შევიდეს, თუკი მსაჯს "სახიფათოდ თამაშის" ან უწესობის შესახებ უნდა მოახსენოს. მან ეს უნდა გააკეთოს მხოლოდ თამაშის შემდეგი შეჩერებისას.

68.5 თანა-მსაჯის უესტები

- (ა) გადაწყვეტილების სანიშნებლად თანა-მსაჯს უნდა ეჭიროს ალამი ან მსგავსი საგანი.
- (ბ) **კარში დარტყმა.** გარდასახვისა და საჯარიმოს კარში დარტყმის დროს თანა-მსაჯები მსაჯს შედეგის დადგენაში უნდა შეესველონ. ისინი თითოდ უნდა დადგნენ "კარის ძელების" უკან და თუ ბურთმა ძელებს შუა და ხარიხის ზემოთ გაიფრინა -- გოლის ნიშნად აღმები აწიონ.
- (გ) **აუტში გასვლა.** თუ ბურთი ან "ბურთიანი მოთამაშე" აუტში (კიდეზე) გავიდა -- თანა-მსაჯია ალამი უნდა აწიოს. იგი უნდა დადგეს აუტის მოწოდების ადგილზე და ხელი იმ გუნდისკენ გაიშვიროს, ვისაც მოწოდება ერგება. თანა-მსაჯმა მსაჯს ბურთის ან "ბურთიანი მოთა-მაშის" "ლელოს კიდეზე" გადასვლაც ალმის აწევით უნდა ანიშნოს.
- (დ) **აუტის მოწოდება.** კიდიდან ბურთის მოწოდების შემდეგ თანა-მსაჯმა ალამი უნდა დაუშვას იმ შემთხვევათა გარდა, როცა





1. გამონაკლისი: ბურთის მომწოდებელმა მოთამაშემ თუნდაც ცალი ტერზი დააბიჭა "სათამაშო მოედანს";

2. გამონაკლისი: ბურთი იმ გუნდმა მოაწოდა, ვისაც არ ერგებოდა.

3. გამონაკლისი: აუტში გასული ბურთი "სწრაფად (უცებ) შემოგდებამდე" სხვით შეცვალეს, ან აუტში გასვლის შემდეგ ბურთს მისი შემომგდების გარდა სხვაც შეეხო.

(გ) იმას, ბურთი სათანადო ადგილიდან მოაწოდეს თუ არა -- წევეტს მსაჭი და არა თანა-მსაჭი.

(გ) **ბინძურად თამაში.** მსაჯისთვის "ბინძურად თამაშისა" და უწესობის სანიშნებლად თანა-მსაჭმა ალამი ჰორიზონტალურად უნდა დაიჭიროს და მოედანში კიდის მართობულად გადაფინოს.

6ბ.6 ბინძურად თამაშის ნიშნების შემდეგ

ორგანიზატორს შეუძლია, თანა-მსაჭს მსაჯისთვის "ბინძურად თამაშის" ნიშნება დაავალოს.

როცა ამას შვრება, თანა-მსაჭი თამაშის მომდევნო შეჩერებამდე კიდეზე რჩება და მასზე დაკისრებული სხვა ფუნქციების შესრულებას აგრძელებს, სასტკენზე კი -- მსაჭის მიწვევით -- "სათამაშო არეში" შევა და მას ყველაფერს მოახსენებს.

პატაკის მოსმენის შემდეგ მსაჭი იღონებს იმას, რასაც საჭიროდ მიიჩნევს. დამრღვევს ნებისმიერი სასკელი "ბინძურად თამაშის" წესის მიხედვით უნდა დაეკისროს.

თამაშის შემდეგ

6ბ.7 გაძევებული მოთამაშე

თუ მოთამაშე მოედნიდან თანა-მსაჭის ჩარევის გამო გააძევეს -- ამ თანა-მსაჭმა მატჩის შემდეგ, შეძლების და გვარად მალე -- მსაჭს უნდა წარუდგინოს "წერილობითი პატაკი" და ასლი ორგანიზატორსაც გაუგზავნოს.



შვიდკაცა

6.8 ლელოს მსაჯები

- (ა) მატჩს ორი "ლელოს მსაჯი" ემსახურება.
- (ბ) მათ მსაჯი ისევე განაგებს, როგორც თანა-მსაჯებს.
- (გ) ორივე ლელოში თითო "ლელოს მსაჯი" მოქმედებს.
- (დ) **კარში დარტყმა.** გარდასახვისა და საჯარიმოს კარში დარტყმის დროს ლელოს მსაჯი (მოედნის) მსაჯს შედგების დადგენაში უნდა შეე-შველოს. იგი კარის უკან უნდა დადგეს და თუ ბურთმა ძელებს შუა და ხარიხის ზემოთ გაიფრინა -- გოლის ნიშნად ალამი აწიოს.
- (ე) "**ლელოს კიდეზე**" გადასვლა. თუ ბურთი ან "ბურთიანი მოთამაშე" "ლელოს კიდეზე" გადავიდა -- იქ მოქმედმა "ლელოს მსაჯმა" ალამი უნდა აწიოს.
- (ვ) **ლელოს გატანა.** თუ მსაჯი "ლელოს გატანის" ან "ლელოს დაცვის" გამო შეეჭვდა -- რჩევას "ლელოს მსაჯს" დაეკითხება.
- (ზ) **ბინძურად თამაში.** ორგანიზატორს შეუძლია "ლელოს მსაჯს" დაავალოს ლელოში ჩადენილი "ბინძურად თამაშის" შემთხვევათა მსაჯისთვის ნიშნება.

6.9 სხვა პირები

6.9.1 სათადარიგო თანა-მსაჯი

თუ მატჩზე სათადარიგო თანა-მსაჯია დანიშნული -- მსაჯს შეუძლია მას მოთამაშეთა შეცვლა | გამოცვლის გაძლოლა დაავალოს.

6.9.2 ისინი, ვისაც "სათამაშო არეში" შესვლა შეუძლიათ

ტრავმის დროს "სათამაშო არეში" თამაშის შეუჩერებლივ შესვლა შეუძლიათ მხოლოდ "მატჩის ექიმსა" და "დაშავებული მოთამაშის" გუნდის ექიმსა და ფიზიოს, ხოლო გუნდის სხვა "არა-მოთამაშე წევრებს" საამისოდ მსაჯის დასტური ჰირდებათ.

თუ მსაჯმა ამ პირებს წება არ დართო -- მათ შესვლა შეეძლებათ მხოლოდ "ბურთის უქმობის" დროს, ოლონდაც არავინ არ უნდა შეაფერონ, არც თამაშში ჩაერიონ და არც მსაჯებს მიმართონ.





7. თამაშის ხერხი

7.1 ბურთაობა

მატჩი იწყება "ცენტრიდან დარტყმით".

ამის შემდეგ "თამაშში მყოფ" ნებისმიერ მოთამაშეს შეუძლია:

- * აიღოს ბურთი და ბურთიანად გაიქცეს;
- * ბურთი ხელით ტყორცნოს და მას ფეხი დაარტყას;
- * ბურთი სხვა მოთამაშეს მისცეს (გადასცეს);
- * "ბურთიანი მეტოქე" შებოჭოს, დაიჭიროს და მასვე უბიძგოს;
- * დაწვეს ბურთზე;
- * მონაწილეობდეს შერკინებაში, რაქში, მოლსა და დერეფანში;
- * ლელოში ბურთი დაამიწოს.

"ბურთიან მოთამაშეს" შეუძლია მეტოქეს ხელი ჰქრას.

ერთი კია, რასაც მოთამაშე შვრება -- უველაფერი წესების თანახმად უნდა აკეთოს.



8. ხეირი (უპირატესობა)

ხეირის წესი სხვა წესთა უმეტესობას სძალავს. მისი დანიშნულება ისაა, რომ "დარღვევებით გამოწვეულ შეჩერებათა" შემცირებით თამაში უფრო უწყვეტი გამოვიდეს.

მოთამაშემ -- მეტოქის მიერ წესის დარღვევის მიუხედავად -- თამაში არ უნდა შეწყვიტოს სასტკენა მდე, რადგან თუ ამ დარღვევის შემდეგ "მართალი გუნდი" ხეირობს -- მსაჭი უმალ არ უსტკენს და თამაშს აგრძელებინებს.

8.1 ხეირის არსი

- (ა) მსაჭია იმის ერთად-ერთი განმსჯელი, ნახა თუ არა გუნდმა ხეირი. ამის გადაწყვეტისას მსაჭი ფრიადი უფლებები აქვს.
- (ბ) ხეირი ან ტერიტორიულია და ანაც ტაქტიკური.
- (გ) ტერიტორიული ხეირი "მოედნის მოგებაში" აისახება.
- (დ) "ტაქტიკურ ხეირში" ის იგულისხმება, რომ "მართალ გუნდს" საბურ-თაოდ უკეთესი შესაძლებლობა ეძლევა.

8.2 თუ გუნდმა ვერ იხეირა

ხეირი აშეარა და ხელ-შესახები უნდა იყოს. მისი მიღების მხოლოდ შანსი არაფრის მაქნისია.

თუ "მართალმა გუნდმა" თამაშის გაგრძელებით ხეირი ვერ ნახა -- მსაჭმა უნდა დაუსტვიოს და თამაში "დარღვევის ადგილზე" დააბრუნოს.

8.3 როდის არ გამოიყენება ხეირის წესი

- (ა) მსაჭის შეხება. თუ ბურთი ან "ბურთიანი მოთამაშე" მსაჭი შეეხო.
- (ბ) გვირაბიდან გამოვარდნა. თუ ბურთი "შერკინების გვირაბის" ნებისმიერი ბოლოდან უთამაშებლად გამოვიდა.
- (გ) შერკინების დატრიალება. თუ შერკინება "90 გრადუსზე" მეტად დატრიალდა.



(დ) **მოთამაშის აწევა.** თუ მოთამაშე შერკინებაში ისე აწიეს ან ამოდევნეს, რომ მიწას აღარ ეხება (ებჯინება). ამ დროს მსაჭმა დაუყოვნებლივ უნდა დაუსტვინოს.

(ე) **უქმი ბურთი.** ბურთი უქმი გახდა.

8.4 ხეირის გარეშე - მყისი სასტვენი!

მსაჭმა თუ გადაწყვიტა, რომ "მართალი გუნდი" ვერ ხეირობს -- მყის (უმალ) უნდა დაუსტვინოს.

8.5 რამდენიმე დარღვევა

(ა) თუ გუნდმა წესები მიყოლებით დაარღვია და

* მეორე დარღვევას ხეირი არ მოჰყვება -- მსაჭმა უნდა დანიშნოს ის სასჯელი, რომელიც "მართალ გუნდს" მეტად აწყობს;

* თუ ამ დარღვევათაგან რომელიმე "ბინძურად თამაში" იყო -- მსაჭმა უნდა დანიშნოს ის სასჯელი, რომელიც "მართალ გუნდს" მეტად აწყობს. მსაჭს შეუძლია დამრღვევის დროებით ან ბოლომდე გაძევებაც.

(ბ) თუ ხეირის წესი ერთ-ერთი გუნდის მიერ ჩადენილი დარღვევის გამო მოქმედებდა და ამ დროს წესი მეტოქემაც დაარღვია - მსაჭმა უნდა დაუსტვინოს და პირველი გუნდი დასაჭოს.

თუ ამ დარღვევათაგან რომელიმე "ბინძურად თამაში" იყო -- მსაჭმა შესაბამის სასჯელს დანიშნავს. მსაჭს შეუძლია დამრღვევის დროებით ან ბოლომდე გაძევებაც.



9. ბურთის გატანა

9.1 ქულების მოგროვება

9.1.1 ნიხრი

ლელო 5 ქულა

თუ "შემტევმა მოთამაშები" ბურთი "მეტოქის ლელოში" დაამიტა -- მის გუნდს ლელო გატანილად ეთვლება.

საჭარიმო ლელო 5 ქულა

თუ მეტოქის მიერ "ბინძურად თამაში" რომ არა, მოთამაშე ლელოს ნაღდად გაიტანდა -- "კარის ძელებს" შორის ითვლება "საჭარიმო ლელო".

გარდასახვიდან გატანილი გოლი 2 ქულა

ლელოს გატანის შემდეგ გუნდს უფლება ეძლევა -- ოლონდაც არ ევალება -- კარში დარტყმით გოლის გატანაც სცადოს. ეს ეხება "საჭარიმო ლელოსაც". დარტყმას "გარდასახვა" ეწოდება და მიწიდან ან არექნით სრულდება.

საჭარიმოდან გატანილი გოლი 3 ქულა

თუ მოთამაშემ "საჭარიმო დარტყმით" გაიტანა გოლი -- მის გუნდს "საჭარიმოდან გატანილი გოლი" ეთვლება.

არექნით გატანილი გოლი 3 ქულა

თუ მოთამაშემ თამაშიდან არექნით დარტყა და გოლი გაიტანა -- მის გუნდს "არექნით გატანილი გოლი" ეთვლება.

"თავისუფალი დარტყმიდან" არექნის გატანა მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება -- რაც ბურთი ისევ უქმი გახდა, მეტოქები ბურთით ითამაშა, მას შეეხო ან "ბურთიანი მოთამაშე" შებოჭა. ეს შეზღუდვა თავისუფალის მაგივრად არჩეულ შერკინებაზეც ვრცელდება.

9.2 კარში დარტყმის ზოგი წესი

- (ა) ბურთი დარტყმის შემდეგ თუ მიწას ან "დამრტყმელის გუნდელს" შეეხო -- გოლი არ ითვლება.
- (ბ) თუ ბურთი ხარიხას გადასცდა, მაგრამ შემდეგ ქარმა უკანვე, მოედანში წაიღო -- გოლი მაინც ითვლება.
- (გ) თუ კარში დარტყმის დროს მეტოქებ წესი დაარღვია, ხოლო ბურთი კარში გავიდა -- გოლი ითვლება "ხეირის წესით".
- (დ) საჭარიმოს კარში დარტყმის დროს მეტოქეს ეკრძალება ბურთის შეხებით გოლის "თავიდან აცილება".

სასჯელი: (ხელ-ახალი) საჭარიმო დარტყმა (შეხების ადგილზე)

9.3 გარდასახვა

9.3.1 გარდასახვის შესრულება

- (ა) თუ არ დაზიანებულა -- დამრტყმელმა ის ბურთი უნდა გამოიყენოს, რომლითაც თამაშობდნენ.
- (ბ) დარტყმა სრულდება -- "ლელოს გატანის ადგილზე" "სათამაშო მოედანში" გავლებული -- ხაზიდან.
- (გ) გუნდელს შეუძლია დამრტყმელისთვის "ბურთის დაუენება".
- (დ) დამრტყმელს "ბურთის დაუენება" შეუძლია უშუალოდ მიწაზე, ქვიშაზე, ნახერხზე ან "კავშირის მიერ მოწონებულ" სადგამზე.
- (ე) დამრტყმელმა დარტყმა "ლელოს ჩათვლიდან" წუთ-ნახევარში (90 წამში) უნდა შეასრულოს. ბურთი დარტყმამდე გინდაც წაიქცეს და ხელ-ახლა დასაუენებელი გახდეს -- დამრტყმელმა უველაფერს მაინც 90 წამი უნდა ამორფიონოს.

სასჯელი: დამრტყმელმა დადგენილ დროში თუ არ | ვერ დაარტყა -- გარდასახვა უქმდება.



შვიდკაცა

- (გ) გარდასახვა არეკნით სრულდება.
- (დ) -- არ მოქმედებს --
- (ე) თუ გუნდი გარდასახვას ურტყამს -- ეს "ლელოს გატანიდან" 30 წამში უნდა გააკეთოს; წინააღმდეგ შემთხვევაში -- დარტყმა უქმდება.

98.2 გარდასახვაზე "უარის თქმა"

- (ა) თუ გუნდი გარდასახვას არ ურტყამს, ეს მსაჭს "ლელოს გამტანმა" უნდა აცნობოს -- ლელოს ჩათვლის შემდეგ, ოღონდაც დროის ამოწურვამდე -- უთხრას "არ ვურტყამთ" ო.
- (ბ) თუ გუნდმა გარდასახვაზე დროულად თქვა უარი, მსაჭმა "ცენტრიდან დარტყმა" უნდა დანიშნოს. იგი შესრულდება იმის და მიუხედავად, გუნდები დაროის ამოწურვისას" თამაშის გასაახლებლად მზად იყვნენ თუ არა.

98.3 დამრტყმელის გუნდი

- (ა) დამრტყმელის მთელი გუნდი -- გარდა "ბურთის დამუენებლისა" -- დარტყმისას ბურთზე უკან უნდა იყოს.
- (ბ) დამრტყმელმა და დამუენებელმა ისეთი არაფერი უნდა ჩაიდინონ, რომ მეტოქე მოტყუდეს და მათ თავს ნაადრევად დაესხას.
- (გ) თუ დამრტყმელს დაყენებული ბურთი გამორბენის დაწყებამდე წაეჭდა -- მსაჭი ხელ-ახლა, ოღონდაც გაუკანჭლებლივ დაყენების ნებას დართავს. ამ დროს მეტოქები თავიანთი "კარის ხაზის" უკან უნდა დარჩნენ.

თუ დაყენებული ბურთი გამოქცეულ დამრტყმელს წაეჭდა -- მას მაინც შეუძლია მიწიდან ან არეკნით დარტყმა.

თუ ბურთი "ლელოს გატანის ადგილზე გავლებული" ხაზიდან გადაგორდა, მაგრამ დამრტყმელმა კარში მაინც გაიტანა -- გოლი ითვლება.

თუ გამოქცეულ დამრტყმელს დაყენებული ბურთი აუტში გადაუგორდა -- გარდასახვა უქმდება.



სასჯელი: (ა) - (გ) თუ წესი დამრტყმელის გუნდმა დაარღვია -- დარტყმა უქმდება.

9.8.4 მეტოქე გუნდი

- (ა) ვიდრე დამრტყმელი ბურთისკენ გაიქცევა ან დარტყმას დაიწყებს -- მეტოქის მთელი გუნდი თავისი კარის ხაზის უკან უნდა განლაგდეს, შემდეგ კი დამცველებს შეუძლიათ გამოქცევა, ახტომა და ამით გოლის "თავიდან აცილება". ერთი კია, ისინი ერთმანეთს არ უნდა დაეკრძონ.
 - (ბ) თუ გამოქცეულ დამრტყმელს ბურთი წაეჭდა -- მეტოქეს შეუძლია არ გაჩერდეს.
 - (გ) დამცველმა გუნდმა დარტყმის შესრულების დროს არ უნდა იყვიროს.
- სასჯელი: (ა) (გ) თუ წესი "დამცველმა გუნდმა" დაარღვია, ხოლო ბურთი კარში გავიდა -- გოლი ითვლება.
- თუ დარტყმა გაცუდდა -- დამრტყმელს ხელ-მეორედ დარტყმა შეუძლია, ხოლო დამცველს -- გამოქცევა ეკრძალება.

ხელ-ახლა დარტყმისას დამრტყმელს მთელი სამზადისის გამოორება და დარტყმის ხერხის შეცვლაც შეუძლია.

შვიდკაცა

- (ა) "მეტოქე გუნდმა" თავი გაუკანგლებლივ უნდა მოიყაროს თავის 10-მეტრა ხაზთან.
- (ბ) -- არ მოქმედებს --

სასჯელი: ბოლო აბზაცი -- არ მოქმედებს --



10. ბინძურად თამაში

"ბინძურად თამაში" მოთამაშის მიერ "სათამაშო არქში" ჩადენილი ნებისმიერი ქმედება, რომელიც რაგბის "არსსა და სულს" ეწინააღმდეგება.

"ბინძურ თამაშად" ითვლება გზის შეკვრა, უპიროდ თამაში, წესების ზედიზედ დარღვევა, სახიფათოდ თამაში და უწესობა.

10.1 გზის შეკვრა (ბლოკი)

- (ა) **ბიძება და ხელის კერა.** თუ ორი მეტოქე ბურთისკენ გარბის -- მათ ერთმანეთს არ უნდა უბიძეონ და არც ხელი ჰყრან. ამ დროს ნება-დართულია მხოლოდ "მხრით დაჯახება".
- (ბ) **ბურთიანის წინ ყოფნა.** მოთამაშე "ბურთიანი გუნდელის" წინ განგებ ისე არ უნდა დადგეს ან გაიქცეს, რომ მეტოქე შესაბიჭად არ მიუშვას -- როგორც მასთან, ისე იმ მოთამაშეებთან, რომლებმაც შეიძლება ბურთი მიიღონ.
- (გ) **მბოჭავის დაბლოკვა.** მოთამაშე განგებ ისე არ უნდა გაიქცეს ან დადგეს, რომ მეტოქე შესაბოჭად არ მიუშვას ბურთიანთან.
- (დ) **ბურთის დაბლოკვა.** მოთამაშე განგებ ისე არ უნდა გაიქცეს ან დადგეს, რომ მეტოქე ბურთით არ ათამაშოს.
- (ე) **ბურთიანი თავისიანს დაეჯახა.** "ბურთიანი მოთამაშე" განგებ არ უნდა დაეჯახოს წინ მდგომ გუნდელს.

სასჯელი: (ა) - (ე) საჭარიმო დარტყმა.

10.2 უპიროდ თამაში

- (ა) **განგებ დარღვევა.** მოთამაშემ განგებ არ უნდა არღიოს თამაშის ნებისმიერი წესი და არც უპიროდ ითამაშოს.
მოთამაშეს, ვინც წესი განგებ დაარღვია -- შენიშვნა უნდა მიეცეს; ან იგი უნდა გააფრთხილონ, რომ თუ იმავე ან სხვა წესს განგებ კიდევ დაარღვეს -- მოედნიდან გააძევებენ;
ანაც -- უმალ გააძევონ მოედნიდან.

სასჯელი: საჭარიმო დარტყმა.

თუ მოთამაშემ "განგებ დარღვევით" მეტოქეს "უეჭველი ლელო" არ გაატანინა -- მსაკმა "საჯარიმო ლელო" უნდა ჩათვალოს.

თუ დამრღვევმა ლელო "ბინძური თამაშით" ჩაშალა -- იგი უნდა "გააფრთხილონ და სათამაშო დროის 10 წუთით" გააძევონ, ანაც "თამაშის ბოლომდე" გააძევონ.

(δ) **დროის გაყვანა.** მოთამაშემ დრო განგებ არ უნდა წელოს.

სასჯელი: თავისუფალი დარტყმა.

(გ) **ბურთის აუტში მოსროლა.** მოთამაშემ ბურთი ხელით განგებ არ უნდა -- დააგდოს, გადადოს, გააგოროს, უბიძგოს ან ტკორცენოს -- აუტში, ლელოს კიდეზე ან "უკანა ხაზს" მიღმა.

სასჯელი: საჯარიმო დარტყმა -- კიდიდან 15 მეტრზე, თუ "დარღვევის ადგილი" აუტისა და 15-მეტრა ხაზებს შორისაა;

დარღვევის ადგილზე -- თუ იგი მოედანში უფრო ღრმადაა;

მოედანში, კარის ხაზიდან 5 მეტრზე, ხოლო კიდიდან მინიმუმ 15 მეტრზე -- თუ დარღვევის ადგილი ლელოშია.

უნდა დაინიშნოს "საჯარიმო ლელო" -- თუ ამ დარღვევის გარეშე მეტოქე ლელოს უქველად გაიტანდა.

(დ) მოთამაშემ ისეთი არაფერი უნდა ჩაიდინოს, რაც მსაჭს აფიქრებინებს, რომ ამ მოთამაშეს მეტოქე "ბინძურად ეთამაშა" ან რაიმე დაუშავა.

სასჯელი: საჯარიმო დარტყმა

10.3 წესის "ზედიზედ დარღვევა"

(ა) მოთამაშემ ნებისმიერი წესი ზედიზედ (მრავალ-ჯერ, განმეორებით) არ უნდა არღიოს. ამის დადგენისას არსებითია, რომ მოთამაშე წესს მართლაც არღვევს, თორებ იმას, რომ იგი დარღვევას აპირებდა -- მნიშვნელობა არ აქვს.

სასჯელი: საჯარიმო დარტყმა.

"ზედიზედ დამრღვევი" უნდა "გააფრთხილონ და სათამაშო დროის 10 წუთით" გააძევონ.



- (ბ) **გუნდური "განმეორებითი დარღვევები".** თუ გუნდის სხვადასხვა მოთამაშემ ზედიზედ ჩაიდინა ერთნაირი დარღვევა -- მსაჯმა უნდა გადაწყვიტოს, გუნდს ეს "განმეორებით დარღვევებად" ჩაუთვალოს თუ არა.

თუ მსაჯმა ეს დარღვევები განმეორებითად მიიჩნია -- მან გუნდს "საზოგადო შენიშვნა" უნდა მისცეს. თუ ამის შემდეგ ამ გუნდის მოთამაშემ იგივე წესი კიდევ დაარღვია -- მსაჯმა დამრღვევი უნდა "გააფრთხილოს და სათამაშო დროის 10 წუთით" გააძევოს.

სასჯელი: საჯარიმო დარტყმა.

უნდა დაინიშნოს "საჯარიმო ლელო" -- თუ ბოლო დარღვევის გარეშე მეტოქე ლელოს უკველად გაიტანდა.

- (გ) **ერთიანი სტანდარტი.** სანაკრებო და კაცთა მატჩებში მსაჯი ერთიან სტანდარტს უნდა მიჰყევს იმის დადგენისას, თუ განმეორებითად მერამდენე დარღვევა ჩათვალოს.

თუ მოთამაშემ წესი 3-ჯერ დაარღვია, მსაჯმა მას შენიშვნა უნდა მისცეს. ერთი კია, ჭაბუკთა და სალალობო მატჩებში უპრიანია შელავათის დაშვება, რადგან "წესების ვერ-ცოდნა" და "ბურთაობაში გაუწაფავობა" მეტ დარღვევას განაპირობებს.

10.4 სახიფათოდ თამაში და უწესობა

- (ა) **ჩარტყმა.** მოთამაშემ მეტოქეს არ უნდა ჩაარტყას მუშტი, ხელი, იდაჟვი, ბეჭი, თავი ან მუხლ(ებ)ი.
- (ბ) **დაწიხლვა.** მოთამაშემ მეტოქეს ფეხი არ უნდა დააბიჯოს.
- (გ) **ფეხის დარტყმა.** მოთამაშემ მეტოქეს ფეხი არ უნდა დაარტყას.
- (დ) **სარმა.** მოთამაშემ მეტოქე არ უნდა მოცელოს "ფეხის დადებით".
- (ე) **სახიფათოდ ბოჭვა.** მოთამაშემ მეტოქე არ უნდა შებოჭოს ადრე, გვიან ან სახიფათოდ.

ბოჭვის დროს მოთამაშე მეტოქეს მხრებს ზემოთ არ უნდა წვდეს -- გინდაც ჯერ დაბლა შეახოს ხელი. კისრითა და თავით დაჭერა "სახიფათო თამაშია".

სახიფათოა "გაშლილი მკლავით" ბოჭვაც. ამ დროს მოთამაშე მეტოქეს "გაშლილ მკლავს" ურტყამს.





უბურთო მეტოქის დაჭერაც "სახიფათო თამაშია".

მოთამაშემ არ უნდა შებოჭოს მეტოქე, ვინც მიწას ტერფებით აღარ ეხება.

- (გ) **უბურთო მეტოქის დაჭერა.** შერკინების, რაქისა და მოლის გარდა -- "უბურთო მოთამაშები" არ უნდა დაიკიროს "უბურთო მეტოქე" და მას არც უბიძგოს, დაეკახოს ან გზა შეუკრას.
 - (ზ) **სახიფათოდ თავ-დასხმა.** მოთამაშე "ხელის მოუკიდებლად" არ უნდა დაეკახოს "ბურთიან მეტოქეს" და იგი არც ამგვარად წააქციოს.
 - (თ) მოთამაშე არ უნდა შეიჭრას რაქსა და მოლში ისე, რომ სხვა მოთა-მაშეს არ შეეკრას (ხელი არ მოხვიოს ან ჩაავლოს)
 - (ი) **ამხტარის ჰაერში დაჭერა.** მოთამაშე ფეხში არ უნდა სწვდეს დერე-ფანსა და "საზოგადო თამაშში" ბურთის დასაუფლებლად ამხტარ მეტოქეს.
 - (კ) **შუბური ბოჭვა.** მოთამაშის აუგანა (აწევა) და მიწაზე თავით ან "ტა-ნის ზემო ნაწილით" მაშინ დაგდება, როცა მიწას ტერფებით აღარ ეხება -- სახიფათო თამაშია.
 - (ლ) **სახიფათოდ თამაში შერკინებაში, რაქსა და მოლში.**
შერკინებაში -- "პირველი ხაზი" მეტოქისკენ არ უნდა გაექანოს.
პირველ-ხაზელმა მეტოქე განგებ არ უნდა აწიოს და არც შერკინები-დან ამოდევნოს.
მოთამაშემ შერკინება, რაქი და მოლი განგებ არ უნდა ჩააქციოს.
 - (მ) **სამაგიეროს გადახდა.** მოთამაშემ მეტოქეს სამაგიერო არ უნდა გადაუხადოს. მეტოქე გინდაც წესს არღვევდეს -- მოთამაშემ ისეთი არაფერი უნდა ჩაიდინოს, რაც "სპორტულ აღათსა" და "ალალი მეტოქეობის პრინციპს" ეწინააღმდეგება.
 - (ნ) **ულირსად თამაში.** მოთამაშემ "სათამაშო გარემოში" ისეთი არაფერი უნდა ჩაიდინოს, რაც "სპორტულ აღათსა" და "ალალი მეტოქეობის პრინციპს" ეწინააღმდეგება.
- სასკელი:** (ა) - (ნ) საჭარიმო დარტყმა.



(მ) **უწესობა "ბურთის უქმობისას".** მოთამაშე უწესოდა არ უნდა მოიქცეს არც მაშინ, როცა თამაში შეჩერებულია. მან მეტოქეს გზა არ უნდა შეუკრას და არც შეებას.

სასჯელი: საჭარიმო დარტყმა იქ, სადაც თამაში უნდა განახლდეს.

თუ ეს ადგილი აუტის ხაზზე ან მისგან 15 მეტრის ფარგალშია -- დარტყმა 15-მეტრა ხაზზე, ამ ადგილის გასწვრივ ინიშნება.

თუ თამაში "22-დან დარტყმით" უნდა განახლდეს -- "მართალ გუნდს" საჭარიმოს დარტყმა "22-მეტრა ხაზის" ნებისმიერი წერტილიდან შეუძლია.

თუ საჭარიმოს დანიშვნის შემდეგ, მაგრამ მის შესრულებამდე, "დამრღვევი გუნდი" უწესოდ მოიქცა -- მსაჭი დამნაშავეს გააფრთხილებს ან გააძევებს და საჭარიმოს 10 მეტრით წინ წაწევს. ამით ერთ-აშად გასწორდება პირველი დარღვევაცა და უწესობაც.

თუ საჭარიმო დარტყმის დანიშვნის შემდეგ, მაგრამ მის შესრულებამდე, უწესოდ "მართალი გუნდის" მოთამაშე მოიქცა -- მსაჭი მას გააფრთხილებს ან გააძევებს, დანიშნულ დარტყმას კი გააუქმებს და სანაცვლოდ მეტოქეს იქვე უბოძებს საჭარიმოს.

თუ დარღვევა "სათამაშო არის" გარეთ მაშინ ჩაიდინეს, როცა მოედანზე ბურთს თამაშობდნენ, და მას ამ წესის არც-ერთი მუხლი არ ესადაგება -- საჭარიმო უნდა დაინიშნოს 15-მეტრა ხაზზე, დარღვევის ადგილის გასწვრივ.

(გ) **დამრტყმელზე "გვიან თავ-დასხმა".** მოთამაშე განგებ არ უნდა "დაესხას თავს" მეტოქეს, ვინც ბურთს ეს-ესაა ფეხი დაარტყა, და მას არც გზა შეუკრას.

სასჯელი: საჭარიმო დარტყმა.

"მართალ გუნდს" ამ დარტყმის ადგილად შეუძლია აირჩიოს თავად დარღვევის, "ბურთის მიწაზე დაცემის" ან "დაცემამდე მისით შემდეგი თამაშის" ადგილები.

დარღვევის ადგილი. თუ დარღვევა დამრტყმელის ლელოში მოხდა - - საჭარიმო ინიშნება კარის ხაზიდან 5 მეტრზე, დარღვევის ადგილის პირდაპირ, ოღონდაც კიდიდან მინიმუმ 15 მეტრზე.



"მართალ გუნდს" საჯარიმოს ადგილად შეუძლია აირჩიოს "ბურთის მიწაზე დაცემის" ან "დაცემამდე მისით თამაშის" (შეხების) ადგილები, ოღონდაც კიდიდან მინიმუმ 15 მეტრზე.


ბურთის მიწაზე დაცემის ადგილი. თუ ბურთი აუტში დაეცა -- "არჩე-შვითი საჯარიმო" ინიშნება 15-მეტრა ხაზზე, ბურთის აუტში გასვლის ადგილის გასწვრივ.

თუ ბურთი დაეცა, ან დაცემამდე მისით ითამაშეს კიდიდან 15 მეტრის ფარგალში -- საჯარიმო 15-მეტრა ხაზზე, დაცემის ან შეხების ადგილის გასწვრივ ინიშნება.

თუ ბურთი ლელოში, ლელოს კიდეზე, უკანა ხაზზე ან მის გადაღმა დაეცა -- საჯარიმო ინიშნება კარის ხაზიდან 5 მეტრზე, იმ ადგილის პირდაპირ, სადაც ბურთმა კარის ხაზი გადაკვეთა, ოღონდაც კიდიდან მინიმუმ 15 მეტრზე.

თუ ბურთი კარის ძელს ან ხარიხას მოხვდა -- საჯარიმო ინიშნება იქ, სადაც ბურთი მიწას დაეცა.

გვიან თავდასხმა





(ჟ) **სოლური და მხედრული.** გუნდმა არ უნდა გააკეთოს არც "სოლური" და არც "მხედრული".

სასჯელი: საჭარიმო დარტყმა პირვანდელი დარღვევის ადგილზე.

სოლური და მხედრული იქრიშები იგეგმება, თუ შემტევს მეტოქის ლელოსთან საჭარიმო ან თავისუფალი უბოძეს.

სოლური. დამრტყმელი ბურთს ფეხს მიჰკრავს და წინ წავა, ან ბურთს თავისიანს გადაუგდებს და ლელოსკენ ეს დაიძრება. გუნდელები ბურთიანს უმალ ორივე მხრიდან მოხვევენ ხელს და ისე დაეწყობიან სოლად, რომ ზოგი მათგანი ბურთიანის წინაც იქნება.

მხედრული. შემტევები დამრტყმელის უკან, ერთი მეორისგან ორიოდე მეტრის შუალედით, მოედნის სიგანეზე გამწკრივდებიან. დამრტყმელის ნიშანზე ისინი წინ დაიძრებიან და მხოლოდ მაშინ, როცა მას დაუახლოვდებიან -- დამრტყმელი ბურთს ფეხს მიჰკრავს და ერთ-ერთს მიაწოდებს.

(რ) ხეირის გამოყენება "ბინძურად თამაშზეც" შეიძლება, მაგრამ თუ დარღვევამ უჟეველი ლელო ჩაშალა -- "საჭარიმო ლელო" უნდა ჩაითვალოს.

(ს) თანა-მსაჭის მიერ ნაპატაკევ "ბინძურად თამაშზე" საჭარიმო შეიძლება დაინიშნოს დარღვევის ადგილზე, ანაც გამოყენებულ იქნას ხეირი.

(ტ) მოთამაშე მსაჭის პატივით უნდა მოეპყრას და გადაწყვეტილებათა გამო არ ედავოს. როგორც კი მსაჭი სასტვენს ჩაშებერავს -- "ცენტრიდან დარტყმისა" და გაძევებათა მომდებო, ხელ-მეორე დასტვენის გარდა -- მოთამაშემ თამაში მყის უნდა შეწყვიტოს.

სასჯელი: საჭარიმო დარტყმა.

10.5 სასჯელები

(ა) თუ მოთამაშემ ამ წესის მუხლი დაარღვია --

* შენიშვნა უნდა მიეცეს; ან

* იგი უნდა გააფრთხილონ და მოედნიდან "დროებით, სათამაშო დროის 10 წუთით" გააძევონ; და ანაც

* მატჩის ბოლომდე გააძევონ.



- (ბ) თუ ერთხელ "გაფრთხილებულმა და დროებით გაძევებულმა მოთა-მაზემ" იმავე მატჩში კიდევ ჩაიდინა დარღვევა, რომლისთვისაც სასჯელად გაფრთხილებაა დადგენილი -- ეს მოთამაშე "მატჩის ბოლომდე" უნდა გააძვონ.

10.6 ყვითელი და წითელი ბარათები

- (ა) თუ მსაჯი მოთამაშეს "ნაკრებთა მატჩში" აფრთხილებს და "დროებით, სათამაშო დროის 10 წუთით" აძევებს -- მას "ყვითელი ბარათი" უნდა უჩვენოს.

შვიდკაცა

"დროებითი გაძევება" 2-წუთიანია.

- (ბ) თუ მსაჯი მოთამაშეს "ნაკრებთა მატჩში" ბოლომდე აძევებს -- მას "წითელი ბარათი" უნდა უჩვენოს.
 (გ) სხვა მატჩებში ბარათების გამოყენების მიზან-შეწონილებას ორგანიზატორი წყვეტს.

10.7 გაძევებული მოთამაშე

"მატჩის ბოლომდე" გაძევებული მოთამაშე თამაშში მეტად აღარ მონაწილეობს.



11. თამაშ-გარეთ და თამაშში

"თამაშ-გარეთ ყოფნა" წილის -- მოთამაშე დროებით ისეთ ადგილზეა, რომ თუ ითამაშებს -- დაჯარიმდება.

"ზოგად თამაშში" მოთამაშე თამაშ-გარეა -- თუ იგი წინაა "ბურთიან გუნდელზე" ან იმ "გუნდელზე", ვინც ბურთით ბოლომ ითამაშა".

"ზოგად თამაშში" მოთამაშე "თამაშში შეიძლება მობრუნდეს" გუნდელის ან მეტოქის მოქმედებით -- მაგრამ მას "თამაშში ვერ მოაბრუნებენ", თუ თამაშში თავად ჩაერევა; წინ, ბურთისკენ წავა; 10 მეტრით არ გაეცლება იმ ადგილს, სადაც ბურთი მიწაზე ეცემა.

11.1 საზოგადო თამაშ-გარე

- (ა) მოთამაშე "თამაშ-გარეთ ყოფნის" გამო მხოლოდ მაშინ შეიძლება დაჯარიმდეს, თუ
 - * თამაშში ერევა;
 - * წინ -- ბურთისკენ მიიწევს;
 - * არღვევს "10 მეტრის წესს" >> 11.4 მუხლი
- "თამაშ-გარე მოთამაშე" ავტომატურად არ ჯარიმდება.
- მოთამაშე, ვინც "უნებლიერ წინ გადაწყვდებული" ბურთი დაიჭირა -- თამაშ-გარეთ არაა.
- მოთამაშე თამაშ-გარეთ შეიძლება აღმოჩნდეს ლელოშიც.
- (ბ) თამაშ-გარედან თამაშში ჩარევა. "თამაშ-გარე მოთამაშე" თამაშში არ უნდა ჩაერიოს. ეს ნიშნავს, რომ მან თავად არ უნდა ითამაშოს ბურთით, და არც მეტოქე შეაფეროს.
- (გ) თამაშ-გარედან წინ-სკლა. თუ გუნდელმა ბურთი წინ დაარტყა -- "თამაშ-გარეთ მყოფი მოთამაშე" მანამ არ უნდა წავიდეს "ბურთის მომლოდინე მეტოქისა" და "მიწაზე ბურთის დაცემის ადგილისკენ", სანამ მას თამაშში არ მოაბრუნებენ.

სასჯელი: თუ მოთამაშე თამაშ-გარეს გამო "ზოგად თამაშში" დაჯარიმდა -- მეტოქე გუნდი აირჩევს "საჯარიმო დარტყმას დარღვევის


ადგილზე", ან შერკინებას იქ, სადაც "დამრღვევა გუნდმა" ბურთით ბოლოებრ ითამაშა.

თუ ეს ადგილი დამრღვევის ლელოშია -- შერკინება კარის ხაზიდან 5 მეტრზე, ამ ადგილის პირდაპირ მოეწყობა.

- (დ) თუ ერთ-ბაშად რამდენიმე "თამაშ-გარეთ მყოფი" მიიწევს წინ მას შემდეგ, რაც მათმა გუნდელმა ბურთს ფეხი დაარტყა -- "დარღვევის ადგილად" მიიჩნევა იმ დამრღვევის ბოზიცია, რომელიც "ბურთის მომლოდინე მეტოქესთან" ან "მიწაზე ბურთის დაცემის ადგილთან" ჟელაზე ახლოა.

11.2 თამაშში მობრუნება "გუნდელის მოქმედებით"

"ზოგად თამაშში" არსებობს სამი გზა, რათა "თამაშ-გარეთ მყოფი" თამაშში "თავისი ან გუნდელთა მოქმედებით" მობრუნდეს.



- (ა) **თავისივე მოქმედება.** თუ "თამაშ-გარე მოთამაშებ" თავად დაიხია იმ გუნდელზე უკან, ვინც "ბურთს ფეხი ბოლომ დაარტყა, მას ბოლო შეეხო ან ბურთი ბოლოს მიჰქონდა" -- "თამაშ-გარე მოთამაშე" თამაშშია.
- (ბ) **ბურთიანის მოქმედება.** თუ "ბურთიანმა გუნდელმა" თამაშ-გარე მოთამაშეს გადაუსწრო -- "თამაშ-გარე მოთამაშე" თამაშშია.




(გ) **დამრტყმელის ან "სხვა თამაშში-მყოფის" მოქმედება.** თუ "თამაშგარე მოთამაშეს" გადაუსწრო "ბურთის დამრტყმელმა" ან იმ "გუნდელმა, ვინც ბურთის დარტყმის დროს | შემდეგ დამრტყმელის გვერდით | მასზე უკან იყო -- "თამაშ-გარე მოთამაშე" თამაშშია.

გუნდელებს "თამაშ-გარე მოთამაშემდე" არგენა აუტისა და "ლელოს კიდის" გავლითაც შეუძლიათ, მაგრამ თამაშში მის მოსაბრუნებლად თავად უნდა დაბრუნდნენ "სათამაშო არეში".

11.3 თამაშში მობრუნება "მეტოქის მოქმედებით"

"ზოგად თამაშში" არსებობს სამი გზა, რათა "თამაშ-გარეთ მყოფი" თამაშში "მეტოქის მოქმედებით" მობრუნდეს -- ოღონდაც, ეს გზები არ ვრცელდება მოთამაშეზე, ვინც თამაშ-გარეთ "10 მეტრის წესითაა".



- (ა) **ბურთით 5 მეტრის გარბენა.** თუ "ბურთიანმა მეტოქემ" 5 მეტრი გაირბინა -- "თამაშ-გარე მოთამაშე" თამაშშია.
- (გ) **დარტყმა ან პასი.** თუ მეტოქემ ბურთს ფეხს დაარტყა ან უბასა -- "თამაშ-გარე მოთამაშე" თამაშშია.
- (გ) **ბურთის "განგებ შეეხა".** თუ მეტოქე ბურთს განგებ შეეხო და არ გერ დაიჭირა -- "თამაშ-გარე მოთამაშე" თამაშშია.



11.4 თამაშ-გარე "10 მეტრის წესის" თანახმად

(ა) თუ გუნდელმა ბურთი ფეხით წინ დაარტყა" -- "თამაშ-გარე მოთა-მაშეს" "თანაშში ჩარევა" დაბრალდება, თუ იმ "წარმოსახვითი ხაზის" წინ დარჩება, რომელიც "მოედნის მთელ სიგანეზე" გადის და 10 მეტ-რითაა დაშორებული ბურთის მომლოდინე მეტოქეს, ან მიწაზე ბურ-თის (სავარაუდო) დაცემის ადგილს.

"თამაშ-გარე მოთამაშებ" უმალ უნდა დაიხიოს ამ "წარმოსახვითი ხაზის" ან დამრტყელის -- თუკი ეს 10 მეტრზე უფრო ახლოა -- უკან, და თან არც მეტოქები შეაფერხოს და არც თამაშში ჩაერიოს.

სასჯელი: საჭარიმო დარტყმა.

(ბ) "10 მეტრის წესით" "თამაშ-გარეთ მყოფი" მოთამაშე ამ უკან-დახევის დროს თამაშში ვერ მობრუნდება "მეტოქის ვერა-ნაირი მოქმედებით".

ერთი კია -- ვიდრე სრული 10 მეტრით გაეცლება ხსენებულ ხაზს, "თამაშ-გარეთ მყოფი" თამაშში შეიძლება მოაბრუნოს "თამაშშივე მყოფმა გუნდელმა" -- თუკი მას გადაუსწრებს.

(გ) "10 მეტრის წესით" "თამაშ-გარეთ მყოფი" თუ მაინც მიეჭრა მეტოქეს, ვინც ბურთს დასჭერად ელის -- მსაჭამა უმალ უნდა დაუსტვინოს და მიმხვდური დააჭარიმოს, რადგან დაყოვნება "ბურთის დამჭერის-თვის" სახიფათოა.

სასჯელი: საჭარიმო დარტყმა.

(დ) "10 მეტრის წესით" "თამაშ-გარეთ მყოფმა" თუ ბურთით მას შემდეგ ითამაშა, რაც მეტოქე ბურთს კი შეეხო, მაგრამ ვერ დაიჭირა -- დაჭარიმდება.

სასჯელი: საჭარიმო დარტყმა.

(ე) "10 მეტრის წესში" არაფერი შეიცვლება, თუ ბურთი ჯერ კარის ძელ(ებ)ს ან ხარისხს მოხვდა. მთავარია -- ბურთი მიწას სად დაეცა. "თამაშ-გარე მოთამაშე" "წარმოსახვით ხაზზე" წინ არ უნდა იქოს "მოედნის მთელ სიგანეზე".

სასჯელი: საჭარიმო დარტყმა.

(ვ) "10 მეტრის წესი" არ ვრცელდება შემთხვევაზე -- როცა მოთამაშემ ბურთს ფეხი დაარტყა, მეტოქემ ამ დარტყმაზე დაუფარა და დამრტყელის იმ გუნდელმა, ვინც "წარმოსახვით 10-მეტრა ხაზზე" წინ იქო -- ბურთით ითამაშა.



საქმე ისაა -- რომ აქ მეტოქე "ბურთს დასაჭერად არ ელოდა" და დამრტყელის გუნდელიც თამაშში იყო >> **11.3 (გ) დებულება**

მოკლედ -- "10 მეტრის წესი" მოქმედებს, თუ მეტოქე ბურთს შეეხო | ბურთით ითამაშა -- მაგრამ დაფარებას არ მოიცავს.

სასჯელი: თუ მოთამაშე "10 მეტრის წესით" დაჯარიმდა -- მეტოქე გუნდი აირჩევს "საჯარიმო დარტყმას დარღვევის ადგილზე", ან შერკინებას იქ, სადაც "დამრღვევმა გუნდმა" ბურთით ბოლოები ითამაშა.

თუ ეს ადგილი დამრღვევის ლელოშია -- შერკინება კარის ხაზიდან 5 მეტრზე, ამ ადგილის პირდაპირ მოეწყობა.

11.5 თამაშში მობრუნება "10 მეტრის წესის" თანახმად

- (ა) "თამაშ-გარე მოთამაშებ" მოედნის "მთელ სიგანეზე" გამავალი, "წარმოსახვითი 10-მეტრა ხაზის" უკან უნდა დაიხიოს -- თორებ დაჯარიმებას დაექვემდებარება.
- (ბ) უკან-დასხვის დროს ეს მოთამაშე გუნდელმა "თამაშში შეიძლება მოაბრუნოს" მაშინაც, თუ მას 10 მეტრი კერ არ გაუვლია >> **11.2 მუხლი** ერთი კია, "10 მეტრის წესით" "თამაშ-გარეთ მყოფი" თამაშში "მეტოქის ვერა-ნაირი მოქმედებით" ვერ მობრუნდება.

11.6 უნებლიერ თამაშ-გარე

- (ა) თუ "თამაშ-გარეთ მყოფი" ვერ ასცდა ბურთს ან "ბურთიან გუნდელს" -- ეს "უნებლიერ თამაშ-გარე"დ ჩაითვლება.
თუ მისმა გუნდმა ამით ხერი ვერ ნახა -- თამაში გრძელდება, თუ არა და -- ინიშნება შერკინება, რომელშიც ბურთს მეტოქე შეაგდებს.
- (ბ) თუ მოთამაშემ ბურთი თავის "წინ მყოფ გუნდელს" ხელიდან ხელში, უტყორცნელად გადააწოდა -- ეს უკანასკნელი თამაშ-გარეა.
თუ მიმღები თამაშ-გარეთ განგებ არ ყოფილა -- მას "უნებლიერ თამაშ-გარე" ეთვლება და ინიშნება შერკინება, რომელშიც ბურთს მეტოქე შეაგდებს, ხოლო თუ მიმღები თამაშ-გარეთ განგებ იყო -- დამრღვევი დაჯარიმდება.



11.7 თამაშ-გარე "წინ დავარდნის | თამაშის" შემდეგ

თუ მოთამაშეს ბურთი წინ დაუვარდა, "თამაშ-გარეთ მობრუნვა გუნდელმა" კი ბურთით შემდეგმა ითამაშა და ამით მეტოქებ "ზოსალოდნელი ხეირი" ვერ ნახა -- "თამაშ-გარე მოთამაშე" უნდა დაისაჭოს.

სასჯელი: საჭარიმო დარტყმა.

11.8 იმ მოთამაშის "თამაშში მობრუნება", ვინც რაჭის, მოლის, შერკინებისა და დერეფნის დროს "უკან იხევს"

(ა) თუ მოთამაშე "რაჭის, მოლის, შერკინების, დერეფნის" შექმნისას თამაშ-გარეთ იყო; მეტოქებ მათში ბურთი მოიპოვა; ეს "რაჭი, მოლი, შერკინება, დერეფანი" დასრულდა -- მოთამაშე მაინც თამაშ-გარეთ რჩება, გინდაც "წესების თანახმად" უკან იხევდეს.

ეს მოთამაშე "თამაშში მობრუნდება" -- თუ იმ "თამაშ-გარეს ხაზის" უკან დაიხევს, რომელიც მას ეხება.

ამ ხერხის გარდა, იგი თამაშში ვერ მობრუნდება "ვერც თავისი და ვერც გუნდელთა გერა-ნაირი მოქმედებით".

(ბ) თუ ეს მოთამაშე თამაშ-გარეთ რჩება -- თამაშში მისი მობრუნება შეუძლია მხოლოდ "მეტოქის ორ მოქმედებას":

* **ბურთით 5 მეტრის გარბენა.** თუ "ბურთიანმა მეტოქებ" 5 მეტრი გაირჩინა -- "თამაშ-გარე მოთამაშე" თამაშშია.

ერთი კია, ეს მოთამაშე "თამაშში ვერ მობრუნდება" -- თუ მეტოქებ ბურთი სხვას გადააწოდა (უგასა). გინდაც მეტოქებმა რამდენიმე ბასი გააკეთონ -- ამით არაფერი შეიცვლება.

* **დარტყმა.** თუ მეტოქებ ბურთს ფეხი დაარტყა -- "თამაშ-გარე მოთამაშე" თამაშშია.

11.9 ზოზინი

მოთამაშე, ვინც თამაშ-გარეთ რჩება და ამით მეტოქეს "უკეთ ბურთაობაში" ხელს უშლის -- თამაშში ერევა და ამდენად, დასასჯელია.

მსაჭამა უნდა უზრუნველ-ჟყოს, რომ ზოზინამ ვერ ისარგებლოს **11.3 მუხლით** -- თამაშში თავად კი არ მობრუნდეს, არამედ თავი "მეტოქეს მოაბრუნებინოს"

სასჯელი: საჭარიმო დარტყმა "თამაშ-გარეს ხაზზე".



12. ბურთის "წინ თამაში" ან "წინ პასი"

ბურთის "წინ თამაში" (დაგარდნა) ნიშნავს, რომ

- * მოთამაშემ ბურთი დაკარგა და ბურთი წინ წავიდა;
- * მოთამაშემ ბურთი "მტევნით ან მკლავით" წინ გადააგდო;
- * მოთამაშეს ბურთი "მტევანზე ან მკლავზე" მოხვდა, და მიწას ან "სხვა მოთამაშეს" მანამ შეეხო, სანამ "გირველად ხსენებული მოთამაშე" მას დაიჭირდა.

"წინ" ნიშნავს მეტოქე გუნდის "ლელოს უკანა ხაზისკენ".

თუ მოთამაშე "მეტოქის ბოჭვის დროს" ბურთს შეეხო და ბურთი ამ მეტოქის ხელიდან წინ წავიდა -- "წინ თამაშია".

თუ მოთამაშემ მეტოქის ბურთი წალლიტა | "ხელიდან განგებ გაავდებინა" და ბურთი ამ მეტოქის ხელიდან წინ წავიდა -- "წინ თამაში" არაა.


გამონაკლისი: **დაფარება.** თუ მოთამაშემ მეტოქეს "ბურთის ფეხით დარტყმისას" ან დარტყმის-თანავე დაუფარა -- ეს მოქმედება "წინ თამაშად" არ მიიჩნევა, გინდაც ბურთი "წინ წავიდეს".

"წინ პასი" (ბურთის წინ გადაწოდება) ნიშნავს, რომ მოთამაშემ ბურთი წინ გადააგდო (ტყორცნა) ან უბასა.

გამონაკლისი: **წინ ასხლტომა.** თუ ბურთი წინ არ გადაუგდიათ, მაგრამ მოთამაშეს ან მიწას მოხვდა და წინ ასხლტა -- "წინ პასი" არაა.



წინ თამაში



წინ ასხლტომა

12.1 რა მოჰყვება დარღვევას -- წინ თამაში ან პასი

- (ა) **უნებლივ წინ თამაში ან პასი.** "დარღვევის ადგილზე" დაინიშნება შერკინება.
- (ბ) **უნებლივ "წინ თამაში ან პასი" დერეფანში.** შერკინება დაინიშნება "კიდიდან 15 მეტრზე".
- (გ) **"წინ თამაში ან პასი" მოედნიდან ლელოში.** თუ შემტევს მოედანზე "წინ თამაში ან პასი" შეემთხვა, შემდეგ კი ბურთი ლელოში შევიდა და იქ უქმი გახდა -- "დარღვევის ადგილზე" დაინიშნება შერკინება.
- (დ) **"წინ თამაში ან პასი" ლელოში.** თუ "წებისმიერი გუნდის" მოთამაშეს ლელოში "წინ თამაში ან პასი" შეემთხვა -- 5-მეტრა შერკინება დაინიშნება "დარღვევის ადგილის" პირდაპირ, ოლონდაც კიდიდან მინიმუმ 5 მეტრზე.
- (ე) **"წინ თამაში ან პასი" კიდეზე.** თუ "წინ თამაშის ან პასის" შედეგად ბურთი კიდეზე გადავიდა -- "მართალ გუნდს" შეუძლია აირჩიოს
- * **დერეფანი** -- "ბურთის კიდეზე გადასვლის" ადგილზე, ან
- * **შერკინება** -- "წინ თამაშის ან პასის" ადგილზე.
- "დერეფანის დაწყობამდე" წება-დართულია ბურთის "სწრაფად (უცებ) შემოგდებაც".**
- (ვ) **განგებ "წინ თამაში ან პასი".** მოთამაშემ ბურთი "ხელის მტევნით ან მქლავით" განგებ "არ უნდა გადააგდოს წინ" და "არც წინ გადააწოდოს".
- სასჯელი:** საჯარიმო დარტყმა. თუ დარღვევამ "უკველი ლელო" ჩაშალა -- "საჯარიმო ლელო" უნდა ჩაითვალოს.



13. ცენტრიდან დაწყება და 22-დან განახლება

"ცენტრიდან დაწყება მატჩისა და "დამატებითი დროის" ორი-ვე ნახევარი (ტაიმი) და ახლდება თამაში "ბურთის გატანის" შემდეგ.

13.1 საიდან და როგორ სრულდება "ცენტრიდან დარტყმა"

- (ა) "ცენტრიდან დარტყმა" სრულდება არექნით -- "შუა ხაზის" ცენტრიდან ან მასზე უკნიდან.
- (ბ) თუ ბურთი "უსწორო ხერხით" ან "არა-სათანადო ადგილიდან" დაარტყეს -- "მეტოქე გუნდს" შეუძლია აირჩიოს ორიდან ერთი:
 - * დარტყმა გაამეორებინოს, ან
 - * "შუა ხაზის" ცენტრში დაანიშნინოს შერქინება, რომელშიც ბურთს თავად შეაგდებს.

ცენტრიდან დარტყმა



13.2 ვინ ასრულებს ამ დარტყმას

- (ა) მატჩს იწყებს ის გუნდი,
- * ვისმა კაპიტანმაც წილის-ურა მოიგო და დაწყება ამჭობინა, ან
- * მეტოქე -- თუ იღბლიანმა კაპიტანმა "მოედნის მხარე" აირჩია.



- (ბ) "შესვენების შემდეგ" თამაშს განაახლებს ის გუნდი, რომლის მეტოქე-მაც ცენტრიდან "მატჩის დაწყებისას" დაარტყა.
- (გ) "ბურთის გატანის შემდეგ" თამაშს ცენტრიდან განაახლებს "ბურთის გამშვები გუნდი".

შვიდკაცა

"ბურთის გატანის შემდეგ" თამაშს ცენტრიდან -- არეკნით განაახ-ლებს იგივე -- "ბურთის გამტანი" გუნდი.

სასკელი: "თავისუფალი დარტყმა" შუა ხაზის ცენტრში.

13.3 "დამრტყმელის გუნდის" განლაგება

დამრტყმელის მთელი გუნდი დარტყმამდე ბურთზე უკან უნდა იყოს.

თუ ასე არ იქნა -- ცენტრში დაინიშნება შერკინება, რომელშიც ბურთს მეტოქე შეაგდებს.

13.4 "მეტოქე გუნდის" განლაგება

მეტოქე გუნდი "10-მეტრა ხაზზე" ან მის უკან უნდა განლაგდეს.

თუ ამ გუნდის რომელიმე მოთამაშე "10-მეტრა ხაზის" წინ დადგა ან იგი დარტყმამდე გადაკვეთა -- "ცენტრიდან დარტყმა" ხელ-ახლა უნდა შესრულდეს.

13.5 ბურთის "10 მეტრზე დარტყმა"

თუ ბურთმა მეტოქის "10-მეტრა ხაზს" მიაღწია -- თამაში გრძელდება, გინდაც ქარმა ბურთი უკანვე წაიღოს.

13.6 ნაკლებზე დარტყმა, მაგრამ მეტოქემ ითამაშა

თუ ბურთმა "10-მეტრა ხაზს" ვერ მიაღწია, მაგრამ ბურთით ჯერ მეტოქემ ითამაშა -- თამაში გრძელდება.

13.7 ნაკლებზე დარტყმა, მაგრამ მეტოქემ არ ითამაშა

თუ ბურთმა "10-მეტრა ხაზს" ვერ მიაღწია -- "მეტოქე გუნდს" შეუძლია აირჩიოს ორიდან ერთი:



- * დარტყმა გაამეორებინოს, ან
- * "შუა ხაზის" ცენტრში დაანიშნინოს შერკინება, რომელშიც ბურთს თავად შეაგდებს.

13.8 ბურთი აუტში "პირდაპირ გავიდა"

ბურთი "სათამაშო მოედანში" უნდა დაეცეს. თუ იგი აუტში (კიდეზე) პირდაპირ გავიდა -- "მეტოქე გუნდს" შეუძლია აირჩიოს სამიდან ერთი:

- * დარტყმა გაამეორებინოს;
- * "შუა ხაზის" ცენტრში დაანიშნინოს შერკინება, რომელშიც ბურთს თავად შეაგდებს; ან
- * სცნოს მიმხდარი. ამ დროს ბურთი აუტიდან უნდა მოაწოდონ "მოედნის შუა ხაზზე", მაგრამ თუ ბურთმა (ქარის გამო) "შუა ხაზს" ვერ მიაღწია და აუტში პირდაპირ გავიდა -- "კიდეზე გადასვლის ადგილზე".

13.9 ბურთი ლელოში შევიდა

- (ა) თუ ცენტრიდან დარტყმული ბურთი მოთამაშეთა შეუხებლივ შევიდა "მეტოქის ლელოში" -- ამ გუნდს შეუძლია აირჩიოს სამიდან ერთი:
 - * დაამიწოს ბურთი;
 - * ბურთი უქმად აქციოს -- ფეხით გაგზავნოს ლელოს კიდეზე ან უკანა ხაზს იქეთ, ან
 - * თამაში გააგრძელოს.
- (ბ) თუ მეტოქემ ბურთი დაამიწა ან უქმად აქცია, ან ბურთი თავად "გახდა უქმი" ლელოს კიდეზე ან უკანა ხაზზე გადასვლით -- მეტოქეს შეუძლია აირჩიოს ორიდან ერთი:
 - * ცენტრში დაანიშნინოს შერკინება, რომელშიც ბურთს თავად შეაგდებს; ან
 - * დარტყმა გაამეორებინოს.
- (გ) თუ მეტოქემ ბურთის დამიწება ან "უქმად ქცევა" გადაწყვიტა -- ეს უმაღ უნდა გააკეთოს. დამცველის მხრივ წებისმიერი სხვა მოქმედება ნიშნავს, რომ მან "თამაში გააგრძელა".



- (დ) თუ ბურთმა "10-მეტრა ხაზს" ვერ მიაღწია და "დამრტყელი გუნდის" ლელოში შევიდა, ხოლო იქ
- * დამცველმა უქმად აქცია; ან
 - * ლელოს კიდეზე ან უკანა ხაზზე გადავიდა --
დაინიშნება 5-მეტრა შერკინება, რომელშიც ბურთს მეტოქე შეაგდებს.

შვიდკაცა

13.3, 13.7, 13.8, 13.9 (ბ)

სასჯელი: მეტოქეს პირდაპირ ერგება "თავისუფალი დარტყმა" შეა ხაზის ცენტრში.

13.10 "22-დან დარტყმა"


22-დან არეკნით ურტყამს "დამცველი გუნდი". დარტყმის შესრულება შეიძლება 22-მეტრა ხაზიდან ან მის უკან მდებარე ნებისმიერი ადგილიდან.

თამაში ამ დარტყმით ახლდება -- თუ შემტევმა ბურთი "წესის დაურღვევა-ლად" შეიტანა ან შეაგდო "მეტოქის ლელოში" და იქ დამცველმა "უქმად აქცია", ანაც ბურთი თავად გადავიდა "ლელოს კიდეზე ან უკანა ხაზზე".

13.11 დარტყმის გაჭანქლება

"22-დან დარტყმა" გაუჭანქლებლივ უნდა შესრულდეს.

სასჯელი: თავისუფალი დარტყმა 22-მეტრა ხაზზე.



22-დან დარტყმა



13.12 უსწორო დარტყმა

თუ ბურთი "უსწორო ხერხით" ან "არა-სათანადო ადგილიდან" დარტყებს -- მეტოქე გუნდს შეუძლია აირჩიოს ორიდან ერთი:

- * დარტყმა გაამეორებინოს, ან
- * "22-მეტრა ხაზის" ცენტრში დაანიშნინოს შერკინება, რომელშიც ბურთს თავად შეაგდებს.

13.13 ბურთმა ხაზი უნდა გადაკვეთოს

- (ა) თუ ბურთმა "22-მეტრა ხაზი" არ გადაკვეთა -- მეტოქე გუნდს შეუძლია აირჩიოს ორიდან ერთი:
 - * დარტყმა გაამეორებინოს, ან
 - * "22-მეტრა ხაზის" ცენტრში დაანიშნინოს შერკინება, რომელშიც ბურთს თავად შეაგდებს.
- (ბ) თუ ბურთმა "22-მეტრა ხაზი" გადაკვეთა, მაგრამ ქარმა უკანვე წაიღო -- თამაში გრძელდება.
- (გ) თუ ბურთმა "22-მეტრა ხაზი" არ გადაკვეთა, მოქმედებს "ხეირის წესი" და მეტოქეს ლელოს გატანა შეუძლია.

13.14 ბურთი აუტში "პირდაპირ გავიდა"

ბურთი მოედანში უნდა დაეცეს. თუ იგი აუტში (კიდეზე) პირდაპირ გავიდა -- "მეტოქე გუნდს" შეუძლია აირჩიოს სამიდან ერთი:

- * დარტყმა გაამეორებინოს;
- * "22-მეტრა ხაზის" ცენტრში დაანიშნინოს შერკინება, რომელშიც ბურთს თავად შეაგდებს; ან
- * სცნოს მომხდარი. ამ დროს ბურთი აუტიდან "22-მეტრა ხაზზე" უნდა მოაწოდონ.

13.15 ბურთი "მეტოქის ლელოში" შევიდა

- (ა) თუ 22-დან დარტყმული ბურთი მოთამაშეთა შეუხებლივ შევიდა "მეტოქის ლელოში" -- ამ გუნდს შეუძლია აირჩიოს სამიდან ერთი:
 - * დაამიწოს ბურთი;



- * ბურთი უქმად აქციოს; ან
 - * თამაში გააგრძელოს.
- (გ) თუ მეტოქემ ბურთი დაამიწა ან უქმად აქცია, ან ბურთი თავად "გახდა უქმი" ლელოს კიდეზე ან უკანა ხაზზე გადასვლით -- მეტოქეს შეუძლია აირჩიოს ორიდან ერთი:
- * დამრტყმელის "22-მეტრა ხაზის" ცენტრში დაანიშნინოს შერკინება, რომელშიც ბურთს თავად შეაგდებს; ან
 - * დარტყმა გაამეორებინოს.
- (გ) თუ მეტოქემ ბურთის დამიწება ან "უქმად ქცევა" გადაწყვიტა -- ეს უმაღ უნდა გააკეთოს. დამცველის მხრივ ნებისმიერი სხვა მოქმედება ნიშნავს, რომ მან "თამაში გააგრძელა".

13.16 დამრტყმელის გუნდი

- (ა) დამრტყმელის მთელი გუნდი დარტყმამდე ბურთზე უკან უნდა იყოს. თუ ასე არ იქნა -- "22-მეტრა ხაზის" ცენტრში დაინიშნება შერკინება, რომელშიც ბურთს მეტოქე შეაგდებს.
- (გ) ერთი კია -- დარტყმის "სწრაფად (უცებ) შესრულების" შემდეგ არ უნდა დაისაჭონ "დამრტყმელის ის გუნდელები", რომლებიც უკან იხევენ, მაგრამ ჯერაც ბურთზე წინ არიან, ამათ უკან-დახევა არ უნდა შეწყვიტონ და არც თამაშში ჩაებან მანამ, სანამ "გუნდელთა მოქმედებით" თამაშში არ მობრუნდებიან.
- სასჯელი: შერკინება "22-მეტრა ხაზის" ცენტრში -- ბურთს მეტოქე შეაგდებს.

13.17 მეტოქე გუნდი

- (ა) ბურთის დარტყმამდე მეტოქე "22-მეტრა ხაზს" არ უნდა გადასცდეს. სასჯელი: თავისუფალი დარტყმა "დარღვევის ადგილზე".
- (გ) თუ მეტოქის მოთამაშე "22-მეტრა ხაზის" გადაღმადაა და დარტყმას აფერებებს -- მისი საჭიროების უწესობად მიიჩნევა.
- სასჯელი: საჭარიმო დარტყმა 22-მეტრა ხაზზე.



14. ბურთი მიწაზეა, ოლონდაც ბოჭვის გარეშე

ეს წესი ეხება შემთხვევებს, როცა

- * ბურთი მიწაზე უპატრონოდ გდია, მოთამაშე კი მის ასაღებად წაიქცა (დაწვა) -- ოლონდაც არა შერყინებისა და რაჭის შემდეგ; ან
- * "ბურთიანი მოთამაშე" მიწაზეა წაქცეული, ოლონდაც მას არავინ ბოჭვაგს.

მოთამაშეებმა ზეზეულად (დგომელა) უნდა იბურთაონ. მოთამაშე განგებ არ უნდა წაიქცეს და ამით ბურთი ისე არ შეაფერხოს -- რომ ბურთაობა უმაღლესი გელარ გაგრძელდეს.

მოთამაშე, ვინც ბურთს აფერხებს, ან მიწაზე წაქცევით მეტოქეს ბურთაობაში ხელს უშლის -- რაგბის "არსსა და სულს" ეწინააღმდეგება და ამდენად, უნდა დაისარგოს.

"ბურთიანად წაქცეული შეუბოჭავი მოთამაშე" და "ბურთის ასაღებად დაწლოლი მოთამაშეც" მარდაც უნდა გაისარგონ.

"ახლოს" ნიშნავს "1 მეტრის ფარგალში".

14.1 წაქცეული მოთამაშე

- (ა) ამ მოთამაშემ მყის უნდა მოიმოქმედოს სამიღან ერთი:
 - * ბურთიანად წამოდგეს;
 - * ბურთი გადააწოდოს (უბასოს); ან
 - * ბურთს ხელი გაუშვას.
- (ბ) პასისა და ხელის გაშვების შემდეგ -- მოთამაშე უმაღლეს უნდა წამოდგეს ან იქაურობს გაეცალოს.
- (გ) "უბურთო მოთამაშე" არ უნდა იწევეს ბურთზე ან "მის ახლოს" -- და ამით მეტოქეს "ბურთის დაუფლებაში" ხელს უშლიდეს.
- (დ) "წაქცეულმა მოთამაშემ" მეტოქე არ უნდა შებოჭოს და არც ამას ეცადოს.

სასჯელი: (ა) - (დ) საკარიმო დარტყმა.





14.2 დგომელა მოთამაშე

- (ა) "წაქცეულ ბურთიანზე" დაწოლა. მოთამაშე განგებ არ უნდა დააწვეს | გადააწვეს "წაქცეულ ბურთიანს".
- (ბ) "ბურთის ახლოს წაქცეულებზე" დაწოლა. მოთამაშე განგებ არ უნდა დააწვეს | გადააწვეს "ბურთის ახლოს ან ირგვლივ" წაქცეულებს.

სასჯელი: (ა) - (ბ) საჭარიმო დარტყმა.



15. ბოჭვა -- ბურთიანის წაქცევა

"ბურთიანი მოთამაშე" შებოჭილია -- თუ იგი ერთმა ან რამდენიმე მეტო-
ქემ დაიჭირა და მიწახე წაქცია.

"წაქცეული ბურთიანი", ვინც გაკავებული | დაჭერილი არაა -- შებოჭი-
ლად "არ მიიჩნევა" და არც ბოჭვა "ითვლება შესრულებულად", რის გამოც
ამ თავის წესები არ მოქმედებს.

"მეტოქის მოთამაშეები", რომლებმაც ბურთიანი დაიჭირეს, წააქციეს
და "თავადაც წაიქცნენ" -- "მბოჭავები" არიან.

"მეტოქის მოთამაშეები", რომლებმაც ბურთიანი დაიჭირეს, მაგრამ
"თავად არ წაქცეულან" -- "მბოჭავები" არ არიან.

ბოჭვა



15.1 სად

"ბოჭვის წესები" მოქმედებს მხოლოდ მოედანზე -- და არა ლელოში.

15.2 რა შემთხვევაში არაა ბოჭვა

თუ მეტოქე(თა) მიერ "დაჭერილ ბურთიანს" ამისივე გუნდელი
დაეჭიდა (შეექრა) -- ეს უკვე "მოლი"ა და არა ბოჭვა.

15.3 "წაქცევა"ში კიდევ რა იგულისხმება

(ა) თუ "ბურთიანი მოთამაშე" ცალი ან ორივე მუხლით ეხება მიწას --
წაქცეულია.



- (δ) თუ "ბურთიანი" მიწაზე ზის ან "სხვა წაქცეულს აზის" (აწევს) -- თავადაც წაქცეულია.

15.4 მბოჭავი

- (ა) თუ მოთამაშემ "ბურთიანი მეტოქე" შებოჭა და ორივენი წაიქცნენ -- მბოჭავმა შებოჭილს ხელი უმაღლ უნდა გაუშვას.
- (ბ) მბოჭავი უმაღლ უნდა წამოდგეს, ან უმაღვე გაეცალოს "შებოჭილსა და ბურთს".
- (გ) ვიდრე ბურთით ითამაშებდეს -- მბოჭავი ჭერ უნდა წამოდგეს. მბოჭავს "ბურთზე თამაში" "წებისმიერი მხრიდან" შეუძლია.

სასჯელი: (ა) - (გ) საკარიმო დარტყმა.



15.5 (გ)



15.5 (გ)



შებოჭილმა მოთამაშემ თამაშის გასაგრძელებლად
ბურთი უმაღლ უნდა გაათავისუფლოს

15.5 შებოჭილი

- (ა) "შებოჭილი" ბურთზე ან მის ახლოს ისე არ უნდა იწვეს, რომ მეტოქეს "ბურთის დაუფლებაში" ხელი შეუშალოს. იგი უნდა ეცადოს იმას, რომ "თამაშის გასაგრძელებლად" ბურთი უმაღლ გახადოს ხელ-მისაწვდომი.



- (ბ) შებოჭილმა ბურთი უმაღ უნდა გადააწოდოს (უბასოს) ან მას ხელი გაუშვას. იგი უმაღ უნდა წამოდგეს ან იქაურობას გაეცალოს (გადა-გორდეს).
 - (გ) შებოჭილს "ბურთი ხელ-განაშვებად" ეთვლება -- თუ იგი მიწაზე უმაღ დადო "ნებისმიერ მხარეს".
 - (დ) შებოჭილს ბურთი ასევე ეთვლება ხელ-განაშვებად, თუ იგი მიწაზე უმაღ გააგორა -- ოლონდაც, წინ არა.
 - (ე) თუ ზეზეულად მყოფი (დგომელა) მეტოქე "ბურთის თამაშს" ცდილობს -- შებოჭილმა ბურთს ხელი უნდა გაუშვას.
- სასჯელი:** (ა) - (ე) საჭარიმო დარტყმა.
- (ვ) თუ შებოჭილმა ლელოში ინერციით შეაღწია -- ლელოს "გატანა ან დაცვა" შეუძლია.
 - (ზ) თუ მოთამაშე "კარის ხაზთან" შებოჭეს -- შეუძლია ლელოს უმაღ მის-წვდეს და იქ "ბურთის დამიწებით" ლელოს გატანა ან დაცვა სცადოს.

15.5 (ზ)

შებოჭილი ლელოს მისწვდა



15.6 სხვა მოთამაშეები -- მბოჭავისა და შებოჭილის გარდა


"ზეზეულად" (დგომელა) ნიშნავს, რომ მოთამაშე მიწას მხოლოდ ტერფებით ეხება და წაქცეულებს არ ებჭინება.

"ჟიშკრიდან" -- ბურთის, შებოჭილისა და "თავისი ლელოდან ჟველაზე ახლოს მყოფი მბოჭავის" უკნიდან.

- (ა) ბოჭვის შემდეგ "ჟველა სხვა მოთამაშეს" ბურთის თამაში მხოლოდ ზეზეულად შეუძლია.

სასჯელი: საჭარიმო დარტყმა.

- გამონაკლისი: **ლელოში შესული ბურთი.** თუ "კარის ხაზთან" ბოჭვის შემდეგ "ხელ-განაშეგი ბურთი" ლელოში შევიდა -- იქ მისი დამიწება ნებისმიერ მოთამაშეს -- თვით წაქცეულსაც კი -- შეუძლია.
- (ა) ბოჭვის შემდეგ ნებისმიერ "დგომელა მოთამაშეს" შეუძლია ბურთიანისთვის ბურთის გამორთმევა (წართმევა).
 - (გ) მეტოქის მოთამაშეებმა, ორმლებმაც ბურთიანი დაიჭირეს და წა-აქციეს, მაგრამ თავად არ წაქცეულან -- ბურთსა და შებოჭილს ხელი უმაღ უნდა გაუშვან. ამ მოთამაშეებს "ბურთით თამაში" შეუძლიათ მხოლოდ ზეზეულად და ჭიშკრიდან.
 - (დ) ბოჭვის ადგილზე და მის ახლოს -- "სხვა მოთამაშეს" ბურთის თამაში შეუძლია მხოლოდ ჭიშკრიდან.
 - (ე) თუ მოთამაშემ ბოჭვაზე ბურთი აიღო, მისით უმაღ უნდა ითამაშოს - - ბოჭვის ადგილიდან წაიღოს, გადააწოდოს (უგასოს) ან ფეხი დაარტყას.
 - (ვ) მოთამაშე -- რომელმაც ბოჭვის ადგილზე პირველმა აიღო ბურთი -- იქვე ან ახლოს მიწაზე არ უნდა დაწვეს (წაიქცეს). გამონაკლისია -- თუ იგი მეტოქემ შებოჭა.





- (ხ) მოთამაშე -- რომელმაც ბოჭვის ადგილზე ან მის ახლოს პირველმა აიღო ბურთი -- შეიძლება შებოჭოს მეტოქემ, ოღონდაც მხოლოდ ჭიშკრიდან.
- (თ) ბოჭვის შემდეგ "მიწაზე წოლილმა" (წაქცეულმა) მოთამაშემ მეტოქეს "ბურთის აღებაში" ხელი არ უნდა შეუშალოს.
- (ი) ბოჭვის შემდეგ "მიწაზე წოლილმა" (წაქცეულმა) მოთამაშემ მეტოქე არ უნდა შებოჭოს და არც ამას ეცადოს.
- (კ) თუ შებოჭილი ლელოს სწვდება და იქ ბურთის დამიწებას ცდილობს - - მეტოქეს შეუძლია ბურთი ხელით წაართვას, მაგრამ ბურთზე "ფეხის დარტყმა" ეკრძალება.

სასჯელი: (გ) - (კ) საჭარიმო დარტყმა.

15.7 აკრძალული მოქმედებანი

- (ა) არავისა აქვს უფლება -- შებოჭილს "ბურთის გადაწოდება (ბასი)" არ დაანებოს.
- (ბ) არავისა აქვს უფლება -- შებოჭილს "ბურთისთვის ხელის გაშვება, წამოდგომა ან გაცლა" არ დაანებოს.
- (გ) არავისა აქვს ბოჭვის შემდეგ (ბურთიანად) "წაქცეულებზე ან მათ ახლოს" დაწოლის უფლება.
- (დ) (დგომელა) მოთამაშე თავს არ უნდა დაესხას (დაეჭიდოს) მეტოქეს, ვინც "ბურთის ახლოს" არაა.
- (ე) თუ შებოჭილმა ბურთს ხელი უმალ ვერ გაუშვა, იქაურობას ვერ გაეცალა ან ამის გაკეთება არ დაანებებს -- მსაჭმა საჭარიმო უმალ უნდა დანიშნოს, თორემ სახიფათო ვითარება შეიიქმნება.

სასჯელი: (ა) - (ე) საჭარიმო დარტყმა.

15.8 ჭოჭმანი "წესის დამრღვევის" გამო

- თუ ბურთი "ბოჭვის ადგილზე" შეფერხდა, მსაჭმა კი ვერ დაადგინა, ეს ვისი ბრალი იყო -- უმალ უნდა დანიშნოს შერკინება.
- მასში ბურთს შეაგდებს ის გუნდი, რომელიც თამაშის შეჩერებისას "წინ მიიწევდა", ხოლო თუ წინ ვერავინ მიდიოდა -- შეაგდებს შემტევი.



16. რაქი

"რაქის" დროს მეტოქე გუნდების "თითო ან მეტი მოთამაშე" მიწაზე დებული ბურთის გარშემო ერთმანეთს ზეზულად ეჭიდება.

რაქის შექმნით "ღია თამაში" დამთავრდა.

"რაქში მყოფი" მოთამაშე "რაქავს" -- თუ იგი ფეხით ცდილობს ბურთის "მოპოვებას ან შენარჩუნებას", და ამ დროს "ბინძურად არ თამაშობს".

16.1 რაქის შექმნა

- (ა) **სად?** რაქი შეიძლება გაიმართოს მხოლოდ მოედანზე.
- (ბ) **როგორ?** მოთამაშეები ფეხზე დგანან. გუნდიდან "მინიმუმ ერთი" მოთამაშე ეჭიდება მეტოქეს, ხოლო ბურთი მიწაზეა.
- თუ ბურთი მიწაზე არაა -- სულ ერთია, რა მიზეზით -- რაქი არ შექმნილა.


16.2 რაქში ჩაბმა

- (ა) რაქის შექმნის, მასში ჩაბმისა და მონაწილეობის დროს მოთამაშეს "თავი და ბეჭები" საკუთარ გავაზე დაბლა არ უნდა ჰქონდეს.



რაქი

- (ბ) მოთამაშემ "რაქში ჩაბმის" დროს მასში უკვე ჩაბმულ გუნდელს ან მეტოქეს "მინიმუმ ცალი მკლავი" მთლიანად უნდა მოხვიოს. "ხელის მოხვევა" (დროში) უნდა უსწორებდეს ან ემთხვეოდეს რაქთან სხეულის სხვა ნაწილთა შეხებას.
- (გ) რაქში ჩაბმულზე (უბრალოდ) "ხელის მტევნის დადება" მკლავის მოხვევად ვერ ჩაითვლება.





- (დ) "რაქის შექმნის, მასში ჩაბმისა და მონაწილეობის" დროს მოთამაშე ფეხზე უნდა იდგეს.

სასჯელი: (ბ) - (დ) საკარიმო დარტყმა.

16.3 რაქვა

- (ა) მოთამაშე რაქში "ფეხზე დგომას" უნდა ეცადოს.
(ბ) მოთამაშე რაქში "განგებ არ უნდა" წაიქცეს ან ჩაიმუხლოს -- ასე მოქცევა "სახიფათო თამაშია".
(გ) მოთამაშემ რაქი "განგებ არ უნდა" ჩააქციოს -- ესეც "სახიფათო თამაშია".

- (დ) მოთამაშე რაქს არ უნდა შეახტეს.

სასჯელი: (ა) - (დ) საკარიმო დარტყმა.

- (ე) მოთამაშეს "თავი და ბეჭები" საკუთარ გავაზე დაბლა არ უნდა ჰქონდეს.

სასჯელი: თავისუფალი დარტყმა.

- (ვ) მოთამაშემ ბურთის რაქის დროს "წაქცეულ მეტოქეს" ფეხი არ უნდა ჩააზილოს. მან წაქცეულებს განგებ კი არ უნდა დააბიჭოს -- არამედ მათზე გადალაჭებას ეცადოს. რაქვა წება-დართულია მხოლოდ "ბურთის ახლოს".

სასჯელი: საკარიმო დარტყმა "სახიფათოდ თამაშისთვის".

16.4 სხვა დარღვევები

- (ა) მოთამაშემ "რაქიდან გამოსული" ბურთი რაქში ალარ უნდა დააბრუნოს.

სასჯელი: თავისუფალი დარტყმა.

- (ბ) მოთამაშემ რაქში ბურთს ხელი არ უნდა ახლოს.

გამონაკლისია, თუ "დგომელა მოთამაშემ" "ბურთზე ხელით თამაში" ბოჭევის შემდეგ -- ოლონდაც რაქის შექმნამდე -- დაიწყო.

- (გ) მოთამაშემ რაქში ბურთი ფეხებით არ უნდა აწიოს.



(დ) "რაქში ან მის ახლოს წაქცეული" მოთამაშე ბურთის გაცლას უნდა ეცადოს. ამ მოთამაშემ არ უნდა შეაფეროს "რაქში მყოფი ან იქიდან გამომავალი" ბურთი.

(ე) მოთამაშე "რაქიდან გამომავალ" ბურთს არ უნდა დაახტეს.

სასჯელი: (ბ) - (ე) საჭარიმო დარტყმა.

(ვ) მოთამაშემ ისეთი არაფერი უნდა ჰქნას -- რაც მეტოქეს აფიქრებინებს, რომ ბურთი "რაქიდან გამოსულია" მაშინ, როცა იგი კერაც იქაა.

სასჯელი: თავისუფალი დარტყმა.

16.5 თამაშ-გარე

(ა) **თამაშ-გარეს ხაზი.** ასეთი ხაზი ორია -- მეტოქე გუნდებისათვის თითო -- და "კარის ხაზთა" პარალელურად გადის "ამ გუნდიდან რაქში ჩაბმული ბოლო მოთამაშის ბოლო ფეხზე".

თუ ეს ფეხი (ტერფი) "კარის ხაზზე" ან მის უკანაა -- "დამცველი გუნდისთვის" თამაშ-გარეს ხაზი მისივე "კარის ხაზია".

(ბ) მოთამაშე რაქში უმაღ უნდა ჩაებას, ანაც მან დაუყოვნებლივ უნდა დაიხიოს "თამაშ-გარეს ხაზის" უკან.

თუ მოთამაშე რაქის გვერდით შეეყონდა -- თამაშ-გარეთაა.

(გ) **გინც რაქში ებმება.** თუ მოთამაშე რაქში ებმება -- თავისი "ბოლო გუნდელის ბოლო ფეხის" უკან ან მის გვერდით უნდა ჩაებას.

თუ მოთამაშე რაქში "მეტოქის მხრიდან" ან "ბოლო გუნდელის წინ" ჩაება -- თამაშ-გარეთაა.

თუ თავად თამაშ-გარეთ არაა -- მოთამაშეს მეტოქესთან დაჭიდებაც შეუძლია.

(დ) **გინც რაქში არ ებმება.** თუ მოთამაშე "თამაშ-გარეს ხაზის" წინაა და რაქში არ ებმება -- ამ ხაზის უკან უმაღ უნდა დაიხიოს.

თუ ამ ხაზზე უკან მყოფმა მას გადააბიჯა, მაგრამ რაქში არ ჩაება -- თამაშ-გარეთაა.

სასჯელი: (ბ) - (დ) საჭარიმო დარტყმა დამრღვევი გუნდის "თამაშ-გარეს ხაზზე".




16.6 რაქის "შედეგიანად დასრულება"

- * თუ ბურთი რაქიდან გამოვიდა, ან
- * კარის ხაზე ან მის გადაღმადაა --
რაქი შედეგიანად დასრულდა.

16.7 რაქის "უშედეგოდ დასრულება"

- (ა) რაქი უშედეგოდ დასრულდა -- თუ მასში "ბურთის თამაში შეუძლებელი გახდა" და შერკინება დაინიშნა.
ამ შერკინებაში ბურთს ის გუნდი შეაგდებს, რომელიც რაქის შეფერხებისას "წინ მიიწევდა".
- თუ წინ ვერც-ერთი გუნდი ვერ მიიწევდა, ან მსაჭი ვერ ადგენს სათანადო გუნდს -- შერკინებაში ბურთს ის გუნდი შეაგდებს, რომელიც "წინ მიიწევდა" რაქის დაწყებამდე.
- თუ წინ ამ დროსაც ვერავინ მიიწევდა -- შერკინებაში ბურთს "შემტევი გუნდი" შეაგდებს.
- (ბ) ვიდრე შერკინების დასანიშნად დაუსტვენდეს, მსაჭმა ბურთს ჯერ რაქიდან გამოსვლა უნდა ადროვოს | აცალოს -- განსაკუთრებით მაშინ, თუ ერთ-ერთი გუნდი "წინ მიიწევს".
- თუ რაქი აღარ იძვრება, ან მსაჭი გადაწევეტს, რომ ბურთი იქიდან დროულად ვერ გამოვა -- შერკინება უნდა დანიშნოს.
- (გ) თუ გუნდმა რაქში ბურთი ცხადად | თვალ-საჩინოდ მოიგო და მისით თამაში შეუძლია -- მსაჭი უნდა დაუძახოს **"გამოიტანეთ!"**
- თუ გუნდი აქედან 5 წამში ბურთით არ ითამაშებს -- მსაჭი დანიშნავს შერკინებას, რომელშიც ბურთს მეტოქე შეაგდებს.

თამაშ-გარეს ხაზი რაქში
ჩაბმული "ბოლო მოთამაშის
ბოლო ფეხზე" გადის, რის გამოც
ჯარ-დასმული ჯარიმაშია



17. მოლი

"მოლი" დაწეულია -- თუ "ბურთიანი მოთამაშე" ერთმა ან მეტმა მე-ტოქემ დაიჭირა, ბურთიანს კი ერთი ან რამდენიმე გუნდელი მიეშველა და შეეჭიდა.

აქედან გამომდინარე -- მოლში შექმნისას არა-ნაკლებ 3 მოთამაშეა: ბურთიანი და მინიმუმ თითო მისიანი და მეტოქე.

კველა ესენი ფეხზე დგანან, ერთმანეთს შებმიან ან ეჭიდებიან, და ლელოსკენ მიიწევენ.

მოლის შექმნით "ლია თამაში" დამთავრდა.

17.1 მოლის შექმნა

სად? მოლი შეიძლება გაიმართოს მხოლოდ მოედანზე.

17.2 მოლში ჩაბმა

- (ა) მოლში ჩაბმის დროს მოთა-მაშეს "თავი და ბეჭები" სა-კუთარ გავაზე დაბლა არ უნდა ჰქონდეს.
სასჯელი: თავისუფალი დარტყმა.
- (ბ) მოთამაშე მოლში უნდა დაიჭირონ ან მასში თავად ჩაებას. თუ იგი უბრალოდ მოლის გვერდითაა -- ჩაბმულად ვერ მიიჩნევა.
- (გ) "მოლში ჩაბმულზე" ხელის მტევნის დადება "მქლავის მოხვევად" ვერ მიიჩნევა.
- (დ) **ზეზეულად ყოფნა.** მოთამაშე მოლში "ფეხზე დგომას" უნდა ეცადოს. ბურთიანი შეიძლება წაიქცეს, მაგრამ თუ ბურთი სათამაშოდ უმალაა ხელ-მისაწვდომი -- თამაში გრძელდება.
- (ე) მოთამაშემ მოლი განგებ არ უნდა ჩააჭიოს --ასე მოქცევა "სახიფა-თო თამაშია".





- (3) მოთამაშე მოლს არ უნდა შეახტეს.

სასჯელი: (3) - (3) საჭარიმო დარტყმა.

17.3 სხვა დარღვევები

- (ა) მოთამაშე მოლიდან "მეტოქის გამოთრევას" არ უნდა ეცადოს.

სასჯელი: საჭარიმო დარტყმა.

- (ბ) მოთამაშემ ისეთი არაფერი უნდა ჰქნას -- რაც მეტოქეს აფიქრებინებს, რომ ბურთი "მოლიდან გამოსულია" მაშინ, როცა იგი ჯერაც იქაა.

სასჯელი: თავისუფალი დარტყმა.

- (+) ჩამოყალიბებულ მოლში ნება-დართულია ბურთის "ხელიდან ხელში უკან გადაწოდება" -- ოღონდაც ბურთიანს ეკრძალება "უკან ჩარჩება".

დერეფანში -- გამომრთმევი მხტომელთან კონტაქტში უნდა დარჩეს, სანამ მას ბურთს არ გამოათმევს.

სასჯელი: საჭარიმო დარტყმა.

17.4 თამაშ-გარე

- (ა) თამაშ-გარეს ხაზი. ასეთი ხაზი ორია -- მეტოქე გუნდებისთვის თითო -- და "კარის ხაზთა" გარალელურად გადის "ამ გუნდიდან მოლში ჩაბმული ბოლო მოთამაშის ბოლო ფეხზე".



თუ ეს ფეხი (ტერფი) "კარის ხაზზე" ან მის უკანაა -- "დამცველი გუნდისთვის" თამაშ-გარეს ხაზი მისივე "კარის ხაზია".



- (ბ) მოთამაშე მოლში უმაღუნდა ჩაებას, ანაც მან დაუყოვნებლივ უნდა დაიხიოს "თამაშ-გარეს ხაზის" უკან.

თუ მოთამაშე მოლის გვერდით შეეკვნდა -- თამაშ-გარეთაა.

(გ) **ვინც მოლში ებმება.** თუ მოთამაშე მოლში ებმება -- თავისი "ბოლო გუნდელის ბოლო ფეხის" უკან ან მის გვერდით უნდა ჩაებას.

თუ მოთამაშე მოლში "მეტოქის მხრიდან" ან "ბოლო გუნდელის წინ" ჩაება -- თამაშ-გარეთაა.

(დ) **ვინც მოლში არ ებმება.** თუ მოთამაშე "თამაშ-გარეს ხაზის" წინაა და მოლში არ ებმება -- ამ ხაზის უკან უმაღ უნდა დაიხიოს.

ვინც ასე არ შვრება -- თამაშ-გარეთაა.

თუ ამ ხაზზე უკან მყოფმა მას გადააბიჯა, მაგრამ მოლში არ ჩაება -- თამაშ-გარეთაა.

(ე) **ვინც მოლიდან გავიდა ან მასში ხელ-ახლა ებმება.** თუ მოლიდან გავიდა -- მოთამაშემ უმაღ უნდა დაიხიოს "თამაშ-გარეს" ხაზის უკან, რათა თამაშ-გარეთ არ იყოს.

მერე თუ ეს მოთამაშე მოლში "ბოლო გუნდელის წინ" ჩაება -- თამაშ-გარეთ იქნება. ერთია კია, მას მოლში ჩაბმა "ბოლო გუნდელის გვერდითაც" შეუძლია.

სასჯელი: (ბ) - (ე) საჯარიმო დარტყმა დამრღვევი გუნდის "თამაშ-გარეს ხაზზე".

(ვ) თუ "ბურთის მფლობელი გუნდის" მეტოქე მოლს განგებ გამოეცალა და მასში არავინ დატოვა -- მოლი მაინც გრძელდება.

ამ დროს "თამაშ-გარეს ხაზი" ბურთის მფლობელისთვის კვლავაც "მოლში ჩაბმულ ბოლო მოთამაშის ბოლო ფეხზე" გადის, ხოლო მეტოქისთვის -- "მოლში ჩაბმულთაგან მოწინავის წინა ფეხზე".

(ზ) "მოლის მიმტოვებელი გუნდის" მოთამაშე მოლში ხელ-ახლა ჩასაბ-მელად ბურთის მფლობელი გუნდის" მოწინავეს უნდა დაეჭიდოს.

სასჯელი: (ვ) - (ზ) საჯარიმო დარტყმა.

17.5 მოლის "შედეგიანად დასრულება"

* თუ თავად ბურთი ან "ბურთიანი მოთამაშე" მოლიდან გავიდა,

* ბურთი მიწაზე დაიდო, ან



- * კარის ხაზზე ან მის გადაღმა აღმოჩნდა --
მოლი შედეგიანად დასრულდა.

17.6 მოლის "უშედეგოდ დასრულება"

- (ა) მოლი უშედეგოდ დასრულდა -- თუ მასში ბურთი უძრავია ან "5 წამზე მეტით" გაუძრავდა, და შერქინება დაინიშნა.
 - (ბ) მოლი უშედეგოდ დასრულდა -- თუ მასში "ბურთის თამაში შეუძლებელი გახდა" ან მოლი ჩაიჭეა -- ოღონდაც "ბინძურად თამაშის" გარეშე -- და შერქინება დაინიშნა.
 - (გ) "**უშედეგო მოლის**" შემდგომ შერქინებაში ბურთს ის გუნდი შეაგდებს, რომელიც ბურთს "მოლის დაწყებისას" არ ფლობდა.
- თუ მსაჭმა ვერ დაადგინა, ბურთი რომელ გუნდს ჰქონდა -- შერქინებაში ბურთს ის გუნდი შეაგდებს, რომელიც "წინ მიღწევდა" მოლის გაუძრავებამდე.
- თუ ამ დროს წინ ვერც-ერთი გუნდი ვერ მიღწევდა -- შერქინებაში ბურთს "შემტევი გუნდი" შეაგდებს.
- (დ) თუ მოლი "არ იძვრება" ან წინ-სვლა "5 წამზე მეტით" შეწყვიტა, მაგრამ მასში ბურთი მოძრაობს და მსაჭი ამას ხედავს -- ბურთს მოლიდან გამოსვლა უნდა ადროვოს | აცალოს,
 - (ე) ხოლო თუ ბურთი დროულად მაინც ვერ გამოვიდა -- შერქინება დანიშნოს.
 - (ვ) თუ მოლმა წინ-სვლა შეწყვიტა -- წინ მისი "ხელ-ახლა დაძვრა" 5 წამის გნმავლობაში შეიძლება.
- მოლმა ამის შემდეგ წინ-სვლა თუ მეორედაც შეწყვიტა, მაგრამ მასში ბურთი მოძრაობს და მსაჭი ამას ხედავს -- ბურთს მოლიდან გამოსვლა უნდა ადროვოს | აცალოს,
- ხოლო თუ ბურთი დროულად მაინც ვერ გამოვიდა -- შერქინება დანიშნოს.
- (ზ) თუ მოლში "ბურთის თამაში შეუძლებელი გახდა" -- მსაჭმა მოთამაშე-ები დიდხანს არ უნდა აჭიდაოს და შერქინება დანიშნოს.



- (b) თუ მოლში ბურთიანი წაიქცა, ჩაიმუხლა ან მიწაზე დაჭდა -- მსაჭმა შერკინება უნდა დანიშნოს იმ შემთხვევის გარდა, როცა ბურთი სათამაშოდ მყისაა ხელ-მისაწვდომი.
- თუ ბურთი სათამაშოდ ხელ-მისაწვდომია -- მსაჭმა გუნდს უნდა დაუძახოს "გამოიტანეთ!"
- თუ გუნდი აქვედან 5 წამში ბურთით არ ითამაშებს -- მსაჭი დანიშნავს შერკინებას, რომელშიც ბურთს მეტოქე შეაგდებს.
- (c) მოლის-შემდგომი შერკინება "ბურთის დამჭერის გაკავების დროს".
- თუ მოთამაშებ მეტოქის მიერ "ფეხით დარტყმული ბურთი" პირდაპირ დაიჭირა -- ოღონდ არა ცენტრიდან და 22-დან დარტყმის შემდეგ;
- იგი მეტოქებ უმალ გააკავა და შეიქმნა მოლი, რომელიც გაუძრავდა 5 წამზე მეტით ან მასში ბურთის თამაში შეუძლებელი გახდა --
- ინიშნება შერკინება, რომელშიც ბურთს "დამჭერის გუნდი" შეაგდებს.
- აქ "პირდაპირ" ნიშნავს, რომ დამჭერამდე ბურთი არ შესხებია სხვა მოთამაშესა და მიწას.



18. ბურთის "ალალზე" დაჭერა

ბურთის "ალალზე" დასაჭერად მოთამაშე თავის "22-ტეტრა ხაზზე" ან მასზე უკან უნდა იყოს. თუ მოთამაშეს "ცალი ფეხი" ამ ხაზზე ან უკან უდგას -- იგი "22-ში მყოფად" ითვლება.

ამ მოთამაშემ "მეტოქის მიერ ფეხით დარტემული ბურთი" პირდაპირ და სუფთად -- გინდაც ნახტომით -- უნდა დაიჭიროს და "ალალი!" დაიძახოს.

"ცენტრიდან დარტემისას" ალალზე დაჭერა "არ ითვლება" -- "22-დან დარტემის" შემდეგ კი შეიძლება.

"ალალზე დამჭერის" სასარგებლოდ "დაჭერის ადგილზე" დარტემა ინიშნება.

ალალზე დაჭერა შეიძლება მაშინაც, თუ დაჭერამდე ბურთი გზად მოხვდა "კარის ძელ(ებ)ს ან ხარიხას".

"დამცველი გუნდის" მოთამაშეს ალალზე დაჭერა "თავის ლელოშიც" შეუძლია.

18.1 დაჭერის შემდეგ

მსაჭი უმაღ დაუსტვენს
და "ბურთის დამჭერი მო-
თამაშეს" დარტემას და-
უნიშნავს | უბოძებს.



18.2 დანიშვნის ადგილი

დარტემა ინიშნება "და-
ჭერის ადგილზე", ხოლო
თუ ბურთი ლელოში დაიჭირეს -- მოედანში, კარის ხაზიდან 5 მეტრზე,
ამ ადგილის პირდაპირ.

18.3 შესრულების ადგილი

დარტემა სრულდება "დაჭერის ადგილიდან" ან მასზე უკნიდან -- ამ ადგილზე "გამავალი ხაზიდან".



18.4 ვინ დაარტყამს

მოთამაშე -- ვინც ბურთი "ალალზე დაიჭირა".

თუ მან დაარტყამა 1 წუთში ვერ შეძლო -- იქნე ინიშნება შერკინება, რომელშიც ბურთს მისივე გუნდი შეაგდებს.

თუ "დაჭერის ადგილი" ლელოშია -- შერკინება მოედანზე, კარის ხაზიდან 5 მეტრზე, ამ ადგილის პირდაპირ -- ოლონდაც კიდიდან მინიმუმ 5 მეტრზე -- მოეწყობა.

18.5 როგორ სრულდება დარტყმა

"ალალზე დაჭერისთვის" დანიშნული დარტყმა "თავისუფალი დარტყმის" წესებით სრულდება >> **წესი 21**

18.6 სამაგიერო შერკინება

- (ა) ბურთის "დამჭერის გუნდს" დარტყმის ნაცვლად "შერკინების მოთხოვნა" შეუძლია.
- (ბ) **სად გაიმართება შერკინება?** თუ "დაჭერის ადგილი" მოედანზეა -- შერკინება ეწყობა იქნე, ოლონდაც კიდიდან მინიმუმ 5 მეტრზე.
- თუ "დაჭერის ადგილი" ლელოშია -- შერკინება "კარის ხაზიდან" 5 მეტრზე და კიდიდან მინიმუმ 5 მეტრზე ეწყობა.
- (გ) **ვინ შეაგდებს ბურთს?** შერკინებაში ბურთს შეაგდებს ის გუნდი, რომლის მოთამაშემაც ბურთი "ალალზე დაიჭირა".

18.7 საჯარიმო დარტყმა

- (ა) გინდ "თამაშში მუოფი" და გინდაც "თამაშ-გარე მეტოქე" -- ბურთის "ალალზე დამჭერს" -- მსაკის სასტენის შემდეგ -- "თავს ალარ უნდა დაესხას".
- სასჯელი:** საჯარიმო დარტყმა.
- (ბ) **საიდან სრულდება საჯარიმო?** თუ დამრღვევი "თამაშში იუო" -- დარტყმა "დარღვევის ადგილიდან" სრულდება.
- თუ დამრღვევი "თამაშ-გარეთ იუო" >> **წესი 11**
- (გ) **ვინ დაარტყამს?** "მართალი გუნდის" ნებისმიერი მოთამაშე.

19. აუტი

"ბირდაპირ აუტში დარტყმა" -- ფეხით დარტყმული ბურთი აუტში (კიდეზე) ისე გავიდა, რომ "სათამაშო არეში" მიწაზე არ დაცემულა და მას არც "მოთამაშები და მსაჯი" შემხებიან.

"22" (ოცდა ორი) -- კარის ხაზსა და (მასთან უახლოეს) "22-მეტრა ხაზს" შორის მოქცეული ნაკვეთია. იგი მოიცავს "22-მეტრა ხაზს", მაგრამ მას არ ეკუთვნის "კარის ხაზი".

"ბერეფინის შუა ხაზი" წარმოსახვითია. იგი მოედანზე, "აუტის (კიდის) ხაზის" მართობულად, იმ ადგილზე ივლება -- სადაც ბურთი აუტიდან უნდა მოაწოდონ.

ბურთი აუტშია (კიდეზეა გადასული) -- თუ იგი მოთამაშეს არ უჭირავს და თავად ეხება "აუტის ხაზს", ან ვინმეს ან რამეს "ამ ხაზზე ან მის გადაღმა".

ბურთი აუტშია -- თუ იგი მოთამაშეს უჭირავს და ეს მოთამაშე ან თავად ბურთი ეხება "აუტის ხაზს" ან მის გადაღმა მიწას" -- მაგრამ არა "ვინმეს ან რამეს".

"ბურთი აუტში გასვლის ადგილი" იქაა, სადაც "ბურთიანი მოთამაშე" ან ბურთი აუტის ხაზს" შეეხო ან გადაკვეთა.

ბურთი აუტშია -- თუ ბურთი დაჭირის დროს მოთამაშეს "თუნდაც ცალი ტერფი" უდგას "აუტის ხაზზე" ან მის გადაღმა.

თუ "ბურთიანი მოთამაშეს" ცალი ფეხი მოედანზე უდგას, მეორე კი აუტში -- ბურთი აუტშია.

თუ ბურთმა (ჰაერში) გადაკვეთა აუტის ან "ლელოს კიდის ხაზი" და დაიჭირა მოთამაშემ, ვისაც ორივე ფეხი "სათამაშო არეში" უდგას -- ბურთი აუტში ან "ლელოს კიდეზე" გადასული არაა. ამ მოთამაშეს ბურთის "სათამაშო არეში" გადმოგდება ხელის წაკვრით შეუძლია.

თუ მოთამაშე დაჭირისას ახტა -- ორივე ფეხით "სათამაშო არეში" უნდა დახტეს -- თორებ ბურთი აუტში ან "ლელოს კიდეზე" გადასულად ჩაითვლება.

თუ ბურთს "აუტის ხაზის" სიბრტყე არ გადაუკვეთია -- აუტში (კიდის გადაღმა) მყოფ მოთამაშეს შეუძლია ფეხი დაარტყას ან ხელი წაჰკრას -- მაგრამ არ უნდა დაიჭიროს. "აუტის ხაზის სიბრტყე" ამ ხაზისადმი ვერტიკალურია.

19.1 "მოწოდების ადგილი" დარტყმის შემდეგ

მოედნის ვერ-მოგება

- (ა) 22-ის გარედან "გირდაპირ აუტში". თუ "სათამაშო არეში" მყოფმა მოთამაშემ "თავისი 22-ის გარედან" ბურთი აუტში "გირდაპირ და-არტყა" -- გამონაკლისია საჯარიმო დარტყმა -- მისი გუნდი მოედანს ვერ მოიგებს -- წინ ვერ წაიწევს.
- ამ დროს ბურთი აუტიდან უნდა მოაწოდონ
- * "დარტყმის ადგილის" გასწვრივ, კიდევ მდებარე წერტილიდან, ან
 - * იქიდან, სადაც ბურთი "აუტში გავიდა" --
- იმის და მიხედვით, თუ ამ ორი ადგილიდან რომელი უფრო ახლოა "დამრტყმელის ლელოდან".
- (ბ) 22-ში შეტანა და არ-შეხება. თუ მოთამაშემ ბურთი თავისი "22-ის გარედან" "22-ში ან თავის ლელოში" მეტოქის შეუხებლივ გაგზავნა და შემდეგ -- მეტოქის შეხებამდე, ბოჭვამდე, რაქის ან მოლის





შექმნამდე -- მისმა გუნდმა აუტში "პირდაპირ დაარტყა" -- გუნდი მოედანს ვერ მოიგებს.


ეს წესი მოქმედებს მაშინაც, თუ "სწრაფად (უცებ) შემოგდებამდე" გუნდმა ბურთი 22-ის ნიშნულის წინიდან ჩამოიტანა და მერე აუტში "პირდაპირ დაარტყა".

- (გ) **უძრავი ბურთი.** თუ თავის 22-ში "ცალი ან ორივე ტერფით მყოფმა" მოთამაშემ 22-ის გარედან აიღო "უძრავი ბურთი" და აუტში "პირდაპირ დაარტყა" -- მისი გუნდი მოედანს ვერ მოიგებს, რადგან ამ მოთამაშემ ბურთი "თავის 22-ში შეიტანა".
- (დ) **22-ში შერკინებიდან ან დერეფნიდან.** თუ გუნდმა ბურთი შერკინებაში ან დერეფნაში "თავისი 22-ის გარეთ" შეაგდო ან მოაწოდა, ბურთი კი "მეტოქის შეხებლივ" მის 22-ში შევიდა და შემდეგ -- მეტოქის შეხებამდე, ბოჭვამდე, რაქის ან მოლის შექმნამდე -- გუნდმა აუტში "პირდაპირ დაარტყა" -- მოედანი ვერ მოიგება.

მოედნის მოგება

- (ე) **მოძრავი ბურთი.** თუ თავის 22-ში "ცალი ან ორივე ტერფით მყოფმა" მოთამაშემ 22-ის გარედან აიღო "მოძრავი ბურთი" და 22-დან აუტში "პირდაპირ დაარტყა" -- ბურთი უნდა მოაწოდონ იქ, სადაც აუტში გავიდა.
- (ვ) **22-ში შეტანა და შეხება.** თუ მოთამაშემ ბურთი "22-ის გარედან" "თავის 22-ში ან ლელოში" გაგზავნა და მისმა გუნდმა აუტში "პირდაპირ დაარტყა" -- მეტოქის შეხების, ბოჭვის, რაქის ან მოლის შემდეგ -- ბურთი უნდა მოაწოდონ იქ, სადაც "აუტში გავიდა".
- (ზ) **22-ში მეტოქისგან.** თუ ბურთი 22-ში მეტოქისგან შევიდა -- 22-ის ხაზის გადაკვეთამდე დამცველებს არ შეჰებია -- და "დამცველმა გუნდმა" აუტში "პირდაპირ დაარტყა" -- ბურთი უნდა მოაწოდონ იქ, სადაც "აუტში გავიდა".
- (თ) **არა-პირდაპირ აუტში.** თუ სათამაშო არეში, ნებისმიერ ადგილზე მყოფმა მოთამაშემ ბურთი აუტში "არა-პირდაპირ დაარტყა" -- აუტში გასვლამდე ბურთი ჯერ მოედანში დაეცა -- ბურთი უნდა მოაწოდონ იქ, სადაც "აუტში გავიდა".





თუ სათამაშო არეში, ნებისმიერ ადგილზე მყოფმა მოთამაშემ ბურთი დაარტყა, იგი მეტოქეს შეეხო და აუტში "არა-პირდაპირ გავიდა" -- კერ მოედანში დაეცა -- ბურთი უნდა მოაწოდონ იქ, სადაც "აუტში გავიდა".

თუ სათამაშო არეში, ნებისმიერ ადგილზე მყოფმა მოთამაშემ ბურთი დაარტყა, იგი მეტოქეს შეეხო და აუტში "პირდაპირ გავიდა" -- მოედანში არ დაცემულა -- ბურთი უნდა მოაწოდონ იმ ადგილის გასწვრივ, სადაც "მეტოქეს შეეხო", ან არადა -- იქ, სადაც "აუტში გავიდა", თუ ეს ადგილი მეტოქის ლელოდან უფრო ახლოა.

საჯარიმო დარტყმა

(ი) თუ "სათამაშო არის" ნებისმიერი ადგილიდან მოთამაშემ საჯარიმო დაარტყა და ბურთი აუტში -- ოღონდ არა "ლელოს კიდეზე" -- გაგზავნა -- ბურთი უნდა მოაწოდონ იქ, სადაც "აუტში გავიდა".



თავისუფალი დარტყმა

(ქ) 22-ის გარედან "მოედანი კერ მოიგება". თუ 22-ის გარეთ დანიშნული "თავისუფალი დარტყმიდან" ბურთი აუტში "პირდაპირ დაარტყეს" -- ბურთი უნდა მოაწოდონ


* "დარტყმის ადგილის" გასწვრივ, კიდეზე მდებარე წერტილიდან, ან

* იქიდან, სადაც ბურთი აუტში გავიდა"

--

იმის და მიხედვით,
თუ ამ ორი ადგილიდან რომელი
უფრო ახლოა
"დამრტყმელის
ლელოდან".

(ლ) 22-დან | ლელოდან "მოედანი მოიგება". თუ დამცველი გუნდის 22-ში ან ლელოში დანიშნული "თავისუფალი დარტყმიდან" ბურთი აუტში (პირდაპირ) დაარტყეს -- ბურთი უნდა მოაწოდონ იქ, სადაც "აუტში გავიდა".



19.2 სწრაფად (უცებ) შემოგდება


(ა) მოთამაშეს ბურთის "აუტიდან შემოგდება" შეუძლია უცებაც -- სწრაფად -- ისე, რომ დერეფნის მოწყობას არ დაელოდოს.

(ბ) "სწრაფად შემოგდებისას" მოთამაშე უნდა იდგეს მოედნის გარეთ -- "(კერაც დაუწყობელი) დერეფნის შუა ხაზსა" და "თავის კარის ხაზს" შორის მდებარე ნებისმიერ ადგილზე.

(გ) დერეფნის მოწყობის შემდეგ -- მოთამაშემ ბურთი სწრაფად აღარ უნდა შემოაგდოს. თუ მან ასე მაინც ჰქინა -- შემოგდება ბათილდება და "იგივე გუნდი" ბურთს დერეფანში მოაწვდის.

(დ) სწრაფად შემოსაგდებად მოთამაშემ "აუტში გასული" ბურთი უნდა გამოიყენოს. თუ აუტში გასვლის შემდეგ ბურთს -- შემომგდებისა და კიდევე "ბურთიანად გადასული" მეტოქის გარდა -- სხვაც შეეხო, ან ბურთი შეცვალეს -- შემოგდება გაბათილდება და "იგივე გუნდი" დერეფანში მოაწვდის.

სწრაფად შემოგდება



(ე) "სწრაფად შემოგდება" ბათილდება, თუ

- * მოთამაშის მიერ ხელით ნატყორცნი ბურთი "წინ წავიდა";
- * ბურთი "დერეფნის შუა ხაზის" წინიდან შემოაგდეს;
- * ბურთი დამცველის "კარის ხაზზე" ან მასზე უკნიდან შემოაგდეს;
- * მიწის ან მოთამაშეთა შეხებამდე ბურთმა ვერ მიაღწია "5-მეტრა წევეტილს";
- * შემომგდებმა (ფეხი) "სათამაშო მოედანს" დააბიჯა.

"შემოგდების გაბათილების" შემდეგ მეტოქეს შეუძლია აირჩიოს

- * დერეფანში მოწყობება იქ -- სადაც ბურთის "სწრაფად შემოგდება" სცადეს;
- * იქევე, 15-მეტრა ხაზზე -- შერკინებაში ბურთის შეგდება.

თუ მეტოქემ დერეფანი აირჩია და თავადაც არა-სწორად მოაწოდა - - "15-მეტრა ხაზზე" დაინიშნება შერკინება, რომელშიც ბურთს ის გუნდი შეაგდებს, ვინც "სწრაფად შემოგდება" სცადა.



- (3) "სწრაფად შემოგდებისას" მოთამაშეს შეუძლია ბურთი ტყორცნოს "(დერეფნის) შუა ხაზის" გასწვრივ -- "აუტის ხაზის" მართობულად, ან უკან - თავისი ლელოსკენ.
 - (4) "სწრაფად შემოგდებისას" მოთამაშეს შეუძლია "(დერეფნის) შუა ხაზთან" მივიღეს და შემდეგ -- ამ ადგილს დაუსჯელად გაეცალოს.
 - (5) "სწრაფად შემოგდებისას" მოთამაშემ ბურთის მიერ "5 მეტრის გავლას" ხელი არ უნდა შეუშალოს.
- სასჯელი:** თავისუფალი დარტყმა 15-მეტრა ხაზზე.
- (6) თუ "ბურთიანი მოთამაშე" აუტში გადაიკვანეს -- მან ბურთი მეტოქეს უნდა "დაუთმოს | არ უნდა დაუძვიროს" -- რათა ამას "სწრაფად შემოგდება" შეუძლოს.
- სასჯელი:** საჭარიმო დარტყმა 15-მეტრა ხაზზე.

19.3 "მოწოდების ადგილი" სხვა დროს

ეველა სხვა შემთხვევაში -- 19.1 და 19.2 მუხლთა გარდა -- ბურთი აუტიდან უნდა მოაწოდონ იქ, სადაც იგი "აუტში გავიდა (კიდეზე გადავიდა)"

19.4 ვინ მოაწვდის

- (ა) ბურთი აუტიდან უნდა მოაწოდოს იმ მოთამაშის "მეტოქე გუნდმა", ვინც აუტში გასვლამდე ბურთს ბოლო ფლობდა ან შეეხო. "საჭოჭმანო ვითარებაში" ბურთს "შემტევი გუნდი" აწვდის.
- გამონაკლისი:** თუ გუნდმა "საჭარიმო დარტყმიდან" ბურთი აუტში გაგზავნა -- ვინდ პირდაპირ და ვინდაც არა-პირდაპირ -- ბურთი აუტიდან "ამავე გუნდმა" უნდა მოაწოდოს.
- (ბ) თუ ბურთი აუტში "წინ თამაშის" ან "წინ პასის" შედეგად გავიდა -- "მეტოქე გუნდს" სამი არჩევანი აქვს:
 - * დერეფანი იქ, სადაც ბურთმა "კიდის ხაზი" გადაკვეთა;
 - * შერქინება "წინ თამაშის" | "წინ პასის" ადგილზე;
 - * კიდიდან სწრაფად (უცებ) შემოგდება.



19.5 ვისაც ფეხი აუტში უდგას

- (ა) თუ აუტში ან ლელოს კიდეზე "ცალი ან ორივე ტერფით მყოფმა" მოთამაშებ სათამაშო არიდან "უძრავი ბურთი" აიღო -- მას აუტში ან ლელოს "კიდეზე გადასვლა" ჩაეთვლება.
- (ბ) თუ აუტში ან ლელოს კიდეზე "ცალი ან ორივე ტერფით მყოფმა" მოთამაშებ სათამაშო არიდან "მოძრავი ბურთი" აიღო -- მას აუტში ან ლელოს "კიდეზე გადასული ბურთის აღება" ჩაეთვლება.

19.6 როგორ უნდა მოაწოდონ

აუტიდან ბურთის "მო-მწოდებელი მოთამაშე" სათანადო ადგილზე უნდა დადგეს. მან მო-წოდებისას მოედანს (ფეხი) არ უნდა დაა-ბიჭოს.

მოთამაშემ ბურთი ხელით უნდა ტკორცნოს პირდაპირ -- (დერეფნის) შუა ხაზის გასწვრივ -- ისე, რომ ბურთმა "მიწის ან მოთამაშეთა შეხება-მდე" არა-ნაკლებ 5 მეტ-რი გაიაროს.



19.7 არა-სწორად მოაწოდება

- (ა) თუ "აუტიდან დერეფანში" ბურთი არა-სწორად მოაწოდეს -- მეტოქეს შეუძლია თავად აირჩიოს დერეფანში მოწოდება, ან 15-მეტრა ხაზზე ბურთი შერკინებაში შეაგდოს.
- თუ მეტოქემ დერეფანი აირჩია და თავადაც არა-სწორად მოაწოდა - - დაინიშნება შერკინება, რომელშიც ბურთს ის გუნდი შეაგდებს, ვინც არა-სწორად პირველმა მოაწოდა.



- (გ) მოთამაშემ ბურთი დერეფანში გაუკანჯლებლივ, "ცრუ მოძრაობის გარეშე" უნდა მოაწოდოს.
- სასჯელი: თავისუფალი დარტყმა "15-მეტრა ხაზზე".
- (გ) მოთამაშემ ბურთი არა-სწორად "არც განგებ" ან "არც განმეორებით" არ უნდა აწოდოს.
- სასჯელი: საჭარიმო დარტყმა "15-მეტრა ხაზზე".

დერეფანი

დერეფნის დანიშნულებაა "თამაშის დროულად, უხიფათოდ და სამართლიანად განახლება" ბურთის აუტში გასვლის შემდეგ -- ორ ხაზად დაწყობილ მოთამაშეთა შორის ბურთის მოწოდებით (გადმოგდებით).

"დერეფნის მოთამაშე" ისაა, ვინც დერეფნის შემადგენელ ხაზში (მწყობრში) დგას.

"მიმღები" მწყობრის უკან -- "დერეფნის მოთამაშეთა" მიერ გადმოწყობებული ან გადმოგდებული ბურთის დასაჭრად დგება. მიმღებად დადგომა ნებისმიერს შეუძლია -- ოლონდაც გუნდს ყოველ, ცალკეულ დერეფანში შეიძლება ჰყავდეს "მაქსიმუმ ერთი" მიმღები.

"დერეფნის მონაწილეებად" ითვლებიან "აუტიდან ბურთის მომწყობელი" (გადმომგდები) მოთამაშე, ამისი უშუალო მეტოქე, მიმღებები და "დერეფნის მოთამაშეები".


ჟელა სხვა მოთამაშე -- ვინც დერეფანში არ მონაწილეობს -- დერეფნის დასრულებამდე უნდა იდგეს "შუა ხაზზე" მინიმუმ 10 მეტრით უკან, ან თუ მისი გუნდის "კარის ხაზი" უფრო ახლოა -- ამ ხაზის უკან.

"15-მეტრა ხაზი" კიდიდან 15 მეტრზე, აუტის ხაზის პარალელურად, მოედანში გადის.

დერეფანში "წესის დარღვევის" ან "თამაშის შეფერხების" გამო დანიშნული ნებისმიერი შერკინება "დერეფნის შუა ხაზისა" და "15-მეტრა ხაზის" გადაკვეთაზე ეწყობა.

19.8 დერეფნად მოწყობა

- (ა) **მინიმუმი.** დერეფანში (თითო) გუნდიდან მინიმუმ ორი მოთამაშე უნდა დადგეს.
- (ბ) **მაქსიმუმი.** აუტიდან ბურთის "მომწოდებელი გუნდი" ადგენს თითო გუნდიდან დასაწეობთა მაქსიმალურ რაოდენობას.
- (გ) მეტოჯეს შეუძლია დერეფანში "ამ მაქსიმუმზე" ნაკლები მოთამაშეც დააყენოს -- მეტის დაუენება კი ეკრძალება.
- (დ) თუ ბურთი "აუტშია გასული" და მოთამაშე "დერეფნის შუა ხაზთან" მივიდა -- იგულისხმება, რომ მან ეს "დერეფანში დასადგომად" გააკეთა.
- "დერეფნის მოთამაშეები" შუა ხაზთან გაუჯანკლებლივ უნდა მივიდნენ. თუ მწყობრში ჩადგა -- მოთამაშემ დერეფანი აღარ უნდა დატოვოს მისი "გათამაშების დასრულებამდე".
- (ე) თუ ბურთის "მომწოდებელმა გუნდმა" დერეფანში ჩეულზე ნაკლები მოთამაშე დააყენა -- მეტოჯეს დრო უნდა მიეცეს, რათა დერეფნიდან იმდენი მოთამაშე გაიყვანოს, რამდენიც წესის დასაცავადაა საჭირო.
- (ვ) ეს -- ზედმეტი მოთამაშეები დერეფნიდან გაუჯანკლებლივ უნდა გავიდნენ. მათ "შუა ხაზიდან" თავის "თამაშ-გარეს ხაზამდე" -- 10 მეტრით უკან -- უნდა დაიხიონ, მაგრამ თუ დერეფანი მანამ დასრულდა, სანამ ამ ხაზს მიაღწიეს -- შეუძლიათ თამაშში ჩაებან.
- (ზ) **დერეფანში არ-დადგომა.** თუ გუნდი დერეფანში განგებ "არ ეწყობა" -- დასასჯელია.
- (თ) **სად უნდა დადგნენ "დერეფნის მოთამაშეები"?** "დერეფნის თავი" აუტის ხაზიდან არა-ნაკლებ 5 მეტრზეა. "დერეფნის ბოლო" ამავე ხაზიდან არა-უმეტეს 15 მეტრზეა. "დერეფნის მოთამაშეები" ამ ორ ადგილს შორის უნდა განლაგდნენ.
- (ი) **სად დადგეს მიმღები, თუ გუნდი მას იყენებს?**
- ვიდრე დერეფანი დაიწყება -- 5 და 15-მეტრა ხაზებს შორის, დერეფანში გამწკრივებულ გუნდელთა უკან, თავისი ლელოსკენ, მინიმუმ 2 მეტრზე.
- დერეფნის დაწყების შემდეგ -- მიმღებს შეუძლია დერეფნის მწყობრში გადავიდეს და გააკეთოს უველაფერი, რისი უფლებაც "დერეფნის



მოთამაშეს" აქვს. ამ დროს მიმღებს სასჯელიც "დერეფნის მოთამა-შესავით" ეკისრება.

- (ქ) მოთამაშე "აუტისა და 5-მეტრა ხაზებს" შორის. ბურთის "მომწოდე-ბელი გუნდის მეტოქე" ვალდებულია -- დერეფანში მოწყობის დროს, აუტისა და 5-მეტრა ხაზებს შორის დააყენოს ერთი მოთამაშე. იგი თავისი გუნდის მხარეს, "დერეფნის შუა და 5-მეტრა" ხაზებიდან 2 მეტრზე უნდა იდგეს.
- (ლ) აუტიდან ბურთის მოწოდებამდე "დერეფნის მოთამაშეებს" ადგილის "მონაცვლება და ერთმანეთისთვის გაცვლაც" შეუძლიათ.
- (მ) ორი ერთ-მაგი სწორი ხაზი. მეტოქე გუნდების "დერეფნის მოთამა-შეები" -- ერთ-მაგ, პარალელურ, აუტის ხაზისადმი მართობულ -- ორ მწყობრად დგებიან.
- (ნ) დერეფანში დამდგარ მეტოქეთა შორის "ცხადი შუალედი" უნდა დარჩეს. იგი იზომება გამართულად მდგომ მოთამაშეთა "შიდა (მეტოქის-კენა) მხრებს" შორის.



(ო) **მეტრიანი შუალედი.** გუნდის მწყობრი თავისი ლელოსკენ, "დერეფ-ნის შუა ხაზიდან" ნახევარ მეტრზე უნდა დადგეს.

სასჯელი: (ა) - (ო) თავისუფალი დარტყმა "15-მეტრა ხაზზე".

(გ) "**დერეფნის შუა ხაზი**" კარის ხაზიდან 5 მეტრის ფარგალში არ უნდა იკავოს.

(ჟ) "**დერეფფანში დადგომიდან**" ბურთის მოწოდებამდე -- მოთამაშებ მეტოქე არ უნდა დაიჭიროს; მას არც ხელი ჰქონას, თავს დაესხას ან გხა შეუკრას.

სასჯელი: საჭარიმო დარტყმა "15-მეტრა ხაზზე".

19.10




მეტოქეს არ დაეკრდნო



მეტოქეს ხელი არ ჰქრა



მეტოქეს არ უბიძო



მოწოდებაში ხელი არ შეუშალო



წინდაწინ ჩავლება
ნება-დართულია



აწევა
ნება-დართულია



19.9 დერეფნის "დაწყება და დასრულება"

- (ა) დერეფანი იწყება მაშინ, როცა ბურთი აუტიდან მისი "გადმომგდები მოთამაშის" ხელის მტევანს სწოდება (შორდება).
- (ბ) დერეფანი სრულდება მაშინ, როცა ბურთი ან "ბურთიანი მოთამაშე" დერეფნიდან გადის. ეს მოიცავს შემდეგს:
 - * ბურთი დერეფნიდან ტკირცნეს, გადმოაგდეს ან ფეხით დაარტყეს;
 - * ბურთი ან ბურთიანი მოთამაშე "5 მეტრისა და კიდის ხაზებს შორის მოქცეულ ზოლში" გადავიდა;
 - * "დერეფნის მოთამაშემ" ბურთი მისცა "დერეფნიდან დაძრულ მოთამაშეს";
 - * აუტიდან ბურთი "15-მეტრა ხაზს მიღმა" გადმოაგდეს, ან ამავე ხაზის იქით მოთამაშემ გადაიტანა;
 - * დერეფანში შეიქმნა "რაჭი ან მოლი" და მასში ჩაბმული ყველა მოთამაშის ტერფები "დერეფნის შუა ხაზს" იქით გადავიდა;
 - * დერეფანში ბურთის "თამაში შეუძლებელი გახდა" -- ბურთი ჩაიხურა. ამ დროს თამაში შერკინებით ახლდება.

19.10 რა ჰქნას და რა არა "დერეფნის მოთამაშემ"

- (ა) **მეტოქეზე დაურდნობა.** ახტომის დროს მოთამაშე მეტოქეს არ უნდა დაეკრდოს.
 - (ბ) **დაჭრა და კვრა.** დერეფნის მოთამაშემ "უბურთო მეტოქე" არ უნდა დაიჭიროს და მას არც უბიძგოს, თავს დაესხას, გზა შეუკრას ან ხელი ჩავლოს. გამონაკლისია დერეფანში შექმნილი რაჭი და მოლი.
 - (გ) **უწესოდ თავდასხმა.** "დერეფნის მოთამაშე" მეტოქეს შეიძლება თავს დაესხას მხოლოდ მაშინ, როცა თავად ცდილობს "ბურთიანის შებოჭვას" ან "ბურთის თამაშს".
- სასჯელი:** (ა) - (გ) საჭარიმო დარტყმა "15-მეტრა ხაზზე".
- (დ) **აწევა და ხელის შეშველება.** მოთამაშეს შეუძლია მხტომელის აწევა და მისთვის ხელის შეშველება -- ოლონდაც "უკნიდან - შორტზე | წინიდან - ბარძაყზე" არა-ქვემოთ.



- (ဂ) ხელის წინდაწინვე ჩავლება. თუ მოთამაშემ მხტომელი უნდა აწიოს -- უფლება აქვს, მას წინდაწინვე ჩავლოს ხელი -- ოღონდაც "უკნიდან - შორტზე | წინიდან - ბარძაყზე" არა-ქვემოთ.
- (ვ) ახტომა, აწევა და ხელის შეშველება ბურთის გადმოგდებამდე. ვიდრე ბურთი "აუტიდან მისი გადმოგდების" ხელის მტევანს არ მოსწყდება -- "დერეფნის მოთამაშე" არ უნდა ახტეს და არც აწიონ.
- (ზ) ამხტარის დაშვება. თუ მოთამაშეებმა "ამხტარ გუნდელს" ხელი შეა-შველეს -- როგორც კი ბურთის "რომელიმე მოთამაშე" მოიგებს -- "ხელ-შეშველებული" ძირს უნდა დაუშვან.
- (თ) მოწოდების დაბლოკა. "დერეფნის მოთამაშე" აუტის ხაზიდან 5 მეტ-რის ფარგალში არ უნდა დადგეს.
- "ნებისმიერ მოთამაშეს" ეკრალება "მოწოდების დაბლოკა" და "ბურთის მიერ 5 მეტრის გავლისთვის" ხელის შესლა.
- (ი) თუ "აუტიდან გადმოგდებული ბურთი" დერეფნის მოთამაშეს გასცდა -- ამას შეუძლია "აუტისა და 5-მეტრა ხაზებს შორის მოქცეულ ზოლ-ში" გადავიდეს. თუ მოთამაშე ასე მოიქცა, "დერეფნის დასრულება-მდე" თავისი კარის ხაზისკენ აღარ უნდა წავიდეს. **გამონაკლისია** "დერეფნიდან დაძვრა".
- (კ) ბურთის დაჭერა და გადმოგდება. დერეფანში "ამხტარი მოთამაშე" ბურთის დაჭერასა და გადმოგდებას ორივე, ან "მარტო შიდა (მეტოქის-კენა)" ხელით უნდა ეცადოს.
- ამხტარ მოთამაშეს ეკრალება "მარტო გარე ხელით" თამაში; მაგრამ თუ ორივე მტევანი თავს ზემოთ აწია -- ბურთის თამაში "ნებისმიერი ხელით" შეუძლია.
- სასჯელი: (დ) - (კ) თავისუფალი დარტყმა "15-მეტრა ხაზზე".

19.11 აუტიდან ბურთის მომწოდებელი

აუტიდან "ბურთის მომწოდებელმა" -- და მისმა "უშუალო მეტოქემაც" -- უნდა აირჩიოს ოთხიდან ერთი:

- (ა) დარჩეს "აუტის ხაზის" მოსაზღვრე 5-მეტრა ზოლში;
- (ბ) "დერეფნის შუა ხაზზე" 10 მეტრით უკან გამავალ "თამაშ-გარეს ხაზის" უკან დაიხიოს;



- (გ) ბურთის გადმოგდების შემდეგ -- დერეფანში თავადაც ჩადგეს;
 - (დ) თუ მიმღების პოზიცია თავისუფალია -- იქ გადავიდეს.
- თუ მომწოდებელი სხვაგან წავა -- თამაშ-გარეთ აღმოჩნდება.
- სასჯელი:** საჯარიმო დარტყმა "15-მეტრა ხაზზე".

19.12 დერეფანიდან დაძვრა

მოთამაშე "დერეფანიდან იძვრება" -- თუ მწყობრს იმისთვის ტოვებს, რომ გუნდელის მიერ იქიდან "გადმოგდებული ან გადმოწოდებული" ბურთი დაიჭიროს.

- (ა) **როდის?** მოთამაშე მანამ არ უნდა დაიძრას, სანამ ბურთი "აუტიდან მომწოდებლის" ხელის მტევანს არ მოსწერდება.
 - (ბ) **სად?** "დაძრული მოთამაშე" დერეფნის დასრულებამდე უნდა დარჩეს "დერეფნის შუა ხაზსა" და ამაზე "10 მეტრით უკან გავლებულ ხაზს" შორის მოქცეულ ზოლში, და არც გაჩერდეს.
- სასჯელი:** (ა) - (ბ) თავისუფალი დარტყმა "დერეფანის შუა ხაზზე", კიდიდან 15 მეტრზე.

19.13 "თამაშ-გარეს ხაზები" დერეფანში

- (ა) დერეფანი მოწყობის შემდეგ -- (თითო) გუნდისთვის ივლება ორი სხვადასხვა, "კარის ხაზის" პარალელური "თამაშ-გარეს ხაზი".
- (ბ) **მონაწილენი.** პირველი "თამაშ-გარეს ხაზი" ეხება "დერეფნის მონაწილე მოთამაშეებს" -- ჩვეულებრივ, ეკენი არიან ფორვარდები, 9 ნომერი და "აუტიდან ბურთის გადმომდები".
"აუტიდან ბურთის გადმოგდებამდე" და "ბურთის მიერ მიწის ან მოთამაშის შეხებამდეც" ეს "თამაშ-გარეს ხაზი" იგივე "დერეფნის შუა ხაზია", შეხების შემდეგ კი -- ბურთზე გამავალი ხაზი.
- (გ) **არა-მონაწილენი.** მეორე "თამაშ-გარეს ხაზი" ეხება მოთამაშეებს, რომლებიც დერეფანში "არ მონაწილეობენ" -- ჩვეულებრივ, ბეჭებს. მათთვის "თამაშ-გარეს ხაზი" "დერეფნის შუა ხაზზე" 10 მეტრით უკან გადის, მაგრამ თუ მათივე "კარის ხაზი" უფრო ახლოა -- "თამაშ-გარეს ხაზი" თავად ეს "კარის ხაზია".



19.14 თამაშ-გარე "დერეფნის მონაწილისთვის"

- (ა) ბურთის მიერ მიწის ან მოთამაშის შეხებამდე. "დერეფნის მოთამაშე" თამაშ-გარე -- თუ "დერეფნის შუა ხაზს" მანამ გადააპიჯა, სანამ აუტიდან "გადმოგდებული ბურთი" მოთამაშეებს ან მიწას შეეხებოდა.
- გამონაკლისია,** თუ მოთამაშე "დერეფნის შუა ხაზის" მიმართ თავისი მხრიდან -- ბურთისთვის ახტა.
- სასჯელი:** საჯარიმო დარტყმა "15-მეტრა ხაზზე".
- (ბ) თუ ახტა და "დერეფნის შუა ხაზი" გადაკვეთა, მაგრამ ბურთი ვერ დაიჭირა და უკან გაუჯანჯლებლივ დაიხია -- მოთამაშე არ უნდა დააჯარიმონ.
- ახტომისას მოთამაშეს ნაბიჯის გადადგმა ნებისმიერ მხარეს შეუძლია -- ოლონდაც "დერეფნის შუა ხაზს" არ უნდა გადააბიჭოს.
- (გ) ბურთის მიერ მიწის ან მოთამაშის შეხების შემდეგ. მას შემდეგ, რაც ბურთი მოთამაშეებს ან მიწას შეეხო -- "უბურთო მოთამაშე" თამაშ-გარეა, თუ ბურთზე წინაა.
- გამონაკლისია** "მეტოქის შებოჭვა ან ამისი მცდელობა" -- ოლონდაც, მოთამაშემ ბოჭვა უნდა დაიწყოს "ბურთის მიმართ" თავისი მხრიდან.
- (დ) მსაჭამ უნდა დააჯარიმოს მოთამაშე, რომელიც "განგებ ან უნებლიერ" თამაშ-გარეთ გადავიდა -- მაგრამ ბურთის დაუფლებას ან მეტოქის შებოჭვას არც ცდილა.
- (ე) მოთამაშემ დერეფანი მის დასრულებამდე არ უნდა დატოვოს.
- (ვ) **შორს გადმოგდება.** თუ ბურთს შორს, აუტიდან "15-მეტრა ხაზის მიღმა" აგდებენ -- "დერეფნის მონაწილეები" მოედნის სიღრმეში, ამ ხაზის იქით გადასვლა შეუძლია მაშინვე, როგორც კი ბურთი "მომწოდებლის ხელის მტევანს" მოსწეუდება.
- ამ დროს მეტოქესაც შეუძლია "15-მეტრა ხაზის" გადაკვეთა. ერთი კია -- თუ მოედნის სიღრმისეკენ გაიქცა, მაგრამ ბურთი "15-მეტრა ხაზის მიღმა" არ გადმოუგდეს -- მოთამაშე თამაშ-გარეთაა და დასაჯარიმებელია.
- (ზ) **დერეფანში შექმნილი რაქი და მოლი.** თუ დერეფანში "რაქი ან მოლი" გაჩალდა -- დერეფნის მონაწილისთვის "თამაშ-გარეს ხაზი"



ბურთის ნაცვლად გადის -- რაქში ან მოლში "ჩაბმულ, ამ მოთამაშის გუნდელთა" ბოლო ფეხზე .

- (თ) "რაქ-მოლიანი დერეფანი" დასრულებულია, თუ "რაქი ან მოლი" "დერეფნის შუა ხაზს" გადასცდა -- მასში ჩაბმული ყველა მოთამაშის ტერფები ამ ხაზის მიღმაა.
- (ი) "დერეფნის მონაწილე" მასში წარმოქმნილ "რაქსა და მოლში" უნდა ჩაებას, ანაც "თამაშ-გარეს ხაზის" უკან დაიხიოს და იქ დარჩეს -- თორემ თამაშ-გარეთ აღმოჩნდება.

სასჯელი: (ა) - (ი) საჭარიმო დარტყმა "15-მეტრა ხაზზე".

- (კ) რაქისა და მოლის სხვა წესები აქაც მოქმედებს. მოთამაშე რაქსა და მოლში "მეტოქის მხრიდან" არ უნდა ჩაებას.

სასჯელი: საჭარიმო დარტყმა.

- (ლ) მოთამაშე "რაქსა და მოლში" არ უნდა ჩაებას "თამაშ-გარეს ხაზის" წინ.

სასჯელი: საჭარიმო დარტყმა "15-მეტრა ხაზზე".

19.15 თამაშ-გარე "დერეფნის არა-მონაწილისთვის"

- (ა) მოთამაშე, ვინც დერეფანში არ მონაწილეობს -- თამაშ-გარეთაა, თუ დერეფნის დასრულებამდე "თამაშ-გარეს ხაზს" გადააბიჯა.
- (ბ) მოწოდებისას ჯერაც თამაშ-გარე. მოთამაშეს აუტიდან ბურთის მოწოდება მაშინაც შეუძლია, თუ მის გუნდელს "თამაშ-გარეს ხაზის" უკან ჯერ არ დაუხევია. ერთი კია, თუ ეს მოთამაშე "თამაშში დაბრუნებას" გაუჯანხლებლივ არ ცდილობს -- თამაშ-გარეთაა.
- (გ) **შორს გადმოგდება.** თუ ბურთს შორს, "15-მეტრა ხაზის მიღმა" აგდებენ -- მომწოდებლის "არა-დერეფნელ გუნდელს" ბურთის დასაუფლებლად წინ გაქცევა -- თამაშ-გარეს 10-მეტრა ხაზის გადაკვეთა -- შეუძლია მაშინვე, როგორც კი ბურთი "მომწოდებლის ხელის მტევანს" მოსწყდება.
- ამ დროს "არა-დერეფნელ მეტოქესაც" შეუძლია გამოქცევა. ერთი კია -- თუ წინ გაიქცა, მაგრამ ბურთი "15-მეტრა ხაზის მიღმა" არ გადმოუგდეს -- მოთამაშე თამაშ-გარეთაა და დასაჭარიმებელია.



(დ) **დერეფანში შექმნილი რაქი და მოლი.** თუ დერეფანში "რაქი ან მოლი" გაჩაღდა -- დერეფანი მაშინდაა დასრულებული, თუ რაქში ან მოლში ჩაბმული ყველა მოთამაშის ტერფები "დერეფანის შუა ხაზის" მიღმაა.

ვიდრე ეს მოხდება -- იმ მოთამაშისთვის, ვინც "დერეფანში არ მონაწილეობს" -- "თამაშ-გარეს ხაზი" კვლავაც "შუა ხაზზე 10 მეტრით უკან" გადის, ხოლო თუ მისი "კარის ხაზი" უფრო ახლოა -- "თამაშ-გარეს ხაზიც" იგია. თუ მოთამაშემ ამ ხაზ(ებ)ს გადააბიჭა -- თამაშ-გარეთაა.

სასჯელი: (ა) - (დ) საჯარიმო დარტემა "დამრღვევი გუნდის" თამაშ-გარეს ხაზზე -- "დარღვევის ადგილის" პირდაპირ, ოღონდაც "აუტის ხაზიდან" არა-ნაკლებ 15 მეტრზე.

20. შერკინება

შერკინების დანიშნულებაა "თამაშის დროულად, უხიფათოდ და სამართლიანად განახლება" წესის "უმნიშვნელო დარღვევის" ან "თამაშის შეფერხების" შემდეგ.

შერკინება "სათამაშო მოედანზე" იმართება. მასში თითო გუნდიდან 8 მოთამაშე დგება. ისინი ერთმანეთს ხელს გადახვევენ და სამ ხაზად დაეწყობიან.

"მეტოქე მწყობრები" ისე დაუახლოვდებიან ერთმანეთს, რომ "პირველ (წინა) ხაზში ჩამდგართა თავები" მეტოქისას გადაეჭდოს.

ამით იქმნება გვირაბი, რომელშიც "9 ნომერი" ისე შეაგდებს ბურთს, რომ პირველ-ხაზელებმა მის დასაუფლებლად ფეხით იბრძოლონ.

"გვირაბი" მეტოქე "პირველ ხაზები" შორის მოქცეული სივრცეა.

"9 ნომერი" (ჰავბექი) ის მოთამაშეა, ვინც შერკინებაში ბურთს აგდებს.

"შერკინების შუა ხაზი" წარმოსახვითია და მიწაზე, გვირაბში გადის მეტოქე პირველ-ხაზელთა "მხრების შეხების ადგილის" ქვეშ. "შუა ხაზი" კარის ხაზიდან "5 მეტრის ფარგალში" არ უნდა იყოს და შერკინებაც "კიდის ხაზიდან" "5 მეტრის ფარგალში" არ უნდა მოეწყოს.

"ჰუქერი" (ჰავბექი) "პირველი ხაზის" შუა მოთამაშეა.

"ბურჯები" მისგან აქეთ-იქეთ დგებიან. "მარცხენა ბურჯს" თავი თავისუფლად უდევს, "მარჯვენას" კი შებორკილი აქვს.

"მეორე ხაზი" ორი მოთამაშე დგება და "ბურჯსა და ჰუქერს" აწვება.

"ფრთები" (ფლენქერები) გარედან დგებიან და ხელს "მეორე ან მესამე" ხაზელებს ხევევნ.

"8 ნომერი" (შემკვრელი) "მესამე ხაზში" დგება და უფრო ხშირად ორ მეორე-ხაზელს აწვება -- მაგრამ შეუძლია მეორე-ხაზელსა და ფრთას მიაწვეს.

შვიდკაცა

შერკინებაში -- გუნდის სამი მოთამაშე ერთმანეთს ხელს გადახვევს და "ერთ ხაზად" დაეწყობა.

20.1 შესარკინებლად მოწყობა

- (ა) **სად იმართება შერკინება?** თუ წესებში საგანგებოდ არ წერია -- შერკინება ეწყობა "სათამაშო მოედანზე", "წესის დარღვევის ან თამაშის შეფერხების" ადგილზე, ან მასთან შეძლების-და-გვარად ახლოს.
- (ბ) თუ ეს ადგილი "აუტის (კიდის) ხაზს" 5 მეტრზე ნაკლებადაა დაშორებული -- შერკინება "კიდიდან 5 მეტრზე" დგება.
- შერკინება "მოედანში" უნდა გაიმართოს -- შესარკინებლად მოწყობის დროს მისი "შუა ხაზი" კარის ხაზიდან "5 მეტრის ფარგალში" არ უნდა იყოს.
- (გ) თუ "დარღვევა ან შეფერხება" ლელოში მოხდა -- შერკინება ამ ადგილის პირდაპირ, "კარის ხაზიდან 5 მეტრზე" ინიშნება.
- (დ) **გაუჯარებლები.** გუნდმა შერკინებაში დადგომა "განგებ არ უნდა" გააკანკლოს. მსაჭის მიერ "შერკინების ადგილის" ტერფით მონიშვნიდან "30 წამში" გუნდი მზად უნდა იყოს საიმისოდ, რომ მსაჭმა "დაიხარეთ!" დაიძახოს.

სასჯელი: თავისუფალი დარტყმა.

- (ე) **8 მორკინალი.** შერკინებაში თითო გუნდიდან 8 მოთამაშე უნდა იდგეს. შერკინების დასრულებამდე რვაცე მწყობრთან შექრული უნდა რჩებოდეს.
- * პირველ ხაზში -- არც მეტი და არც ნაკლები, სამი,
- * ხოლო მეორეში -- ორი მოთამაშე უნდა იდგეს.

სასჯელი: საჭარიმო დარტყმა.

გამონაკლისი. თუ გუნდში "რაიმე მიზეზით" 15-ზე ნაკლები მოთამაშე დარჩა -- წება-დართულია "ნალდ შერკინებაში" დასაჭერებელთა რიცხვის სათანადოდ შემცირება.

გუნდმა გინდაც ამ შედავათით ისარგებლოს -- მეტოქეს იგივე არ მოეთხოვება.

გუნდმა შერკინებაში "წებისმიერ შემთხვევაში" "მინიმუმ 5" მორკინალი უნდა დააუქენოს.

სასჯელი: საჭარიმო დარტყმა.



შვიდკაცა

- (၂) **3 მორკინალი.** შერკინებაში გუნდიდან ყოველთვის 3 მოთამაშე უნდა იდგეს. ისინი შერკინების დასრულებამდე შეკრული უნდა დარჩინ.

ჭაბუქები

- (၂) "8-კაცა შერკინება" 3-4-1 წყობით უნდა დადგეს. მესამე ხაზის ერთადერთი მოთამაშე (8 ნომერი) მეორე-ხაზელებს უნდა მიაწვეს, ამათ კი თავები ჰუქერის აქტო-იქით ედოთ.

გამონაკლისი. გუნდმა შერკინებაში ოვაზე ნაკლები მოთამაშე უნდა დააყენოს -- თუ "სრული შემადგენლობა" არ ჰყავს, მოთამაშე "ბინძურად თამაშისთვის" გაუძევეს ან ამან "მოედანი ტრავმის გა-მო" დატოვა. ერთი კია, ამ დროსაც ორივე გუნდს მინიმუმ 5 მორკი-ნალის დაყენება მართებს.

"ნაკლული შერკინება" ასე ეწყობა:

- * თუ (ერთ-ერთ) გუნდს ერთი მოთამაშე აკლია -- "ორივე გუნდი" 3-4 წყობით (8 ნომრის გარეშე) უნდა დადგეს.
- * თუ გუნდს ორი მოთამაშე აკლია -- ორივე გუნდი 3-2-1 წყობით (უფრთხოდ) უნდა დადგეს;
- * ხოლო თუ გუნდს სამი მოთამაშე აკლია -- ორივე გუნდი 3-2 განლა-გებით (მარტო პირველი და მეორე ხაზები) უნდა დაეწყოს.

ნაღდ (მიწოლიან) შერკინებაში -- "პირველი ხაზის" სამივე და "მეორე ხაზის" ორივე მორკინალი "სათანადოდ გაწვრთნილი" უნდა იყოს.

თუ ერთ-ერთ გუნდს ასე გაწვრთნილი მორკინალები აკლია მათი "უყოლობის, მოედნიდან გაძევების ან დაშავების გამო" და სათა-ნადოდ გაწვრთნილი შემცვლელიც არა ჰყავს -- მსაჭამა თამაში "ცრუ შერკინებით" უნდა გააგრძელოს.

- (၃) **პირველ ხაზთა შებმა (შეჭიდება).** მსაჭამა "შერკინების ადგილი" ტერფით უნდა მონიშნოს.

შებმამდე -- მეტოქე "პირველი ხაზები" ერთმანეთს მქლავის ერთ გა-წვდენაზე უნდა დაუდგენ, ბურთი კი "9 ნომერს" ეჭიროს და შერკი-ნებაში მის შესაგდებად მზად იყოს.



პირველი ხაზები წინ იმდენად უნდა დაიხარონ, რომ როცა ერთმანეთს შეეჭიდებიან -- მათ ყოველ მოთამაშეს "თავი და ბეჭები" საკუთარ გავაზე დაბლა არ ექნეს.

"პირველი ხაზები" ერთმანეთს "უურ-და-უურ" უნდა გადაეჭიდონ -- ისე, რომ შეჭიდების შედეგად "მოთამაშის თავი გუნდელის თავის მეზობლად" არ აღმოჩნდეს.

სასჯელი: თავისუფალი დარტყმა.

(ზ) მსაჯა ზედიზედ უნდა დაიძახოს "**დაიხარეთ!**" და "**შეეკარით!**"

ამაზე "პირველი ხაზები" წინ უნდა დაიხარონ და (ოთხივე) ბურჯი "გარე (თავისუფალი) ხელით" უშუალო მეტოქეს **20.3 (გ) - (დ) დებულებათა** თანახმად უნდა შეეკრას.

მცირე ყოვნის შემდეგ -- როცა "პირველი ხაზები" მზად იქნებიან -- მსაჯი დაუძახებს "**შეერკინეთ!**"

ამაზე "პირველ ხაზებს" შეუძლიათ ერთმანეთს შეებან.

"**შეერკინეთ!**" ბრძანება არაა -- ის მხოლოდ მითითებაა, რათა "პირველი ხაზები" ერთმანეთს შეებან, როცა-კი ამისთვის მზად იქნებიან.

სასჯელი: თავისუფალი დარტყმა.

(თ) "**დაიხარეთ!**" -- ჩვეულებრივად დგომისას მუხლის იმდენად მოხრა, რომ მეტოქესთან შეჭიდება "გამოქანების გარეშე" მოხერხდეს.

(ი) **გამოქანება.** "პირველი ხაზი" არ უნდა დადგეს შორს და მეტოქისკენ გაექანოს ან "ისინი თავისკენ მოწიოს". ეს "**სახითათო თამაშია**".

სასჯელი: **საჯარიმო დარტყმა.**

(კ) **უძრავი და ბარალელური.** ვიდრე ბურთი "9 ნომრის" ხელის მტევნებს არ მოსწყდება -- შერკინება უძრავად უნდა იდგეს და მისი შეა ხაზი "კარის ხაზთა ბარალელური" იყოს.

"**ბურთის შეგდებამდე**" გუნდს "მიწოლით შერკინების ადგილიდან დაძვრა" ეკრძალება.

სასჯელი: თავისუფალი დარტყმა.



20.2 "პირველ ხაზელთა" დგომი

- (ა) **მისაწოლად მზად-ყოფნა.** შერკინების მოწყობის შემდეგ -- პირველ ხაზელს "ტანი და ფეხები" მზად უნდა ჰქონდეს "წინ მისაწოლად".
- (ბ) ეს ნიშნავს, რომ მოთამაშეს "ორივე ფეხი მიწაზე უნდა ედგას, სიმძიმე კი მყარად ჰქონდეს გადატანილი თუნდაც ცალზე".
- მოთამაშეს ეკრალება ფეხების გადაჯარედინება, მაგრამ ეს შეზღუდვა არ ეხება გუნდელთა ფეხებს.
- მოთამაშეს ბეჭები "საკუთარ გავაზე დაბლა" არ უნდა ჰქონდეს.
- (გ) **ბუქერი (კვაჭი).** შერკინებაში ბურთის შეგდებამდე -- ჰუქერი "ბურთის მოსაგებად" უნდა გაემზადოს.
- მას "ორივე ფეხი მიწაზე უნდა ედგას, სიმძიმე კი მყარად ჰქონდეს გადატანილი თუნდაც ცალზე".
- ჰუქერმა ფეხი არ უნდა დადგას "თანა-გუნდელი ბურჯების კველაზე წინა ტერფის" წინ.**
- სასჯელი: (ა) - (გ) თავისუფალი დარტყმა.

20.3 შეკვრა -- შერკინებაში ხელის მოხვევა

მოთამაშე გუნდელს რომ შეეკრას -- ხელი ტანზე, იღლიაზე ქვემოთ, მთლიანად -- მტებიდან მხრამდე -- უნდა მოხვიოს. გუნდელისთვის მხოლოდ ხელის დადება "შეკვრა" არაა.

- (ა) **შერკინების დაწყებიდან დასრულებამდე კველა "პირველ-ხაზელი მტკიცებ და უწევებად" უნდა იქოს შეკრული.**
- (ბ) **ჰუქერმა "თანა-გუნდელ ბურჯებს" ხელი მკლავებს "ქვემოთ ან ზემოთ" უნდა მოხვიოს. ბურჯებს ჰუქერი ისე არ უნდა ეჭიროთ, რომ ამას სიმძიმე არც-ერთ ფეხზე არ ჰქონდეს გადატანილი.**
- (გ) **"მარცხენა ბურჯმა" მეტოქის "მარჯვენა ბურჯს" მარცხენა მკლავი "მარჯვენა მკლავის შიგნიდან" უნდა ამოსდოს. მან მეტოქის კვართი "მარცხენა ხელით" უნდა ჩაბლუკოს მხოლოდ ზურგზე ან გვერდზე და არა -- მკერდზე, მკლავზე, სახელოზე ან საუკლოზე, და მეტოქეს არც დაბლა უნდა ეწეოდეს.**




(დ) **"მარჯვენა ბურჯმა"** მეტოქის "მარცხენა ბურჯს" მარჯვენა მქლავი "მარცხენა წინა-მხრის გარედან" უნდა ამოსდოს. მან მეტოქის კვართი "მარჯვენა ხელით" უნდა ჩაბლუქოს მხოლოდ ზურგზე ან გვერდზე და არა -- მყერდზე, მქლავზე, სახელოზე ან საყელოზე, და მეტოქეს არც დაბლა უნდა ეწეოდეს.

შეკვრა

(ე) "ამ წესის ფარგალში" ორივე ბურჯს შეუძლია "შეკვრის მეთოდის" შეცვლა.

(ვ) პირველ-ხაზელთა გარდა -- **ყველა სხვა მორკინალი** -- პირველ ხაზთა შეჭიდებამდე "თუნდაც ცალი მქლავით" უნდა შეეკრას "თანა-გუნდელ მეორე-ხაზელს".



მეორე-ხაზელი "მის წინ მდგარ ბურჯს" უნდა შეეკრას, მეტოქის ჩაბლუქა კი -- ბურჯის გარდა -- ყველას ეკრძალება.

(ზ) **ფრთა აფერხებს მეტოქის 9 ნომერს.** თუ გუნდელებს სწორად შეეკრა -- "შერკინების ფრთას" შეუძლია გვერდულად იდგეს. ერთი კია, ფრთა მეტად არ უნდა მობრუნდეს და ამით "მეტოქის 9 ნომერი" შეაფერხოს.

სასჯელი: (ა) - (ზ) საჯარიმო დარტყმა.

(თ) **ჩაქცევა.** შერკინების ჩაქცევის შემდეგ -- მსახმა უმალ უნდა დაუსტვინოს, რათა მოთამაშეებმა მიწოლა შეწყვიტონ.

(ი) **ამოდევნა.** თუ მორკინალი "ჰაერში აწიეს ან შერკინებიდან ამოდევნეს" -- მსახმა უმალ უნდა დაუსტვინოს, რათა მოთამაშეებმა მიწოლა შეწყვიტონ.

20.4 ბურთს "რომელი გუნდი" შეაგდებს

(ა) წესის **დარღვევის შემდეგ** -- შერკინებაში ბურთი "მართალმა გუნდმა" -- დამრღვევის მეტოქებმ -- უნდა შეაგდოს.

(ბ) რაქის შემდეგ >> **16.7 მუხლი**

(გ) მოლის შემდეგ >> **17.6 მუხლი**

(დ) **სხვა დროს.** თამაშის "წებისმიერი სხვა შეფერხებისას" და "წესებში გაუთვალისწინებულ" შემთხვევებშიც -- შერკინებაში ბურთს ის გუნდი შეაგდებს, რომელიც შეფერხებამდე "წინ მიიწევდა".



თუ ამ დროს წინ ვერავინ მიღიოდა -- შერკინებაში ბურთს "შემტევი გუნდი" შეაგდებს.

- (j) თუ შერკინება არ იძვრება და ბურთიც იქიდან უმალ არ გამოდის -- "შეფერხების ადგილზე" ინიშნება "ახალი შერკინება". მასში ბურთს ის გუნდი შეაგდებს, რომელიც შეფერხებისას "ბურთს არ ფლობდა".
 - (k) თუ შერკინება გაუძრავდა და უმალ ხელ-ახლა არ ამოძრავდა -- ბურთი იქიდან დაუყოვნებლივ უნდა გამოიტანონ. თუ ასე არ მოხდა -- დაინიშნება "ახალი შერკინება". მასში ბურთს ის გუნდი შეაგდებს, რომელიც შეფერხებისას "ბურთს არ ფლობდა".
 - (l) თუ შერკინება ჩაიქცა | წამოიშალა და ჯარიმა არ დანიშნულა -- იქვე გაიმართება "ახალი შერკინება", რომელშიც ბურთს "იგივე გუნდი" შეაგდებს.
- თუ "ხელ-მეორე შერკინება" ამ წესში "მოუხსენიებელი მიზეზით" უნდა მოეწეოს -- ბურთს ის გუნდი შეაგდებს, რომელმაც ეს "წინა შერკინებაში" გააკეთა.

20.5 შერკინებაში "ბურთის შეგდება"

გაუგანკლებლივ. როგორც კი მეტოქე "პირველი ხაზები" ერთმანეთს შეეჭიდებიან -- "9 ნომერმა" ბურთი შერკინებაში დაუყოვნებლივ უნდა შეაგდოს.

- * "9 ნომერმა" ბურთი მაშინ უნდა შეაგდოს, როცა მსაჭი ანიშნებს, და
- * შერკინების იმ მხრიდან, რომელიც თავიდან აირჩია.

სასჯელი: თავისუფალი დარტყმა.

20.6 "როგორ აგდებს" ბურთს "9 ნომერი"

- (a) "9 ნომერი" -- შერკინებიდან 1 მეტრზე, "შერკინების შუა ხაზზე" ისე უნდა დადგეს -- რომ მისი თავი შერკინებას არ შეეხოს და არც "ახლო-მდგომი ბურჯის" გადამა მოხვდეს.
- (b) "9 ნომერს" ბურთი უნდა ეჭიროს ორი ხელით --
- * "პირველ ხაზებს" შორის, შერკინების შუა ხაზზე;
- * მუხლიდან და კოჭიდან ტოლ მანძილზე, და
- * ისეც, რომ ბურთის "გრძელი ლერძი" მიწისა და "აუტის ხაზის" გარალელური იქოს.



(გ) "9 ნომრის" მიერ "შეგდებული ბურთი" სწრაფად უნდა მოძრაობდეს. ბურთი "9 ნომრის" ხელის მტევნებს "გვირაბის გარეთ" უნდა მოსწყდეს.

(დ) "9 ნომერმა" ბურთი სწორად, "შუა ხაზზე" უნდა შეაგდოს -- თან ისე, რომ ბურთი მიწას პირველად შეეხოს "ახლო-მდგომი ბურჯის" იქეთა ბეჭის გადაღმად.

(ე) "9 ნომერმა" ბურთი ერთ-მაგი, "წინ მოძრაობით" უნდა შეაგდოს. ეს ნიშნავს, რომ მან ბურთი "უკან არ უნდა წაიღოს" და არც "ცრუ მოძრაობა" გამოიყენოს.

სახელი: (ა) - (ე) თავისუფალი დარტყმა.



20.6 (გ)

20.7 "როდის იწყება" შერკინება

(ა) შერკინებაში თამაში "მაშინ იწყება" -- როცა ბურთი "9 ნომრის" ხელის მტევნებს სწყდება.

(ბ) თუ "9 ნომერმა" ბურთი შერკინებაში შეაგდო, ის კი გვირაბის "ნების-მიერი ბოლოდამ" გამოვიდა და "საჯარიმო | თავისუფალი დარტყმა" არ დანიშნულა -- "იმავე გუნდმა" ბურთი ხელ-ახლა უნდა შეაგდოს.

(გ) თუ ბურთით პირველ-ხაზელებს არ უთამაშიათ, მან კი გვირაბი გაიარა და "იქეთა ბურჯის" ტერფებს უკიდან, მოთამაშეთა შეუხებლივ გამოვიდა -- "იმავე გუნდმა" ბურთი ხელ-ახლა უნდა შეაგდოს.

20.8 აკრძალვები პირველ-ხაზელთათვის

(ა) მირტყმა "ბურთის შეგდებამდე". პირველ-ხაზელებს ფეხები ისე უნდა ედგათ, რომ გვირაბი არ ჩაიხერგოს.

ვიდრე ბურთი "9 ნომრის" ხელის მტევნებს არ მოსწყდება -- პირველ-ხაზელმა ტერფი "მიწიდან არ უნდა აიღოს" და "არც წინ გაწიოს".

პირველ-ხაზელმა ისეთი არაფერი უნდა ჩაიდინოს -- რაც შერკინებაში ბურთის "სწორად შეგდებასა" და "მიწასთან სწორადვე შეხებას" შეაბრკოლებს.



- (ბ) **მირტყმა "შეგდების შემდეგ".** თუ გვირაბში ბურთი უკვე შეეხო მიწას -- წებისმიერ პირველ-ხაზელს შეუძლია, მისი მოგება "წებისმიერი ტერფით" სცადოს.
- (გ) **ბურთის გამოგდება.** პირველ-ხაზელმა ბურთი "განგებ არ უნდა გამოაგდოს" გვირაბის იმ ბოლოდან, საიდანაც იგი შერკინებაში შეაგდეს.
- სასჯელი:** (ა) და (გ) თავისუფალი დარტყმა.

შვიდგაცა

- (გ) ... და არც მეტოქის ლელოსკენ.

სასჯელი: საჭარიმო დარტყმა.

- (დ) თუ ბურთი გვირაბიდან განგებ არ გამოუგდიათ -- იგი "იმავე გუნდმა" ხელ-ახლა უნდა შეაგდოს.
- (ე) თუ ბურთი გვირაბიდან ზედიზედ | განმეორებით გამოაგდეს -- მსაჭმა ეს "განგებ დარღვევად" უნდა მიიჩნიოს და დამნაშავე დასაჭოს.
- (ვ) **ორივე ფეხით.** პირველ-ხაზელმა ბურთს "ერთ-ბაშად არ უნდა და-ჰქირას" ორივე ფეხი. მეტიც, შერკინებაში ბურთის შეგდებამდე და მის შემდეგაც -- მოთამაშემ მიწას "ერთ-ბაშად არ უნდა მოსწყვიტოს" ორივე ტერფი.
- (ზ) **ჩაქცევა.** შერკინებაში ბურთის შეგდებამდე და მის შემდეგაც -- პირველ-ხაზელმა ისე არ უნდა დახაროს ან დაგრიხოს ტანი, და არც მეტოქე დაწიოს ისე -- რომ ამით შერკინება ჩაიქცეს.
- (თ) მსაჭმა შერკინების წებისმიერი "განგებ ჩაქცევა" მკაცრად უნდა აღ-კვეთოს -- რადგან ეს "სახიფათო თამაშია".
- (ი) **აწევა და ამოდევნა.** შერკინებაში ბურთის შეგდებამდე და მის შემ-დეგაც -- პირველ-ხაზელმა მეტოქე არ უნდა აწიოს და არც შერკინე-ბიდან ამოდევნოს -- რადგან ესეც "სახიფათოდ თამაშია".
- სასჯელი:** (ე) - (ი) საჭარიმო დარტყმა.

20.9 საყოველთაო აკრძალვები

- (ა) **ყველა -- ჩაქცევა.** მოთამაშემ შერკინება "განგებ არ უნდა" ჩააქციოს. მორკინალი "განგებ არ უნდა" წაიქცეს; მან "განგებ არ უნდა" ჩაიმუხლოს. ეს ყველაფერი "სახიფათო თამაშია".



- (ბ) **კველას -- ხელით თამაში.** მოთამაშემ შერკინებაში ბურთს "ხელი არ უნდა ახლოს" და იგი არც "მიწიდან აიღოს | აწიოს ტერფებით".
სასჯელი: (ა) - (ბ) საჯარიმო დარტყმა.
- (გ) **კველას -- ბურთის მოგება.** მორკინალი "ბურთის მოგებას" უნდა ეცადოს მხოლოდ "ტერფით ან ფეხის ქვემო ნაწილით".
- (დ) **კველას -- გამოსული ბურთი.** შერკინებიდან "გამოსული ბურთი" მოთამაშემ იქ აღარ უნდა დააბრუნოს.
სასჯელი: (გ) - (დ) თავისუფალი დარტყმა.
- (ე) **კველას -- ბურთზე დაცემა.** მოთამაშე შერკინებიდან გამომავალ | გამოსულ ბურთს "არ უნდა დააწვეს".
სასჯელი: საჯარიმო დარტყმა.
- (ვ) **მეორე ხაზელსა და ფრთას -- გვირაბი.** თუ მორკინალი "პირველ ხაზში" არ დგას -- "გვირაბი მეოფი" ბურთით არ უნდა ითამაშოს.
სასჯელი: თავისუფალი დარტყმა.
- (ზ) **9 ნომერს -- ფეხით თამაში.** ვიდრე ბურთი შერკინებაშია -- "9 ნომერ-მა" მას ფეხი არ უნდა დაარტყას.
სასჯელი: საჯარიმო დარტყმა.
- (თ) **9 ნომერს -- ხელის დაქნევა.** "9 ნომერმა" ისეთი არაფერი უნდა ჰქნას -- რაც მეტოქეს აფიქრებინებს, რომ ბურთი შერკინებიდან გამოსულია მაშინ, როცა იგი ჭერაც იქაა.
სასჯელი: თავისუფალი დარტყმა.
- (ი) **9 ნომერს -- ფრთის გაკავება.** "9 ნომერმა" მეტოქე "ფრთის მორკინალი" არ უნდა ჩაბლუჭოს.
სასჯელი: საჯარიმო დარტყმა.

ჭაბუკები

- (კ) **მიწოდა.** გუნდმა "შერკინებაში მიწოდით" მეტოქეს უკან არ უნდა დაახვინოს "მეტრ-ნახევარზე (1.5 მეტრზე) მეტად".
- (ლ) **ბურთის გამოტანა.** თუ გუნდმა ბურთი მოიგო და მას შერკინების კუდში აკონტროლებს -- იქ მეტად აღარ უნდა დააყოვნოს.
სასჯელი: (კ) - (ლ) თავისუფალი დარტყმა.



20.10 შერკინების დასრულება

- (ა) **ბურთი გამოვიდა.** თუ ბურთი -- გვირაბის გარდა -- შერკინების "ნებისმიერი სხვა ადგილიდან" გამოვიდა -- შერკინება დასრულებულია.
- (ბ) **ლელოში შევიდა.** შერკინება ლელოში არ გრძელდება.
- თუ "შერკინებაში მჟოფი ბურთი" კარის ხაზზე ან მის გადაღმადაა -- "შერკინება დასრულებულია" და ამდენად, "ბურთის ლელოში დამიწებით" შემტევს შეუძლია "ლელოს გატანა", ხოლო დამცველს -- "ლელოს დაცვა".
- (გ) **"ბოლო კაცი" მოეხსნა.** შერკინებაში "ბოლო კაცი" ის მორქინალია, ვისი ტერფებიც "თავისი კარის ხაზიდან" ყველაზე ახლოა. თუ იგი შერკინებას მოეხსნა და ხელით აიღო "მის წინ, მიწაზე" დებული ბურთი -- შერკინება დასრულებულია.
- (დ) თუ გუნდმა შერკინებაში "ბურთი მოიგო" -- მას "8 ნომერი" აკონტ-როლებს -- მაგრამ თუმც მეტოქეს აწვება, ვერ-კი ძრავს -- მსაჭმა ცოტა (3-5 წამი) უნდა ადროვოს და შემდეგ **"ითამაშეთ | გამოიყენეთ!"** დაუძახოს. ამის შემდეგ გუნდმა უმაღ უნდა გამოიტანოს ბურთი.

20.11 შერკინების დატრიალება

- (ა) თუ შერკინება **"90 გრადუსზე"** მეტად დატრიალდა (მობრუნდა) -- მსაჭმა თამაში უნდა შეაჩეროს და "ხელ-ახალი შერკინება" დანიშნოს.
- (ბ) **"ახალი შერკინება"** მოწეობა იქ, სადაც წინა დასრულდა -- ოლონდაც, **"კარის ხაზიდან"** არა-ნაკლებ 5 მეტრზე. მასში ბურთს "იგივე გუნდი" შეაგდებს -- ვინაც ეს **"წინა შერკინებაში"** გააკეთა.

ჭაბუკები

- (ა) გუნდმა შერკინება **"განგებ არ უნდა"** დაატრიალოს.

სასჯელი: საჭარიმო დარტყები.


თუ ბრუნმა **"45 გრადუსს"** მიაღწია -- მსაჭმა თამაში უნდა შეაჩეროს. თუ დატრიალება **"განგებ არ მომხდარა"** -- მსაჭი "შეჩერების ადგილზე" დანიშნავს **"ხელ-ახალ შერკინებას"**, რომელშიც ბურთს "იგივე გუნდი" შეაგდებს.



20.12 თამაშ-გარე შერკინებაში

თამაშ-გარე "9 ნომრისთვის"

- (ა) შერკინების მოწყობის დროს "იმ გუნდის 9 ნომერი, ვინც ბურთს არ აგდებს" -- უნდა დადგეს შერკინების იმავე მხარეს, სადაც "ბურთის შემგდები" 9 ნომერია -- ანაც "სხვა მოთამაშეთათვის დადგენილი თამაშ-გარეს ხაზის" უკან დაიხიოს.
- (ბ) თუ გუნდმა შერკინებაში ბურთი მოიგო -- მისი "9 ნომერი" თამაშ-გარეთა -- თუ "ორივე ფეხი" ბურთის წინ მაშინ დადგა, როცა ბურთი ჭერაც შერკინებაშია.
- თუ "9 ნომერს" ბურთის წინ მარტო "ცალი ფეხი უდგას" -- იგი თამაშ-გარეთ არაა.
- (გ) თუ გუნდმა შერკინებაში ბურთი მოიგო -- "მეტოქის 9 ნომერი" თამაშ-გარეთა -- თუ "ცალი ფეხი" ბურთის წინ მაშინ დადგა, როცა ბურთი ჭერაც შერკინებაშია.
- ეს "9 ნომერი" ბურთის მიუოლისას არ უნდა გადავიდეს "ჯიბეში" -- "შერკინების ფრთასა" და შემკვრელს (8 ნომერს) შორის არსებულ სივრცეში.
- (დ) იმ გუნდის 9 ნომერი, ვინც შერკინებაში ბურთი ვერ მოიგო -- არ უნდა გადავიდეს "შერკინების იქეთა მხარეს" და იქ "თამაშ-გარეს ხაზის წინ" დადგეს.
- ეს "თამაშ-გარეს ხაზი" შერკინებაში ჩაბმულ თანა-გუნდელთა "ბოლო ფეხზე" გადის.
- (ე) იმ გუნდის 9 ნომერი, ვინც შერკინებაში ბურთი ვერ მოიგო -- არ უნდა "დაშორდეს შერკინებას და თამაშ-გარეს ხაზის წინ დადგეს".
- "თამაშ-გარეს ხაზი" აქაც შერკინებაში ჩაბმულ თანა-გუნდელთა "ბოლო ფეხზე" გადის.
- სასკელი: (ა) - (ე) საჭარიმო დარტყმა.**
- (ვ) "9 ნომრობა" ნებისმიერ მოთამაშეს შეუძლია -- ოღონდაც გუნდს ყოველ, ცალკეულ შერკინებაში შეიძლება ჰყავდეს "მაქსიმუმ ერთი" 9 ნომერი.



თამაშ-გარე შერკინებაში

თ*გ ხაზი ლურჯ არა-მორკინალთათვის

თ*გ ხაზი ლურჯი 9 ნომრისთვის

თ*გ ხაზი ლურჯი 9 ნომრისთვის

თ*გ ხაზი უვითელი 9 ნომრისთვის,
როცა ბურთით არ თამაშობს

თ*გ ხაზი უვითელ არა-მორკინალთათვის

თამაშ-გარე არა-მორკინალთათვის

- (b) თუ მოთამაშე "შერკინებაში არ დგას" და არც "9 ნომერია" -- შერკინების დროს თამაშ-გარეთა -- თუ თავისი გუნდის "თამაშ-გარეს ხაზის" წინ დარჩა ან გადავიდა.
ეს "თამაშ-გარეს ხაზი" კარის ხაზის პარალელურია და "შერკინებაში ჩაბმულთა ბოლო ფეხზე" **5 მეტრით უკან** გადის.
 - (c) თუ "ბოლო ფეხი" ამავე გუნდის "კარის ხაზზე" ან მის უკანაა -- 9 ნომრისა და არა-მორკინალთათვის "თამაშ-გარეს ხაზი" მაითვე "კარის ხაზია".
 - (d) **ზოზინი.** შერკინების მოწყობის დროს არა-მორკინალმა "თამაშ-გარეს ხაზის" უკან გაუჯანჯლებლივ უნდა დაიხიოს. თუ იგი ასე არ მოიქცა -- ფეხს ითრევს და დასასქლია.
- სასჯელი:** (გ) - (ი) საჭარიმო დარტყმა "თამაშ-გარეს ხაზზე".

20.13 "ჭაბუქთა წესები" კაცთა მატჩებში

კავშირს "ჭაბუქთა შერკინების წესების" შემოღება კაცთა ზოგიერთ თანრიგშიც შეუძლია.

21. საჯარიმო და თავისუფალი დარტყმები

საჯარიმო ან თავისუფალი დარტყმა "მართალი გუნდის" სასარგებლოდ ინიშნება -- მეტოქის მიერ "წესის დარღვევის" გამო.

21.1 სად ინიშნება

თუ წესებში სხვა-გვარად არ წერია -- საჯარიმო ან თავისუფალი "დარღვევის ადგილზე" ინიშნება.

21.2 საიდან სრულდება

(ა) მოთამაშემ დარტყმა უნდა შეასრულოს იქიდან, სადაც დაინიშნა, ან ამ ადგილზე უკიდან -- მასზე "გამავალი ხაზიდან".

თუ დარტყმა -- სულ ერთია, რომელი -- "კარის ხაზიდან" 5 მეტრის ფარგალში დაინიშნა -- იგი უნდა შესრულდეს "დარღვევის ადგილის" პირდაპირ, ამავე "კარის ხაზიდან" 5 მეტრზე მდებარე ადგილიდან, ან მასზე უკიდან.

(ბ) თუ ლელოში დაინიშნა -- დარტყმა მოედანში, "დარღვევის ადგილის" პირდაპირ, შესაბამისი "კარის ხაზიდან" 5 მეტრზე მდებარე ადგილიდან, ან მასზე უკიდან -- სრულდება.

(გ) თუ "საჯარიმო ან თავისუფალი" სწრაფად (უცებ) შეასრულეს "უსწორო ადგილიდან" -- მსახმა დარტყმა უნდა გაამეორებინოს.

21.3 როგორ სრულდება

(ა) საჯარიმოსა და "დარღვევისთვის დანიშნული თავისუფალის" შესრულება შეუძლია "ნებისმიერ მოთამაშეს" და "ნებისმიერი ხერხით" -- ხელიდან, არეკნით ან მიწიდან. "ბურთის დარტყმა" შეიძლება ფეხის ნებისმიერი -- მუხლზე ქვემო ნაწილით, ოლონდაც არა "ჭუსლით და მუხლით".

შეიდგავა

(ა) "ბურთის დარტყმა" შეიძლება ხელიდან ან არეკნით -- ოლონდაც "არა მიწიდან".



- (გ) მუხლზე "ბურთის აკენწვლა" დარტყმად არ ითვლება.
- (გ) დამრტყმელმა უნდა გამოიყენოს ის ბურთი, რომლითაც მანამდე თამაშობდნენ. "უვარგისი ბურთის" გამოცვლა შეიძლება მხოლოდ მსაჭის დასტურით.

სასჯელი: (ა) - (გ) თუ "დამრტყმელის გუნდმა" წესი დაარღვია -- იქვე დაინიშნება შერკინება, რომელშიც ბურთს მეტოქე შეაგდებს.

21.4 დამატებითი პირობები

- (ა) **სამაგიერო შერკინება.** საჯარიმოს | თავისუფალის მაგივრად -- გუნდს შეუძლია იქვე დაანიშნინოს შერკინება, რომელშიც ბურთს თავად შეაგდებს.
- (ბ) **სამაგიერო დერეფანი.** თუ გუნდს დერეფანში "საჯარიმო | თავისუფალი" ერგო -- იქვე შეუძლია დაანიშნინოს დერეფანიც, რომელშიც ბურთს თავად მოაწვდის.
- (გ) **გაუგანკლებლივ.** თუ მსაჯს ანიშნა, რომ დარტყმას კარში აპირებს - - მოთამაშემ საჯარიმო "აქედან 1 წუთში" უნდა შეასრულოს.

აქ მინიშნებად ითვლება სადგამის ან ქვიშის მოტანა, ანაც "დარტყმის ადგილის" მონიშვნა.

გინდაც ბურთი დარტყმამდე წაიქცეს და ხელ-ახლა დასაყენებელი გახდეს -- დამრტყმელმა ყველაფერს მაინც 1 წუთი უნდა ამჟოფინოს.

ამ დროის გასვლის შემდეგ დარტყმა გაუქმდება და იქვე დაინიშნება შერკინება, რომელშიც ბურთს მეტოქე შეაგდებს.

"კარში დარტყმის" მსგავსად -- ყველა სხვა დარტყმაც გაუგანკლებლივ უნდა შესრულდეს.

შვიდგაცა

- (გ) **"კარში დარტყმა"** მისი დანიშვნიდან "30 წამში" უნდა შესრულდეს.
- (დ) **თვალ-საჩინოდ.** დამრტყმელმა ბურთი თვალ-საჩინოდ უნდა და-არტყას: თუ ხელით უჭირავს -- ბურთი მტევანს ცხადად უნდა მოშორდეს | მოსწყდეს, ხოლო თუ მიწაზე დევს -- ადგილი მოინაცვლოს.



- (ဂ) **ბურთის აუტში გადატანა.** დამრტყმელს ბურთის "აუტში (კიდეზე) დარტყმა" შეუძლია ხელიდან ან არეკნით -- ოლონდაც "არა მიწიდან".
- (გ) **მოქმედების თავისუფლება.** დამრტყმელს "ბურთის დარტყმა" წების-მიერ მხარეს შეუძლია და არც "ბურთით ხელ-ახლა თამაში" ეხლუ-დება.
- (ზ) **დარტყმა ლელოდან.** თუ საჯარიმოს | თავისუფალის შესასრულებლად მოთამაშემ მოედნიდან უკან -- თავის ლელოში დაიხია, მისმა გუნდელმა კი "ბინძურად თამაშით" მეტოქეს ლელო არ გაატანინა -- "საჯარიმო ლელო" ჩაითვლება.
- (თ) **უქმად ლელოში.** თუ საჯარიმოს | თავისუფალის ლელოდან შესრულების შედეგად -- ბურთი ლელოს კიდეზე ან უკანა ხაზზე გადავიდა, ან "კარის ხაზის" გადაკვეთამდე დამცველმა "უქმად აქცია" -- მოედანში, 5 მეტრზე, ინიშნება შერკინება, რომელშიც ბურთს შემტევი შეაგდებს.
- (ი) **ბურთის უკან.** საჯარიმოს | თავისუფალის შესრულების დროს -- დამრტყმელის "მთელი გუნდი" დარტყმაშიც ბურთის უკან უნდა იყოს. **გამონაკლისია** -- მიწიდან დარტყმის დროს "ბურთის დამყენებელი".
- (კ) **სწრაფად (უცებ) შესრულებული დარტყმა.** თუ საჯარიმო | თავისუფალი ისე სწრაფად შესრულდა, რომ დამრტყმელის გუნდელები "ბურთის წინ" ჩარჩნენ -- ისინი თამაშ-გარეთ ყოფნისთვის არ უნდა დაჯარიმდნენ.
- ამ მოთამაშებმა უკან-დახევა უმაღ უნდა დაიწყონ და "თამაშში მობრუნებამდე" არ შეწყვიტონ. ამავე დრომდე ისინი თამაშში "არ უნდა ჩაერიონ". ეს ეხება გუნდის ყელა მოთამაშეს -- იმის და მიუხედავად, "სათამაშო არის" შიგნითაა თუ გარეთ.
- (ლ) **ამ დროს მოთამაშე "თამაშში მობრუნებულად"** ითვლება, თუ
- * საჯარიმოს | თავისუფალის შემსრულებლის უკან თავად ჩავიდა;
 - * მას გაუსწრო "ბურთიანმა გუნდელმა"; ან
 - * იმ გუნდელმა, ვინც დარტყმის შესრულებისას "ბურთზე უკან" იყო.
- (გ) **თამაშ-გარეთ ჩარჩნილი მოთამაშე თამაშში "მეტოქის ვერა-ნაირი მოქმედებით"** ვერ მობრუნდება.




სასჯელი: თუ წესებში სხვა-გვარად არ წერია -- "დამრტყმელის გუნდის" მიერ ჩადენილი დარღვევის გამო იქვე ინიშნება შერკინება, რომელშიც ბურთს მეტოქე შეაგდებს.

21.5 საჭარიმოდან "გოლის გატანა"

- (ა) "საჭარიმო დარტყმიდან" შეიძლება "გოლის გატანა".
- (ბ) თუ დამრტყმელმა მსაჭს ანიშნა, რომ კარში ურტყამს -- სიტყვა უნდა შეასრულოს. მინიშნების შემდეგ დამრტყმელს "განზრახვის გადა-თქმა" აღარ შეუძლია, მსაჭს კი უფლება აქვს -- დამრტყმელთან მისი განზრახვა გადაამოწმოს.
- (გ) თუ დამრტყმელმა მსაჭს ანიშნა, რომ კარში ურტყამს -- "მეტოქე გუნდი" უძრავად, ხელებ-ჩამოშვებული უნდა იდგეს -- დამრტყმელის მიერ "გამორბე-ნის დაწუებიდან" ბურთისთვის ფეხის დარტყმამდე.
- (დ) თუ დამრტყმელს მსაჭისთვის არ უნიშნებია, რომ კარში დარტყმას აპირებდა, მაგრამ არეკნი გაიტანა -- გოლი ითვლება.
- (ე) თუ დარტყმის შესრულების დროს წესი "მეტოქე გუნდმა" დაარღვია, მაგრამ ბურთი კარში გავიდა -- გოლი ითვლება და ხელ-ახალი დარტყმა აღარ ინიშნება.
- (ვ) დამრტყმელს ბურთის დაუენება შეუძლია უშუალოდ მიწაზე, ქვიშაზე, ნახერზე ან "კაგშირის მიერ მოწონებულ" სადგამზე.

სასჯელი: თუ წესებში სხვა-გვარად არ წერია -- "დამრტყმელის გუნდის" მიერ ჩადენილი დარღვევის გამო იქვე ინიშნება შერკინება, რომელშიც ბურთს მეტოქე შეაგდებს.

21.5 (გ)



21.6 თავისუფალიდან "გოლი არ ითვლება"

- (ა) თავისუფალი დარტყმიდან "გოლის გატანა" არ შეიძლება.
- (ბ) თავისუფალის "შემსრულებელ გუნდს" არეკნით "გოლის გატანა" მხოლოდ მას შემდეგ შეუძლია -- რაც ბურთი ისევ "უქმი გახდა", ბურთს მეტოქე შეეხო ან "მეტოქემ ბურთიანი შებოჭა".

ეს შეზღუდვა "თავისუფალის მაგივრად არჩეულ" შერკინებასა და დერეფანზეც გრცელდება.

21.7 რა ჰქონას "მეტოქე გუნდმა" საჯარიმოს | თავისუფალის დროს

- (ა) **უკან დაიხიოს.** მეტოქე გუნდი თავისი "კარის ხაზისკენ" უმალ უნდა გაიქცეს და უკან-დახევა განაგრძოს მანამ, სანამ
- * "დარტყმის ადგილს" 10 მეტრით არ დაშორდება; ან
- * არ მიაღწევს თავისი "კარის ხაზს" -- თუ ეს ხაზი "დარტყმის ადგილს" 10 მეტრზე ნაკლებადაა დაშორებული.
- (ბ) **განაგრძოს უკან დახევა.** გინდ დარტყმა შესრულდეს და "დამრტყმელის გუნდიც" ბურთით თამაშობდეს -- მეტოქემ მანამ უნდა იხიოს უკან და "თამაშში არ ჩაერიოს", სანამ "დარტყმის ადგილს" დადგენილ მანძილზე არ დაშორდება.
- (გ) **სწრაფად (უცებ) შესრულებული დარტყმა.** თუ დარტყმა ისე სწრაფად შესრულდა, რომ მეტოქეს გაცლის შესაძლებლობა ვერ მიეცა -- იგი არ უნდა დაისაჭოს.
- ერთი კია -- ვიდრე თამაშში ჩაებმება -- მეტოქემ უკან-დახევა უნდა განაგრძოს **21.7 (ბ) დებულებით** -- ან მანამ, სანამ "დარტყმის ადგილს" 10 მეტრით დაშორებული გუნდელი არ გადაუსწრებს.
- (დ) **ხელის შეშლა.** მეტოქემ "მართალ გუნდს" დარტყმის დროულად შესრულებაში ხელი არ უნდა შეუშალოს, და არც გზა უნდა შეუკრას დამრტყმელს.
- მეტოქემ "დამრტყმელის გუნდისგან" შორს "განგებ არ უნდა" წაილოს, გადააგდოს ან ფეხით დაარტყას ბურთი.

სასჯელი: მეტოქის მიერ წესის დარღვევა ისჯება "პირვანდელზე 10 მეტრით წინ" დანიშნული, "იმავე ტიპის" ახალი დარტყმით -- ოღონდაც "ამისი ადგილი" მეტოქის "კარის ხაზიდან" 5 მეტრის ფარგალში ვერ იქნება.

ამ, ახალი დარტყმის შესრულება "მართალი გუნდის" ნებისმიერ მოთამაშეს შეუძლია.

საჯარიმოს დამრტყმელს უფლება აქვს შეცვალოს "დარტყმის ხერხი" და კარშიც კი დაარტყას.



თუ ხელ-ახალი დარტყმა დაინიშნა -- იგი მას შემდეგაც უნდა შე-სრულდეს, რაც მსახმა "ახალი ადგილი" მიუთითა.

21.8 კიდევ რა ჰქნას მეტოქემ "თავისუფალის დროს"

- (ဂ) **დამრტყმელზე თავ-დასხმა.** დადგენილი მანძილით უკან-დახევის შემდეგ -- "მეტოქე გუნდის" მოთამაშეს შეუძლია მიეკრას დამრტყმელს და არ დაარტყმევინოს.
მეტოქეს თავ-დასხმა შეუძლია მას შემდეგ, რაც დამრტყმელი ბურ-თისკენ წავა.
- (გ) **დარტყმის არ-დანებება.** თუ მეტოქე დამრტყმელს თავს დაესხა და არ დაარტყმევინა -- დარტყმა უქმდება. თამაში განახლდება "თავისუფალის ადგილზე" დანიშნული შერკინებით, რომელშიც ბურთს "დამრტყმელის მეტოქე გუნდი" შეაგდებს.
- (გ) **ლელოდან შესრულებული თავისუფალი.** თუ მოედანში დანიშნული თავისუფალის შესარულებლად დამრტყმელმა უკან, "თავის ლელო-ში" დაიხია, მეტოქე კი თავს დაესხა და არ დაარტყმევინა -- დაინიშნება "5-მეტრა შერკინება", რომელშიც ბურთს "შემტევი გუნდი" შეაგდებს.
თუ წესებს იცავს -- თავისუფალის ლელოდან დარტყმის შემდეგ -- მეტოქეს იქ "ბურთით თამაში" და "ლელოს გატანა" შეუძლია.
- (თ) **დაფარება.** თუ მეტოქემ თავისუფალს დააფარა -- თამაში გრძელდება.

21.9 გამოჭერა საჯარიმოს | თავისუფალის დროს

- (ა) თავისუფალის დამრტყმელმა "ცრუ მოძრაობა" არ უნდა გააკეთოს. თუ იგი დასარტყმელად გაინძრა -- მეტოქეს თავ-დასხმა შეუძლია.
- (ბ) თუ მსახს მიაჩინა, რომ საჯარიმოს | თავისუფალის "დამრტყმელმა გუნდმა" მეტოქე "წესის დარღვევაზე" გამოიჭირა -- ხელ-ახალი დარტყმა აღარ უნდა დანიშნოს და თამაში გააგრძელებინოს.



22. ლელო

"ბურთის ლელოში დამიწება" შეუძლია როგორც შემტევი, ასევე დამცველი გუნდის მოთამაშეს.

თუ შემტევმა ბურთი "მეტოქის ლელოში" დაამიწა -- მის გუნდს "ლელო გატანილად" ეთვლება.

თუ დამცველმა ბურთი "თავის ლელოში" დაამიწა -- მის გუნდს "ლელო დაცულად" ეთვლება.

თუ დამცველს ბურთის მიღებისას "ცალი ფეხი" კარის ხაზზე ან ლელოში უდგას -- თავის "ლელოში მყოფად" ითვლება.

22.1 ბურთის დამიწება

ხდება ორი ხერხით:

- (ა) **მოთამაშემ ბურთი მიწას შეახო.** მოთამაშეს ბურთი ხელით ეჭირა და იგი ლელოში მიწას შეახო. "ჭერა" ნიშნავს მტევნ(ებ)ით ან მკლავ(ებ)ით ფლობას.
- (ბ) **მოთამაშე ბურთი დააწვა.** ბურთი ლელოში, მიწაზე იყო და მოთამაშე მას დააწვა მტევნ(ებ)ით, მკლავ(ებ)ით ან მკერდით -- მუცლიდან მოყოლებული კისრის ჩათვლით.

22.2 ბურთის აღება

ბურთის "მიწიდან აღება" დამიწება არაა. მოთამაშეს შეუძლია ლელოში "მიწიდან აიღოს" ბურთი და ლელოშივე სხვაგან დაამიწოს.



22.3 შემტევის მიერ "ბურთის დამიწება"

- (ა) **ლელო.** თუ თამაშში მყოფმა >> წესი 11 "შემტევმა მოთამაშემ" ბურთი "მეტოქის ლელოში" დაამიწა -- "ლელო გატანილად" ეთვლება. ამ დროს სულ ერთია, ლელოში ბურთი ვინ შეიტანა -- შემტევმა თუ დამცველმა.



(ბ) **22-დან დარტყმა.** თუ "ბურთიანმა შემტევმა" ბურთი "მეტოქის ლელოში" დაამიწა და იმავ-დროულად "ლელოს კიდის ან უკანა ხაზს" შეახო -- დამცველ გუნდს "22-დან დარტყმა" ერგება.

22.4 "ლელოს გატანის" სხვა ხერხები

(ა) **კარის ხაზზე დამიწება.** "კარის ხაზი" ლელოს ნაწილია.

თუ "შემტევმა მოთამაშებ" ბურთი მეტოქის "კარის ხაზზე" დაამიწა - - "ლელო გატანილად" ეთვლება.

(ბ) **ძელის ძირში დამიწება.**

კარის ძელი და მასზე შემოხვეული შალითაც "კარის ხაზზე", ეს კი, თავის მხრივ -- ლელოს ნაწილია.



22.4 (ბ)


თუ "შემტევმა მოთამაშებ"

ბურთი (შალითიანი) "ძელის ძირში" დაამიწა -- იგი ერთ-დროულად შეახო მიწასა და ძელს -- "ლელო გატანილად" ეთვლება.

(გ) **ძალისმიერი ლელო.** შერკინება

და რაჭი ლელოში "აღარ გრძელდება".

თუ "მოედანში დაწყებული" შერკინება ან რაჭი "ლელოში გადავიდა" და ბურთი "კარის ხაზზე ან მის მიღმაა" -- შემტევს მისი დამიწებით "ლელოს გატანა" შეუძლია.



22.4 (გ)

(დ) **ინერციული ლელო.** თუ "კარის

ხაზამდე" შებოჭეს, მაგრამ "ბურთიანმა შემტევმა" ინერციით -- მიწაზე ერთი "უწყვეტი მოძრაობით" -- მაინც მიაღწია "მეტოქის ლელომდე" და ბურთი დაამიწა -- "ლელო გატანილად" ეთვლება.

(ე) **ბოჭეა კარის ხაზთან.** თუ მოთამაშე მეტოქის "კარის ხაზთან" შებოჭეს, მაგრამ ლელოს კი მისწვდა და ბურთი უმაღ დაამიწა "კარის ხაზზე ან მის მიღმა" -- ლელო გატანილად ეთვლება.



(3) ამ დროს "ზეზეულად მოთამაშე (დგომელა) დამცველს" შეუძლია შებოჭილს ბურთი "ხელით წაართვას" -- ოღონდაც ბურთის "ფეხით დარტყმა" ეკრძალება.

(4) **აუტში ან ლელოს კიდეზე მეოფი. გინდ შემტევი აუტში (კიდეზე) ან "ლელოს კიდეზე" იყოს -- თუ ბურთი არ უჭირავს - - "მეტოქის ლელოში" მისი დამიწებით "ლელოს გატანა" შეუძლია.**

22.4 (6)



(5) **საჯარიმო ლელო. თუ მეტოქის მხრივ "ბინძურად თამაშის" გარეშე -- გუნდი "ლელოს უჟველად გაიტანდა", ან მას გაიტანდა "უკეთეს ადგილზე" -- "საჯარიმო ლელო" ინიშნება.**

(6) **"საჯარიმო ლელო" კარის ძელებს შორის გატანილად ითვლება -- ოღონდაც "დამცველ გუნდს" კვლავაც შეუძლია "გარდასახვაზე დაფარება".**

22.5 დამცველის მიერ "ბურთის დამიწება"

(ა) **ლელოს დაცვა. თუ "დამცველმა მოთამაშემ" ბურთი "თავის ლელოში" დაამიწა -- "ლელო დაცულად" ეთვლება.**

(ბ) **აუტში ან ლელოს კიდეზე მეოფი. გინდ დამცველი აუტში (კიდეზე) ან "ლელოს კიდეზე" იყოს -- თუ ბურთი არ უჭირავს -- "თავის ლელოში" მისი დამიწებით "ლელოს დაცვა" შეუძლია.**

(გ) **ძელის ძირში დამიწება. თუ "დამცველმა მოთამაშემ" ბურთი (შალითიანი) "ძელის ძირში" დაამიწა -- იგი ერთ-დროულად შეახო მიწასა და ძელს -- "ლელო დაცულად" ეთვლება.**

22.6 "ლელოში გადასული" შერკინება, რაჭი და მოლი

თუ "მოედანზე დაწყებული" შერკინება, რაჭი ან მოლი ლელოში გადავიდა და ბურთი "კარის ხაზზე ან მის მიღმაა" -- დამცველს მისი დამიწებით "ლელოს დაცვა" შეუძლია.



22.7 განახლება "ლელოს დაცვის" შემდეგ

- (ა) თუ ბურთი შემტევება შეაგდო ან შეიტანა "მეტოქის ლელოში", იქ კი "უქმი გახდა" იმის გამო -- რომ დამცველმა დაამიტა, ან ბურთი თავად გადავიდა "ლელოს კიდეზე ან უკანა ხაზზე" -- დაინიშნება **"22-დან დარტყმა"**.
- (ბ) თუ შემტევებს მოედანში "წინ თამაში ან პასი" შეემთხვა, ბურთი კი "მეტოქის ლელოში" შევიდა და იქ "უქმი გახდა" -- ბურთის "წინ თამაშის | პასის ადგილზე" დაინიშნება **შერკინება**.
- (გ) თუ "ცენტრიდან ან 22-დან" დარტყმის შემდეგ ბურთი "მოთამაშეთა შეუხებლივ" შევიდა "მეტოქის ლელოში", იქ კი დამცველმა დაამიტა ან "უქმად უმალ აქცია" --
"დამცველ გუნდს" შეუძლია **აირჩიოს** ორიდან ერთი:
- * იმ ხაზის ცენტრში, საიდანაც დაარტყებს -- დაანიშნინოს შერკინება, რომელშიც ბურთს თავად შეაგდებს; ან
 - * დარტყმა გაამეორებინოს.
- (დ) თუ ბურთი დამცველმა შეაგდო ან შეიტანა "თავის ლელოში", იქ კი მისმა გუნდმა დაამიტა და წესიც არ დარღვეულა -- თამაში განახლდება **"5-მეტრა შერკინებით"** -- რომელიც "დამიტების ადგილის" პირდაპირ მოეწყობა და რომელშიც ბურთს "შემტევი გუნდი" შეაგდებს.
- (ე) თუ გუნდმა ბურთი "თავის ლელოში" გაგზავნა, დამცველს დარტყმაზე "ლელოშივე დაუფარეს" და ბურთი "უქმი გახდა" -- შემტევს **"5-მეტრა შერკინება"** ბურთის "უქმად გახდომის" ადგილის პირდაპირ ერგება.

22.8 უქმი ბურთი "ლელოს გავლით"

თუ ფეხით დარტყმული ბურთი მეტოქის ლელოს გავლით" ლელოს კიდეზე ან უკანა ხაზზე გადავიდა -- **გამონაკლისია** "ქარში წარუმატებელი" დარტყმა, გინდ საჯარიმოდან და გინდაც არექნით -- **"დამცველ გუნდს"** შეუძლია **აირჩიოს** ორიდან ერთი:

- * დაარტყას 22-დან >> **13.10 მუხლი;** ან
- * დარტყმის ადგილზე დაანიშნინოს შერკინება, რომელშიც ბურთს თავად შეაგდებს.



22.9 დამცველი "თავის ლელოში"

- (ა) თუ დამცველს "ცალი ტერფის ნაწილი" თავის ლელოში უდგას -- ითვლება, რომ იგი "ორივე ფეხით" იქნა.
- (ბ) თუ თავის ლელოში მყოფმა მოთამაშემ მოედნიდან აიღო "**უძრავი ბურთი**" - მას ბურთის "**ლელოში შეტანა**" ჩაეთვლება.
- (გ) თუ თავის ლელოში მყოფმა მოთამაშემ მოედნიდან აიღო "**მოძრავი ბურთი**" - მას ბურთის "**ლელოში აღება**" ჩაეთვლება.
- (დ) თუ ლელოს "**უკანა ხაზის მიღმა**" ცალი ან ორივე ტერფით მყოფმა მოთამაშემ ლელოდან აიღო "**უძრავი ბურთი**" -- მას ბურთის "**უქმად ქცევა**" ჩაეთვლება.
- (ე) თუ ლელოს "**უკანა ხაზის მიღმა**" ცალი ან ორივე ტერფით მყოფმა მოთამაშემ ლელოდან აიღო "**მოძრავი ბურთი**" - მას ბურთის "**სათა- მაშო არის გარეთ აღება**" ჩაეთვლება.

22.10 "ბურთაობის შეფერხება" ლელოში

თუ "ბურთიანი მოთამაშე" ლელოში ისე დაიჭირეს | გააკავეს, რომ ბურთს ვერ ამიწებს -- ან იქვე "მოლის მსგავსი" ჭიდილი გაიმართა -- ბურთი უქმია.

ამ დროს დაინიშნება "**5-მეტრა შერკინება**", რომელშიც ბურთს შემტე- ვი შეაგდებს.

22.11 "უქმი ბურთი" ლელოში

- (ა) თუ ბურთი შეეხო -- ლელოს კიდის ან უკანა ხაზებს, ან ამათ გადაღმა "ვინმეს ან რამეს" -- ბურთი უქმია.

თუ ბურთი ლელოში "**შემტევმა გუნდმა**" შეიტანა -- დამცველმა **22-დან უნდა დაარტყას >> 13.10 მუხლი**

თუ ბურთი ლელოში "**დამცველმა გუნდმა**" შეიტანა -- დაინიშნება "**5-მეტრა შერკინება**", რომელშიც ბურთს შემტევი შეაგდებს.

- (ბ) თუ "ბურთიანი მოთამაშე" ლელოს კიდის ან უკანა ხაზებს, ან ამათ გადაღმა მიწას შეეხო -- ბურთი უქმია.



თუ ბურთი ლელოში "შემტევმა გუნდმა" შეიტანა -- დამცველმა 22-დან უნდა დაარტყას >> 13.10 მუხლი

თუ ბურთი ლელოში "დამცველმა გუნდმა" შეიტანა -- დაინიშნება "5-მეტრა შერკინება", რომელშიც ბურთს შემტევი შეაგდებს.

- (გ) თუ მოთამაშემ ლელო "გაიტანა ან დაიცვა" -- ბურთი უქმია.

22.12 ბურთი ან მოთამაშე "სარს შეეხო"

თუ "ბურთი ან ბურ-
თიანი მოთამაშე" შე-
ეხო ალაშს ან (ალმი-
ან) კუთხის სარს --
რომელიც დასობილია
კარისა და ლელოს
კიდის ხაზთა, ან უკანა
და ლელოს კიდის ხაზ-
თა გადაკვეთაზე -- და
სხვა-ფრივ "აუტი არაა" -- ბურთი "გადასულად არ ითვლება".

გამონაკლისია "სარის ძირში" დამიწება.



22.13 შემტევის "შერკინებით დასასჯელი" დარღვევა

თუ "შემტევმა მოთამაშემ" ლელოში ისე დაარღვია წესი, რომ ამის-
თვის სასჯელი შერკინებაა (მაგალითად, ბურთი წინ დაუვარდა) --
თამაში განახლდება "დარღვევის ადგილის" პირდაპირ დანიშნული
"5-მეტრა შერკინებით", რომელშიც ბურთს "დამცველი გუნდი"
შეაგდებს.

22.14 დამცველის "შერკინებით დასასჯელი" დარღვევა

თუ "დამცველმა მოთამაშემ" ლელოში ისე დაარღვია წესი, რომ ამის-
თვის სასჯელი შერკინებაა (მაგალითად, ბურთი წინ დაუვარდა) --
თამაში განახლდება "დარღვევის ადგილის" პირდაპირ დანიშნული
"5-მეტრა შერკინებით", რომელშიც ბურთს "შემტევი გუნდი"
შეაგდებს.



22.15 ჭოჭმანი "დამიწების გამო"

როცა საჭოჭმანი ისაა, თუ ლელოში ბურთი "რომელმა გუნდმა" დაამიწა -- თამაში განახლდება "დამიწების ადგილის" პირდაპირ დანიშნული "5-მეტრა შერკინებით", რომელშიც ბურთს "შემტევი გუნდი" შეაგდებს.

22.16 "წესის დარღვევა" ლელოში

"ლელოში მომხდარი" ნებისმიერი დარღვევა მოედანზე ჩადენილის მსგავსად ისკება.

ასე მაგალითად, ლელოში "ბურთის წინ თამაშს | პასს" დარღვევის ადგილის პირდაპირ დანიშნული "5-მეტრა შერკინება" მოჰყვება.

სასჯელი: თუ "საჯარიმო დარტყმა" ლელოში მომხდარი დარღვევის გამოა დასანიშნი -- იგი მოედანში, შესაბამისი "კარის ხაზიდან" 5 მეტრზე, "დარღვევის ადგილის" პირდაპირ ინიშნება.

22.17 "უწესობა და უპიროდ თამაში" ლელოში

(ა) შემტევის მიერ გზის შეკვრა. თუ შემტევი ლელოში თავს დაესხა, ანაც მან გზა "განვებ შეუკრა" -- დამცელს, ვინც ბურთს ეს-ესაა ფეხი და-არტყა -- "დამცელ გუნდს" შეუძლია საჯარიმო მოითხოვოს

* მოედანზე -- თავისი "კარის ხაზიდან" 5 მეტრზე, დარღვევის ადგილის პირდაპირ; ან

* ბურთის "მიწაზე დაცემის" ადგილზე. თუ ბურთი აუტში ან მოედნის ნაპირზე დაეცა -- საჯარიმო ინიშნება "კიდის ხაზიდან 15 მეტრზე", ბურთის "აუტში გასვლის" ან "მიწაზე დაცემის" ადგილის გასწვრივ.

ლელო გაუქმდება და "საჯარიმო დარტყმა" დაინიშნება -- თუკი შემტევი ამ ლელოს ვერ გაიტანდა "ბინძურად თამაშის" გარეშე.

(ბ) დამცელის მიერ ბინძურად თამაში. თუ დამცელის მიერ "თავის ლელოში" ბინძურად თამაშის გარეშე -- შემტევი "ლელოს უკველად გაიტანდა", ან მას გაიტანდა "უკეთეს ადგილზე" -- მსახმა "საჯარიმო ლელო" უნდა დანიშნოს.

თუ ბინძურად ითამაშა და ამით მეტოქეს ლელო არ გაატანინა -- მსახმა მოთამაშე "სათამაშო დროის 10 წუთით, ანაც მატჩის ბოლო-მდე" უნდა გააძევოს.



- (გ) სხვა-გვარი ბინძურად თამაში. თუ მოთამაშემ ლელოში ბინძურად ითამაშა იმ დროს, როცა თამაში შეჩერებული იყო -- საჭარიმო დაინიშნება იქ, სადაც თამაში "ამ დარღვევის გარეშე" განახლდებოდა.
- სასჯელი: საჭარიმო დარტყმა.



განსაზღვრებანი

ადგილზე გამავალი (გავლებული) ხაზი -- თუკი საპირისპირო არ თქმულა
-- ყოველთვის "აუტის ხაზის" პარალელურია.

10-მეტრიანი თამაშ-გარე >> წესი 11

ალალი (ალალად | ალალზე დაჭერა) >> წესი 18

არე (სათამაშო) >> წესი 1

არეკნი(თ დარტყმა) -- ბურთს ხელით ძირს დააგდებენ და მიწიდან ბირველი არეკნისას დაარტყამენ ფეხს.

აუტის (კიდის) ხაზი >> წესი 1

აწევა >> წესი 19

ახლოს ნიშნავს "1 მეტრის ფარგალში"

ბინძურად თამაში >> წესი 10

ბოლო ფეხი შერკინებაში, რაქში და მოლში ჩაბმული "ბოლო გუნდელის" ის ფეხია, რომელიც მისი ლელოდან ყველაზე ახლოა.

ბოჭვა >> წესი 15

ბურთიანი ის მოთამაშეა, ვისაც ბურთი უჭირავს.

ბურთი თამაშიდან გავიდა -- თუ თავად ბურთი ან "ბურთიანი მოთამაშე" აუტში ან "ლელოს კიდეზე" გადავიდა, "ლელოს უკანა ხაზს" შეეხო ან ეს ხაზი გადაჭვეთა.

ბურთის თამაში ნიშნავს, რომ მოთამაშე ბურთს შეეხო.

ბურჯი პირველი ხაზის განაპირა მორკინალია.

გადააბიჯა ნიშნავს, რომ მოთამაშე ხაზს "ცალი ან ორივე ტერფით" გადასცდა. ხაზი შეიძლება იყოს ნამდვილი (მაგალითად, კარისა) ან წარმოსახვითი (მაგალითად, თამაშ-გარესი)

გადაღმა, უკან, წინ ნიშნავს, რომ მოთამაშე "სათანადო ადგილზე" ორივე ფეხითაა -- თუ ამით უაზრობა არ გამოდის.

გადაწოდება (ბასი) -- მოთამაშემ სხვას ბურთი "ხელით გადაუგდო ან უტყორცნელად გადასცა".



გამოცვლა >> წესი 3

გარდასახვა >> წესი 9

გარემო (სათამაშო) >> წესი 1

გზის შეკვრა (ბლოკი) >> წესი 10

გოლი (კარში გატანა) -- მოთამაშებ გოლი გაიტანა, თუ მოედანზე მყოფმა ბურთი მიწიდან ან არენით დაარტყა და ბურთმა "მეტოქის კარის ძელებს შორის" და "ხარიხის ზემოთ" გაიარა. ცენტრიდან, 22-დან და თავისუფალი დარტყმებიდან გატანილი გოლი არ ითვლება.

გუნდელი (თანა-გუნდელი) მოთამაშის გუნდის სხვა წევრია.

დამიწება >> წესი 22

დამკენებელი ის მოთამაშეა, ვისაც მიწაზე ბურთი ხელით იმისთვის უჭირავს, რომ გუნდელმა ფეხით დაარტყას.

დამცელი ის გუნდია, რომელიც თამაშის დროს "მოედნის საკუთარ (თავის) ნახევარზე".

დარტყმა (ბურთისა) სრულდება ფეხის ნებისმიერი, მუხლზე ქვემო ნაწილით, ოღონდაც საკუთრივ მუხლისა და ქუსლის გამოკლებით. დარტყმის შედეგად ბურთი "ხელის მტევანს" უნდა მოსწყდეს, ან მიწაზე თვალ-საჩინოდ გადაადგილდეს.

დაძვრა >> წესი 19

დერეფანი >> წესი 19

დროებით გაძევება (სინბინი) >> წესი 10

ზედიზედ დარღვევა >> წესი 10

თავისუფალი დარტყმა ინიშნება "მართალი გუნდის" სასარგებლოდ, მეტოქის მიერ წესის დარღვევის გამო.

თამაშ-გარე (ოფ-საიდი) >> წესი 11

თამაშ-გარეს ხაზი წარმოსახვითია. იგი ერთი "აუტის ხაზიდან" მეორემდე, მოედნის მთელ სიგანეზე, "კარის ხაზების" პარალელურად გადის. მისი ზუსტი მდებარეობა ცალკეული წესებით განისაზღვრება.

თამაშში (ონ-საიდი) >> წესი 11





თანა-მსაჯი (კიდის მსაჯი) >> წესი 6

კავშირი მატჩის მეურეებ "მმართველი გაერთიანებაა". ნაკრებთა მატჩის-თვის ისაა "მსოფლიო რაგბი" (ყოფილი "ირბ") ან მისი რომელიმე კომიტეტი.

კაბიტანს გუნდი ნიშნავს. მოთამაშეთაგან მხოლოდ იგი ეთათბირება მსაჯს და ერთ-პიროვნულადაა პასუხის-მგებელი მსაჯის სათანადო გადაწყვეტილებათა დროს "არჩევანის გაკეთებაზე".

კარის ხაზი >> წესი 1

კიდე >> წესი 19

ლელო >> წესი 22

ლელოს გატანა >> წესები 9 და 22

ლელოს დაცვა >> წესი 22

ლელოს კიდის ხაზი >> წესი 1

ლელოს უკანა ხაზი >> წესი 1

მიმღები >> წესი 19

მიწიდან დარტყმის წინ ბურთს -- საგანგებოდ ამისათვის -- მიწაზე დებენ.

მოედანი >> წესი 1

მოლი >> წესი 17

მოწოდება -- აუტიდან ბურთის გადმოგდება.

მსაჯი >> წესი 6

მხედრული >> წესი 10

ორგანიზატორი (მომწყობი) ის გაერთიანებაა, რომელსაც მატჩის გამართვა აბარია. იგი შეიძლება იყოს "რაგბის კავშირი", კავშირთა ჯგუფი და ორგანიზატორული ორგანიზაცია.

22 (ოცდა ორი) >> წესი 1

22-დან დარტყმა >> წესი 13

პირველ-ხაზელი -- შერკინების წინა ხაზის წევრი: მარცხენა ბურჯი, ჰუქერი (კვაჭი) ან მარჯვენა ბურჯი.



რაჭი >> წესი 16

სახიფათო(დ) თამაში >> წესი 10

საჯარიმოდან გატანილი გოლი >> წესი 9

საჯარიმო დარტყმა ინიშნება "მართალი გუნდის" სასარგებლოდ -- მეტოქის მიერ წესის დარღვევის გამო.

საჯარიმო ლელო >> წესი 10

სისხლ-დენა >> წესი 3

სოლური >> წესი 10

სწრაფად (უცებ) შემოგდება >> წესი 19

უქმია ბურთი -- თუ "სათამაშო არიდან" გავიდა, მსაჭმა "თამაშის შეჩერების ნიშნად" დაუსტვინა, ან გარდასახვა დაარტყეს.

ფლობა (ბურთისა) ნიშნავს, რომ მოთამაშეს ბურთი ხელ(ებ)ით უჭირავს, ან ბურთს გუნდი აკონტროლებს. მაგალითად, გუნდი "ბურთს ფლობს", თუ იგი შერკინებაში ან რაჭში მის მხარესაა.

ფრთა (ფლენქერი) -- მესამე ხაზის განაპირა მორკინალი, ჩეეულებრივ 6 ან 7 ნომერი.

შეგდება -- შერკინებაში ბურთის შეგდება (შეგორება)

შეკვრა ნიშნავს "სხვა მოთამაშისთვის" მთელი მკლავის (მხრიდან მტევნამდე) მკვიდრად მოხვევას -- "მხრიდან გავამდე" ნებისმიერ დონეზე.

შემტევი ის გუნდია, რომელიც თამაშის დროს მეტოქის ნახევარზეა.

შერკინება >> წესი 20

შესვენება შუალედია მატჩის ორ ტაიმს (ნახევარს) შორის.

შეცვლა >> წესი 3

შორს გადმოგდება >> წესი 19

შუა ხაზი -- დერეფანში >> წესი 19, შერკინებაში >> წესი 20

ცენტრიდან დარტყმა (დაწეება) >> წესი 13

ცრუ შერკინება ჩვეულებრივისგან იმით განსხვავდება, რომ მასში ბურ-თისთვის არ იბრძვიან -- ბურთი "შემგდებმა" გუნდმა უნდა მოიგოს და მიწოდაც აკრძალულია.

9 ნომერი ის მოთამაშეა, ვინც შერკინებაში ბურთს აგდებს.

ძალისმიერი ლელო >> წესი 22

წილის კრა >> წესი 6

წინ ნიშნავს "მეტოქე გუნდის ლელოს" უკანა ხაზისკენ.

წინ გადაწოდება | პასი (ბურთისა) >> წესი 12

წინ დაგარდნა | თამაში (ბურთისა) >> წესი 12

ჭიშკრიდან -- ბურთის, შებოჭილისა და "თავისი ლელოდან კველაზე ახლოს მყოფი მბოჭავის" უკნიდან.

ხეირი (უპირატესობა) >> წესი 8

ხელიდან დარტყმის დროს ბურთს ხელს გაუშვებენ და ფეხს მიწის შეხე-ბამდე დაარტყამენ.

ხელის კრა ილეთია -- "ბურთიანი მოთამაშე" მეტოქეს "გაშლილ მტევანს" (ხელის გულს) შეაგებებს.

ჰუქერი (კვაჭი) შერკინების "წინა ხაზის" შუა მოთამაშეა.



მსაჯის უესტები



რაზმის გადანომრვა

დამწეული 15-ეული (XV)	შერკინება (ფორვარდები)	მარქაფა (თადარიგი)
უკანა ხაზი (ბეჭები)	ბირველი ხაზი	ბეჭები ღერძი
15 ფულბეჭი	1 მარცხენა ბურჯი	23 ფულბეჭი გარე-მარბი
14 მარჯვენა გარე-მარბი	2 კვაჭი (ბუქერი)	22 მეტავი შუა-მარბი
13 შუა-მარბი	3 მარცხენა ბურჯი	21 ჰავბეჭი
12 შუა-მარბი მგეზავი	მეორე ხაზი	ფორვარდები
11 მარცხენა გარე-მარბი	4 მხტომელი	16 კვაჭი
ღერძი	5 მხტომელი	17 მარცხენა ბურჯი
10 მგეზავი	მესამე ხაზი	18 მარჯვენა ბურჯი
9 ჰავბეჭი	6 მარბილი	19 მხტომელი
	7 მდლეტელი	20 მესამე ხაზელი
	8 შემცველი მარბილი	




გარიმა



თავისუფალი



ლელო



ხეირი



შერკინება



შეეჭიდეთ!



წინ პასი



წინ თამაში




ბურთს ვერ შეელია



შებოჭილს არ მოეშვა



არ გადაგორდა



ბოჭვაზე
გეერდიდან შევიდა



წაქცეულს განგებ დააწეა




ბოჭვაზე დაუვინთა



რაქში ბურთი ჩაიხურა



მოლში ბურთი გაუჭედეს



"ბოლო ფეხის" წინ



მოლი ჩააჭირეს



19



ბურჯმა მეტოქე დაწია

20



ბურჯმა მეტოქე მოწია

21



შერკინება დატრიალდა

22



ბურჯმა ფეხი აწია

23



თავისკენ შეაგორა

24



მოეხსნა

25



რაჭში ხელით ითამაშა

26



დერეფანში

ირიბად ააგდო

27



შუალედი დაირღვა



28



იდაუვი ჩაარტვა

29



დაეკურდნო

30



უბიძგა

31



ადრე აწიეს

32



თამაშ-გარე დერეფანში

33



ბლოკი (გზის შეკვრა)

34



ხაზის თამაშ-გარე

35



აქა თუ იქ?

36



10 მეტრი



37



სახიფათო ბოჭვა

38



დაწიხლვა

39



მუშტი

40



ხმა, კრინტი!

41



"22"

42



გერ დაამიტეს

43



ფიზიო

44



ექიმი

45



სისხლ-დენა



46



გააჩერეთ/ჩართეთ საათი

47



ტვინის შერქევა

48



ტაიმ-აუტი

49



თანა-მსაჭის ჟესტები

50



ლელო არაა

51



ბურთი კარში გავიდა

52



აწვდის ეს გუნდი

53




ბინძურად თამაში



შენიშვნები | ჩანაწერები

ეს წიგნი რიგდება -- არ იყიდება!



ინგლისური დედანი

"მსოფლიო რაგბი" (ყოფილი "ირბ")

[Laws.worldrugby.org/downloads/
World_Rugby_Laws_2016_EN.pdf](https://Laws.worldrugby.org/downloads/World_Rugby_Laws_2016_EN.pdf)



შემკვეთი და გამომცემელი

საქართველოს რაგბის კავშირი (სრკ)

Rugby.ge



ფოტო ყდაზე

ასე ბურთაობს გიორგი ნემსაძე!

ლევან ვერძეული

Flickr.com/photos/donshakal



თარგმანი და კაბადონი

ზაალ გიგინეიშვილი

FB.com/Ovaluri
Ovaluri.comxa.com/2016
Issuu.com/Qaflan/stacks

1/09 * 2016

ფონტი ამირან, ქოდირება GE



ბირველი წესები 1845 წელს
დაიწერა ინგლისის ქალაქის -
რაგბის სკოლაში.

გუნდში 15 მობურთალი
1877 წლიდანაა.

საერთაშორისო მატჩებში
ანგარიში ქულებად
1890 წლიდან ითვლება.

1958 წლამდე ბოჭვის შემდეგ ბურთი ჯერ ფეხით უნდა გეთამაშა.

შეცვლა - და ისიც ერთი კაცის - 1968 წელსდა დაუშვეს.

1992 წელს ლელოს ფასი 5 ქულამდე გაიზარდა.

ბოჭვის თანამედროვე - ჭიშკრიდან შესვლის - წესი 2000 წელს შემოიღეს.

რუსულიდან გადმო-ქართულებული წესები ერთად-ერთხელ, 1966 წელს გამოიცა.

ინგლისური დედნებიდან წიგნი ორჯერ - 1990 და 2000 წლებში ითარგმნა და
აქამდე 5-ჯერ (1992 1995 2002 2006 2011) დაისტამბა.

